

652  
1961/8

3  
1961

ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ

ପାତ୍ରିକା

# ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରାଳୟରେ କାମକାଳୀ

ଲିପିବଳାରୁହିଲ୍-ମୋତପାହିଲ୍ ଏବଂ  
ସାଂଗଚାଲିକାବିଧିବିଜ୍-ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ

ଶୁଣନାଲ୍ଲ

ବର୍ଷାକାଳିତଥୀରେ କାମକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  
କାମକାଳୀ କାମକାଳୀ କାମକାଳୀ

## ପ୍ରକାଶକାଳୀ

### ସବକାଳୀ ବର୍ଷାକାଳିତଥୀରେ କାମକାଳୀ କାମକାଳୀ

|   |    |
|---|----|
| ୧. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 3  |
| ୨. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 17 |
| ୩. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 18 |
| ୪. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 19 |
| ୫. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 28 |
| ୬. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 29 |
| ୭. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 30 |
| ୮. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 39 |
| ୯. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ  | 40 |
| ୧୦. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 41 |
| ୧୧. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 45 |
| ୧୨. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 49 |
| ୧୩. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 54 |
| ୧୪. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 58 |
| ୧୫. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 62 |
| ୧୬. କାମକାଳୀ—ବିଜ୍ଞାପନିତିକାଳୀ ଏବଂ କାମକାଳୀ | 64 |

୩

୧୯୬୧

ମାଇସି  
ମେଜନ୍‌ବିଲ୍


|  |    |
|--|----|
| ప. జారుకాదివీ—జారుత్యాలి లొక్కేరూత్యూరూ        |    |
| సాంచ్లవార్గార్థిత . . . . .                    | 66 |
| శ. క్రూహిది—సామశంబల్లాస మగ్గిన్నేబార్యే        |    |
| పాత్రికాత్రి . . . . .                         | 72 |
| ఱ. తాపిది—థియెబి థియిస థమల్లండిన్షి . .        | 82 |
| ప. డిట్రిపి—సాంప్రాతా ప్రియేసిస ఇస్క్రాంకిండాన |    |
| అపారాశి . . . . .                              | 85 |
| ఢ. తెచిపితాకిపి—గ్రహమ్యుల్-గాన్ధింతావిశ్యుత-   |    |
| ల్లేబ్రెల్లి థించ్రాంబిస థినొశ్యున్యెల్లంబా    |    |
| సాంప్రాతా క్రెల్లిసెట్టుల్లేబిస డామ్యార్క్-    |    |
| బిసాంప్రాతిస భర్మంల్లాశి . . . . .             | 90 |
| ఔ. క్రంగాణిపి, ఫ. గాంధిసెంబి—“మెగాంబరంబి-      |    |
| సా డా ఎమింబిస శారమింఘ్యెన్లాడ” . .             | 92 |

-----

ర్యాపాక్ట్రింగ్ శాంతా క్షూరింపే

సార్యాపాక్ట్రిం క్రమ్యుగిం:

బ. అంగ్లేఫోన్, బ. గ్రామింశ్విల్లి, ప. ల్లంగ్రా, థ. గార్మింపే (బిథ్. మద్దివాన్),  
అ. కొంగ్లేంశ్విల్లి, ట. కొల్లగాశి.



## აივაზ კომახიძე,

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

## ნინევლისა და აღორძინების ორგანიზაციი

აჭარის მშრომელები მთელ ქართველ ხალხთან ერთად დიდი სიხარულით აღნიშნავენ თავიანთი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ორმოცი წლისთავს.

ორმოცი წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხების, უპირველეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხს ბურუუაზისა და მემამულეთა ბატონობა, განდევნეს საქართველოს მიწა-წყლიდან ქართველი ხალხის უსაზიზლრესი მტრები — შენშევიყები, მოსპეს მათი ძალაუფლება და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია სწრაფად გაერცელდა მთელ საქართველოში. 18 მარტს მენშევიური მთავრობა გაძევებულ იქნა მისი უკანასკნელი თავშესაფარიდან — ბათუმიდან და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცადდა.

მადლიერი ქართველი ხალხი თავს ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს ზეიძობს საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უდიდეს წარმატებათა ვითარებაში.

ჩვენი ადამიანები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ მსოფლიოში პირველი მფრინავი-კოსმონავტი გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ჩვენი სამშობლოს მგზებაზე პატრიოტი იური ალექსის-ძე გაგარინი. ახლა კომუნიზმის მტრებიც კი აღიარებენ, რომ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითმა და ნათელმა გონიერების სინამდვილედ აქცია საუკუნეობრივი ოცნება ადამიანის გაფრენის შესახებ კოსმოსში.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი წარმატებები, სახალხო მეურნეობის, კულტურის აუკავება, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო პროგრესი განამტკიცებენ საბჭოთა ქვეყნისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, ზრდიან მშვიდობისა და კომუნიზმის ძალებს, აღლიერებენ სოციალისტური სისტემის გავლენას საერთაშორისო განვითარების მთელ მსვლელობაზე.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან ქართველი ხელისკადების ცხოვრებაში დასაბამი მიეცა სრულიად ახალ ხანას, გადაიშალა მისი ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი, დაიწყო ნამდვილი ეროვნული აღორძინებისა და აყვავების პერიოდი.

განვლილ ოთხ ათეულ წელიწადში აჭარის მშრომელებმა საქართველოს მშრომელებთან მჭიდრო ერთიანობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით განახორციელეს დიადი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რის შედეგადაც მეფის იმპერიის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარიდან აჭარა გადაიქცა აუვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული მრეწველობა, მსხვილი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა და თანამედროვე მოწინავე სოციალისტური კულტურა.

აჭარის, საქართველოს ამ შესანიშნავი მხარის, გრანდიოზული მიღწევების დასახასიათებლად ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ მაინც თვალი გადავალოთ მის ისტორიას.

\* \* \*

როგორც ცნობილია, საქართველომ, ამ პატარა, მაგრამ ლამაზმა, მრავალფეროვანმა და უძველესი კულტურის ქვეყანამ ისტორიულად მრავალი ტანჯვა გამოიარა.

თავისი მომხიბლავი სილამაზითა და სიმდიდრით საქართველო უძველესი დროიდან იპყრობდა მახლობელი და შორეული მეზობლების ყურადღებას. საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხს მრავალჯერ ჩამოსწოლია ფიზიკური მოსპობის სატრთხე, უთვალავი დარბევა-აოხხება განუცდია, მაგრამ თავისი ეროვნული თვითშეგნება არ დაუკარგავს, თავისუფლების ამაყი დროშა არასოდეს არ დაუხრია და ყოველთვის მამაცურად ხედებოდა კბილებამდე შეიარაღებულ მრავალრიცხოვანი მტრის ურდოებს, სასტიკ დარტყმებს აყენებდა მათ და ინარჩუნებდა თავის მდიდარ კულტურას, თავგამოდებით იცავდა ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას. ამ ბრძოლებს განსაკუთრებით სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი ჰქონდა სამხერეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აჭარაში.

საქართველოს სამხერეთ-დასავლეთი ძველი ქართული ეროვნული კულტურის აკვანს წარმოადგნდა. ამის ნათელი დადასტურება მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც მრავლადა დაცული აჭარაშიც. ბევრ განსაკუდელს გაუძლეს და ჩვენს დრომდე მოაღწიეს ხიხანის, ხხალთის, ხინის, ციხისძირის, გონიის ტაძრებმა და ციხე-სიმაგრეებმა, მაჭახლის, მახუცცეთის, დანდალის, ხულოს ქვითკირის თაღიანმა ხიდებმა და მიწაში ჩამარხულმა ლვინს ქვევრებმა, საწურებმა, ჭურჭელმა და სამკაულებმა. ამ ძეგლების ორიგინალობა და ნაკეთობათა იშვიათი სილამაზე დღესაც კი გვაცვიფრებს და მკაფიოდ მეტყველებს იმდროინდელი ქართული ხელოვნების მაღალ გემოვნებასა და ოსტატობაზე.

ხიხანის ციხე-სიმაგრე, რომლის აშენება XII-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება, წარმოადგენდა არა მარტო კარგად მოფიქრებული სტრატეგიული მნიშვნელობის თავდაცითს ზღუდეს, არამედ კულტურის დიდ ცენტრსაც. აქ ასწავლიდნენ ბუნებისმეტყველებას, ასტრონომიას, მათემატიკას, ფილოსოფიას, აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობას. განსაკუთრებით მაღალ ღონისძიებები იდგა საგუნდო სიმღერებისა და ქორეოგრაფიული კულტურა. ხიხანის, იგივე ტერიტორიის მუსიკალური კულტურის სტატები ხმარობდნენ ნოტებსაც. ამ ტაძრის ცნობილი მოღვაწის აბუსე-რიძე-ტებელის 1233 წელს დაწერილი საბუნებისმეტყველო-ასტრონომიული მეცნიერული ნაშრომი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. სწორედ

ამ პერიოდში ქმნიდნენ თავიანთ უკვდავ ნაწარმოებებს ძველი ქართული კულტურის ისეთი უბადლო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ შოთა რუსთველი, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი, იოანე პეტრიშვილი, ასენ იყალთოელი, იოანე შავთველი, გორგი მერჩულე, გორგი მთაწმინდელი, სტეფანე მტბგვარი და ბევრი სხვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება მკვეთრად შეიცვალა. როდესაც XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე დაცა იმ დროისათვის დიდად განვითარებული და მაღალი კულტურის მქნე სახელმწიფო — აღმოსავლეთი ბიზანტიი და მცირე აზიის მიწა-წყალზე შეიქმნა შუა აზიიდან შემოჭრილი მოძალადე თურქთა ტომების სახელმწიფო. თურქმა დამპყრობლებმა არ დააყოვნეს და იმთავითვე დაწყეს საქართველოზე ლაშქრობა, შრომისმოყვარე ქართველი ხალხის აწიოკება, მისი მიწა-წყლისა და კულტურის აოხრება-გაჩანაგება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის დაპყრობის შედეგ, XVI საუკუნიდან მოკიდებული, თურქმა კოლონიზატორებმა სისხლის მღვრელი ბრძოლების შედეგად ხელთ იგდეს აჭარაც და იგი მთლიანად მოწყვიტეს საქართველოს.

უცხოელმა მოძალადებმა ასიმილატორული მიზნით გააუქმეს აჭარაში ქართული მმართველობა, აკრძალეს მშობლიური ენა, შელახეს ხალხის ზნებეულებანი და სარწმუნოება, ძალით დანერგეს ისლამი, წაბილწეს და ნაცარ-ტუტად აქციეს ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები.

მხოლოდ ხალხურმა სიტყვიერებაშ შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ძველ დროს ქედაში ყოფილა შესანიშნავი წიგნთსაცავი. სულთნის გალათებს წიგნების ტყავის ყდებისაგან ქალამნები შეუკერავთ, ხოლო წიგნები მთლიანად დაუწვევთ.

უცხოელთა ბატონობამ ძირი გამოუთხარა სახალხო მეურნეობას. მოისპონ მევენახეობა-მელვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, დაქვეითდა მეცხოველეობა, მთლიანად მოიშალა და დაცა ხელოსნობა და ვაჭრობა. მრავალი სახის გადასახადთან და ჩაგვრასთან ერთად დამპყრობლებმა დანერგეს გოგო-ბიჭების ხარკად შეგროვება ყოველ წელს და მათი მონებად გარეკვა უცხო მხარეში.

სოციალურ-ეროვნული ჩაგვრის მძიმე ულელქვეშ მოქცეული აჭარლები არაერთხელ აჯანყდნენ თურქი კოლონიზატორებისა და რენეგატი ქართველი მემამულების, შემდგომში სულთნის მთავრობის მიერ ფაშებად, ბეგებად და ოლებად გამოცხადებულთა ბატონობის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი შეიარაღებული აჯანყება მოხდა, მაგალითად, 1744 წელს, როდესაც ამბოხებულმა ხალხმა დიდი ზიანი მიაყენა ოკუპანტებს, შეიძყრო და საჭაროდ სიკვდილით დასახა აჭარის იმდროინდელი მმართველი, სულთნის თურქეთის მსახური უსუფ-ფაშა გაყელი.

მძიმე ისტორიულმა ხვედრმა ვერ დააჩინა აჭარლები. მიუხედავად ბარბაროსული დევნისა და აწიოკებისა, თურქმა დამპყრობლებმა მათ გულიდან ვერ ამოგლიჯეს საქართველოს სიყვარული, ვერ წართვეს ტკბილი ქართული ენა. აჭარის მშრომელებმა ეროვნობასა და ენასთან ერთად შეინარჩუნეს კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში ხალხმა თავის წიაღიდან წარმოშვა ბევრი სახელოვანი ეროვნული გმირი, რომლებიც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ უცხოელთა ბატონობისაგან აჭარის განთავი-



სუფლებისათვის. მაგრამ უთანასწორო ბრძოლა დამარცხებით მთავრდებული ქართველი ხალ-ხი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ცდილობდა გამოინახა ისეთი მოკავშირე, რომელიც დაეხმარებოდა მას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ მოკავშირედ ქართველმა ხალხმა ცნო თავისი ერთმორწმუნე. ძლიერი და მაღალულტურული მეზობელი — რუსეთი.

1801 წლის თებერვალში აღმოსავლეთი საქართველო შეუერთდა რუსეთს. მის კვალდაკვალ რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდნენ საქართველოს სხვა ნაწილებიც — სამეგრელო, იმერეთი, გურია, აფხაზეთი, სვანეთი. ამ დიდ-მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენამ მოამზადა აჭარის განთავისუფლების პირობები. 1877-1878 წლების ომში მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკა და-ემთხვა ქართველი ხალხის, ამიერკავკასიის კულტურულ-განათა-ვისუფლებელ ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ ამ ომში რუსი ხალხის შეიღებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მომზე ერ-თა შვილებიც.

1878 წლის 25 აგვისტოს, დღისით, რუსეთის ჯარებმა საზეიმო ვითარება-ში დაიკავეს ბათუმი და მთელი აჭარა. განხორციელდა აჭარლების დიდი ხნის ოცნება — ისინი კვლავ დაბრუნდნენ ქართულ ეროვნულ ოჯახში.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას, მიუხედავად ცარიზმის კოლონიუ-რი პოლიტიკისა, ქართველი ერის ცხოვრებაში ჰეშმარიტად უდიდესი პროგრე-სული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს ხალხს შესაძლებლობა მიეცა თავი ეხსნა უცხოელ დამპყრობთა აოხრება-დარბევისაგან, იგი გადაურჩა ფიზიკური მოს-პობის რეალურ საფრთხეს და შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და დამო-უკიდებლობა.

\* \* \*

რუსეთთან შეერთებამ საქართველო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების გზაზე დააყენა, ხელი შეუწყო მის სამეურნეო-კულტურულ განვითარებას, დიდ რუს ხალხთან და რუსეთის იმპერიის სხვა მომზე ხალხებთან ქართველი ხალხის დაახლოებას. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოკიდებული მნი-შვნელოვანი გარდატეხა მოხდა აჭარის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრე-ბაშიც. ბათუმში აიგო რამდენიმე ფაბრიკა-ქარხანა, აშენდა ახალი, თანამედ-როვე ტაპის კაპიტალური სახლები, გაყვანილ იქნა ქუჩები და გზები. გაიხსნა სკოლები და საავადმყოფოები.

1883 წლის მაისში ამუშავდა რკინიგზა, რომლითაც ბათუმი დაუკავშირდა ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის სამრეწველო ცენტრებს. ფართო გასა-ქანი პოვა ვაჭრობამ.

რუსეთთან შეერთების პირველი ოცნები წლის მანძილზე ბათუმის ნაგარ-გურიდან მარტო ნავთის პროდუქტების ყოველწლიური ექსპორტი 3,3 მილიო-ნი მანეთიდან 78,3 მილიონ მანეთამდე გადიდდა. მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მოსახლეობაც. 1903 წლისათვის მცხოვ-რებთა რაოდენობამ ბათუმში 3 ათასიდან 35 ათას კაცს მიაღწია. ამასთან ერ-თად საქართველოში ჩამოყალიბდა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარია-ტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მშრომელთა სოციალურ და ეროვნულ გან-მათავისუფლებელ მოძრაობას.

უსასტრიკესი ექსპლოატაცია, მძიმე მატერიალური პირობები, პოლიტიკუ-რი უუფლებობა, ეროვნული ჩაგვრა საქართველოს მშრომელებს ამხელრე-ბდა კაპიტალიზმისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველოსა და ამიერკავკასიის შუშათა კლასი მთელი რუსეთის შუშა-  
თა მოძრაობის განუყოფელ და მებრძოლ რაზმად გადაიქცა.

ვ. ი. ლენინს არაერთხელ ალუნიშნავს ამიერკავკასიის პროლეტარიატის, რევოლუციონერ მარქსისტთა მეტად თვალსაჩინო როლი და დამსახურება კომუნისტური პარტიის შექმნის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვები-  
სათვის ბრძოლაში.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით 1901-1905 წლებში ბა-  
თუმის პროლეტარიატმა მოაწყო გრანდიოზული პოლიტიკური გამოსვლები  
და ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ჩვენი ქვეყნის შუშათა რევოლუციური მოძ-  
რაობის ისტორიაში.

პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოს ბოლშევიკები სათვეში  
ედგნენ საგაფიცვო მოძრაობას, გლეხთა გამოსვლებს, ყველა ღონისძიებით  
განამტკიცებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, იბრძოდნენ კომუნის-  
ტური პარტიის საპროგრამო ლოზუნებისათვის, რათა მსოფლიო იმპერიალის-  
ტური მზი გადაეჭირათ სამოქალაქო ომად, აჩაღებდნენ ფართო ორგანიზატო-  
რულ მუშაობას სოციალისტური რევოლუციის ლენინური იდეების განხორ-  
ციელებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ  
აშერკავკასიის კონტრარევოლუციურმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნა-  
კებმა და მუსავატელებმა, რომელმაც ბლოკი შეკრეს ინგლისელ, ამერიკელ და  
სხვა იმპერიალისტებთან, ამიერკავკასია მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და აქ  
დაამყარეს ბურჟუაზიის ღირტატურა.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო შავბნელი ხანა. მენშევიკების ხელ-  
შეწყობით, მენშევიკებისა, რომლებმაც უღლალტეს ქართველი ხალხის ერო-  
ვნულ ინტერესებს, ჯერ გერმანია-თურქეთის, შემდეგ კი ინგლის-ამერიკის  
იმპერიალისტებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია. ოკუპანტები ბილშავ-  
დნენ ქართულ ეროვნულ კულტურას, იტაცებდნენ საქართველოს სიმღერებს,  
სისხლის მორევში ახშობდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ  
გამოსვლებს. მიუხედავად ამისა, მენშევიკები უსირცხვილოდ გაჰკიონდნენ სა-  
ქართველოს „დამოუკიდებლობაზე“. ამხილებდა რა მენშევიკების გამყიდვე-  
ლობასა და მათი პროპაგანდის სიყალებს, ვ. ი. ლენინი 1918 წლის 29 ივნისს  
წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვ-  
ლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუ-  
პაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული  
ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლე-  
ხების წინააღმდეგ...“ (თხზ., ტომი 28, გვ. 7-8).

1918 წლის აპრილის შუა რიცხვებში თურქეთმა მოახდინა აჭარის თურქა-  
ცია. აჭარის ცხოვრებაში კვლავ დადგა მძიმე პერიოდი. თუმცა მენშევიკები ბევრს  
გაიძახოდნენ, რომ დაიცავდნენ აჭარას უცხოელი ოკუპანტებისაგან, მაგრამ სინამ-  
დვილეში ანტიხალხურ მენშევიკურ მთავრობას ამის არც სურვილი და არც შე-  
საძლებლობა არ ჰქონდა. სამაგიეროდ უორდანია-რამიშვილის ხროვა, იმპერი-  
ალისტური სახელმწიფოების დაქირავებულ აგენტურასთან ერთად, დღითი-  
დღე აძლიერებდა რეპრესიებს რევოლუციური მუშებისა და გლეხების წი-  
ნააღმდეგ. აპატიმრებდნენ და ულმობლად სჯილნენ რევოლუციონერებს, არ-  
ბევდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც სათავეში ედგნენ ხალხის  
მასებს და რაზმავდნენ მათ შინაგანი და გარეშე მტრების კონტრარევოლუციუ-

რი ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

უცხოელი ოკუპანტებისა და მენშევიკების ბატონობის მძიმე წლებში აჭარის ისედაც სუსტად განვითარებული სამეურნეო ცხოვრება კატასტროფულად დაეცა. მრეწველობა და ვაჭრობა ჩაკვდა, დამშეული მოსახლეობის ბეღზე არავინ ზრუნვდა. მასობრივად გავრცელდა მძიმე ინფექციური დაავადებანი. დაიხურა სკოლები და კულტურის დაწესებულებები, რომლებიც მეკობრულად გაძარცვეს და ყაზარმებად აქციეს. შარტო ბათუმის უკუთა გიმნაზიას 849,3 ათასი მანეთი ზარალი მიაყენეს.

თვით მენშევიკური პარტიის ლიდერებიც კი იძულებული იყვნენ საქვეყნოდ ეღიარებინათ აჭარის მეტად მძიმე კონომიური მდგომარეობა, კულტურის დაქვეითება, მოსახლეობაში მენშევიკური მთავრობისა და მისი მოხელეებისადმი სიძულვილის ზრდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი პ. გელეიშვილი 1920 წელს თავის მოხსენებით ბარათში მთავრობის სახელზე, ახასიათებდა რა ბათუმისა და მისი ოლქის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, წერდა, რომ მენშევიკების ბატონობის წლებში აჭარაში „არცერთი ახალი მომხრე და მოყვარე არ შეგვიძენია და რაც გვყავდა სულ ერთიანად მოვიმდურებია და მტერთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაგვირეკიათ“.

მენშევიკების თარეში, მათი ანტიხალხური პოლიტიკა იწვევდა მოსახლეობის პოლიტიკურ უქმაყოფილებას და საკვირველიც არ იყო, რომ მოსახლეობა და მენშევიკური მთავრობის აღმინისტრაცია ერთიმეორის მოწინააღმდეგი ბანაკად გაითიშა. მოხსენებითი ბარათის ავტორი ვერც იმ ფაქტს მალავს, რომ აჭარაში მენშევიკების „ორიენტაციის კაცს ათსაც ვერ შევხვდებით“ და რომ აჭარლებს „ჩვენ ვძულვართ და ვეზიჩნებით და სრულიად საკმარისია რაიმე უსიამოვნება მოვინარდეს და ქართველი მაკაღიანები როგორც ერთი კაცი გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ“ (ც. ს. ა, საქმე № 144, ფ. 1-10).

თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაში გაძლიერდა მზადება მენშევიკური ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ყველა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მენშევიკები მთლიანად გაკოტრდნენ. მასების დიდი უმრავლესობა და ჯარისკაცები ბოლშევიკების მხარეზე აღმოჩნდნენ.

1921 წლის 17 მარტს, ღამით, ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც შეიარაღებულ მასებზე დაყრდნობით და გმირული წითელი არმიის დახმარებით 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადა. ამ დღიდან დასაბამი მიეცა განახლებულ აჭარას, დაიწყო მისი ნამდვილი აღმინებისა და აყვავების პერიოდი.

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს, მათ შორის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა მშრომელს გაღაუშალა განვითარების უმდიდრესი პერსპექტივები და განუსაზღვრელი შესაძლებლობანი.

ქართველი ხალხი, კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული გრანდიოზული ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული, კანონიერი სიამყის გრძნობით აჯამებს ორმოცი წლის გმირული ბრძოლისა და შორმის შედეგებს და თავისი დიდი ეროვნული დღესასწაულის— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორშოცი წლისთავს შეხვდა მტკიცე გადაწყვეტი-

ლებით — სსრ კაცირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში გაერთიანებულმა განუხრელად იაროს წინ, — კომუნიზმის გამარჯვების დიალი გზით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველიცე დღეებიდან აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ რევოლუციური კომიტეტები წარმოადგენდნენ, ხოლო შემდეგ, 1922 წლის იანვარში, არჩეულ იქნა მუშათა, გლეხთა და გარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, სახალხო ხელისუფლება, რომელმაც ცენტრში და ოდგილებზე შექმნეს მმართველობის ორგანოები. საბჭოები და მისი მმართველობის ორგანოები სათავეში ჩაუდგნენ მძიმე სოციალური და ეროვნული ჩაგრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ მასებს და აქტიურად ჩააბეს ისინი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. საბჭოები ქალაქისა და სოფლის მშრომელების მასობრივი ორგანიზაციები გახდნენ. ისინი იქცნენ მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფო ორგანოებად, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ღონისძიებანი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ახალი სახელმწიფოებრივი ორგანოები ბევრი სიძნელისა და დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ორგანიზაციული მუშაობის ცოტად თუ ბევრად სრულყოფილი ფორმები და მეთოდები, დაქვეითებული და განადგურებული სახალხო მეურნეობა ვერ აქმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნებს. ამით სარგებლობდნენ დამარცხებული, მაგრამ იმ დროისათვის ბოლომდე გაუნადგურებელი ექსპლოატატორული კლასები და ყველა ღონისძიებით ცდილობდნენ შექმნილი სიძნელეები გადაებრალებინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საბოტაჟით, დივერსიით, აშკარა თუ ფარული მტრული საქმიანობით ძირი ვამოეთხარათ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის, აღედვინათ ბურჯუაზის, მემამულეებისა და აღაბეგების დიქტატურა. მაგრამ მტრული ძალების წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. საბჭოთა ხელისუფლება დღითიდლე მტკიცდებოდა. დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში ამბობდა: „საბჭოები არასოდეს არ დაიღუპებიან; 25 ოქტომბრის რევოლუციამ დაგვიმტკიცა ეს. საბჭოები არასოდეს არ დაიღუპებიან, იმიტომ რომ ისინი შეიქმნენ ჯერ კიდევ 1905 წლის პირველი რევოლუციის დროს, შეიქმნენ თებერვლის რევოლუციის შემდეგაც, და ეს მოხდა არა ვისიმე პირადი წამოწყებით, არამედ ძირიდან, ხალხის მასების ნებით“ (თხ. ტომი 26, გვ. 416-417).

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს აჭარის გლეხთა ყრილობამ და ფუხარა კომიტეტებმა, რომლებიც მოეწყო 1921 წლის ნოემბერში. გლეხთა ყრილობამ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიწის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგებისა და სხვათა შესახებ. ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად აღიარეს მიწათსარგებლობის ფეოდალურ-პატრიარქალური ფორმების გაუქმების აუცილებლობა, მოითხოვეს მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მშრომელი გლეხობის სარგებლობაში მისი უსასყიდლოდ გადაცემა. გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილებები დაეხმარა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს აგრარული საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტასა და უაღრესად პრიმიტიული და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნაში.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივნისის № 54 დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის პოლიტიკურ, ეკონო-

მიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კომუნისტური მთავრობის ბრძნული ლენინური ნაბიჭი, მიმართული იქითკენ, რომ აჭარის მშრომელებს მოკლე დროში მოეშუშებინათ მძიმე ისტორიული წარსულით მიყენებული ჭრილობები. როგორც ცნობილია, აჭარლები ცალკე ეროვნებას არ წარმოადგენენ. ისინი, ისევე როგორც გურულები, მეგრელები, იმერლები, კახელები და საქართველოს სხვა კუთხის მშრომელები, ეროვნებით ქართველები არიან. მაგრამ აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო დედა-საშობლოს, რამაც საქართველოს ამ კუთხის მეურნეობას, მოსახლეობის ყოფაცხოვრებასა და კულტურას მძიმე დაღი დასვა. ასეთ ვითარებაში აჭარის ავტონომია აღმოჩნდა სახელმწიფო მართვის სიცოცხლისუნარიანი ფორმა. ავტონომიამ დააჩქარა საწარმოო ძალების განვითარება, ხელი შეეწყო ძველი, პატრიარქალური ადათ-წესების დაძლევას, მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებას, მათი სულიერი კულტურის გამოცოცხლებას, აღორძინებასა და აყვავებას.

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში გაჩაღდა ფართო მასშტაბის ორგანიზატორული მუშაობა გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მისცა რეა მილიონზე მეტი მანეთი ოქროთი, რითაც მას საშუალება მიეცა სწრაფად დაწყის მრეწველობის, მათ შორის მძიმე მრეწველობის განვითარება, სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია.

აჭარაში ზედიზედ შეიქმნა და დიდად განვითარდა ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსამშენებლო, გემთსამშენებლო, საშენ მასალათა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, ქიმიური, ტყავ-ჯეხსაცმლის, სამკერვალო, ჩაის, საკონდიტერო, საკონსერვო, ზეთსახდელი, თამბაქოს, ციტრუსგადამმუშავებელი, ხორცის, რძის, თევზის, ლუდ-ლიმონათის მრეწველობა. ამჟამად მწყობრშია ორმოცდახუთი მარტო მსხვილი ფაბრიკა და ქარხანა. აჭარის სამრეწველო საწარმოების პროდუქცია დღეს უხევად იგზავნება არა მარტო საბჭოთა კავშირის მიმდე რესპუბლიკებში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც. 1960 წელს აჭარის მრეწველობამ 70,7-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1928 წელს, და 175-ჯერ მეტი, ვიდრე 1923 წელს.

სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში მრეწველობის განვითარება. აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონის ამაღლება შეუძლებელი იყო ელექტროფიკაციის გარეშე. მართალია, აჭარა პიღროენერგეტიკული რესურსების მხრივ საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი მხარეა. მაგრამ რევოლუციამდე ამ რესურსების, ისევე როგორც სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებასა და განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. საკმარისია ითქვას, რომ 1921 წლამდე აჭარაში არ იყო არც ერთი პიღროელექტროსადგური, ამჟამად კი მუშაობს ოცდაორმეტი სახელმწიფო და საკოლმეტრნეო პიღროელექტროსადგური. მარტო აწვესის სიმძლავრე ორჯერ აღემატება ყველა იმ ელექტროსადგურის სიმძლავრეს, რომლებიც მოქმედებდნენ მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

პარტიის X X I ყრილობამ დაგვისახე ელექტროტექნიკური მრეწველობის სწრაფი განვითარების ფართო პროგრამა. ამის შესაბამისად ბათუმში 1959 წელს შეიქმნა სამი ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა, რომლებიც უშვებენ სარეცხ მანქანებს, ელექტროკარებს, ლაბორატორიულ ავტოტრანსფორმატორებს.

ჩებს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ხელსაწყოებს. მარტო ამ ქართველების პროდუქციის ღირებულება შეიძლება ბოლოს ორას მილიონ მანეთს გადააჭარბებს (ძველი ფულით).

აჭარის სამრეწველო საწარმოების მუშაკებს, ინენერ-ტექნიკოსებს, ნოვატორული კომუნისტური შრომის ოსტატებს, მუშებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ტექნიკური პროგრესის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში. ისინი ავლინებენ ჯერ კიდევ გამოყენებელ რეზერვებს, განუწყვეტლივ ადიდებენ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობას, აუმჯობესებენ ხარისხს, აფართოებენ ასორტიმენტს, ამცირებენ მზააწარმის თვითორებულებას.

სახელმართო კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და შეიძლება შეიძლება მესამე წლის მალალი მაჩვენებლებით დამთავრების მიზნით ბათუმის მშრომელებმა გადაწყვიტეს საერთო პროდუქციის გამოშვების 1961 წლის ათი თვის გეგმა შესარტულონ ყრილობის გახსნის დღის — 17 ოქტომბრისათვის, ხოლო წლიური გეგმა — არაუგვიანეს 15 დეკემბრისათვის და სამშობლოს მისცენ ხუთი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მონაპოვართა, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად აჭარის მრეწველობის მუშაკები ყოველწლიურად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას. 1959 წელს 1928 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 5,5-ჯერ გადიდდა.

საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მეოხებით ბათუმი — აჭარის ასს რესპუბლიკის დედაქალაქი, რომელიც წინათ პატარა პროვინციულ ქალაქად ითვლებოდა, გადაიქცა ჩვეული შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ და ულამაზეს ქალაქ-კურორტად. ბათუმს ამშვენებს ფაბრიკა-ქარხნები, კულტურის დაწესებულებები, სწორი ქუჩები, მშენები გაზონები, პარკები და სკვერები. ი. ბ. სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკი გამოიჩინება სუბტროპიკული ჯიშის მცენარეთა ხეივნებით. სამი წლის წინათ ბათუმში დაიდგა კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ახალი დიდებული ძეგლი. სანაპირო პარკის მთავარი შესასვლელის ფონზე აღმართულია ი. ბ. სტალინის ძეგლი.

შვიდწლებში ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგება აჭარის მრეწველობის შემდგომი მძლავრი განვითარების გზაზე. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება 1,8-ჯერ გადიდდება. გათვალისწინებულია ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, ასებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია და მათი უახლესი ტექნიკით აღჭურვა.

1965 წელს 1958 წელთან შედარებით მანქანათსამშენებლო და გემთსამშენებლო ქარხნების პროდუქცია გაიზრდება 2-2,5-ჯერ, ხოლო ნავთობგადამტუშავებელი ქარხნისა — 50 პროცენტით. მანქანათსამშენებლო ქარხანა ძირითადად გამოიშვებს ჩაის გადამუშავებელი, კონსერვის, ლვინისა და კვების მრეწველობის სხვა დარგებისათვის საჭირო მოწყობილობას. საგრძნობლად გადიდდება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის წარმოება.

ბათუმში უკვე დაიწყო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ავეგის კომბინატის მშენებლობა. აშენდება ორი ჩაის ფაბრიკა, პურის მექანიზებული ქარხანა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კაბიტალურ დაბანდებას. მარტო ბიუჯეტის ხაზით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოულობამ 4,3 მილიონი მანეთიდან 1950 წელს მიაღწია 94,6 მილიონ მანეთს

1959 წლისათვის; ე. ი. გაიზარდა 22-ჯერ. წინა შვიდ წელთან შედარებით მიმდრინარე შვიდწლებში კაპიტალური დაბანდება გაიზრდება 3-ჯერ. ახალ სეწარმოთა მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქცია-გაფართოებასთან ერთად შემდგომ კეთილმოწყობა რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები, აიგება ორასი ათასი კუბიკური მეტრი საერთო ფართობის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. შემდგომ განვითარდება ტრანსპორტი, კომუნალური მეურნეობა და კავშირგაბმულობა. კაპიტალური მშენებლობის მდგრადი ამოცანების შესაბამისად ხორციელდება ფართო ღონისძიებები სამშენებლო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. სამშენებლო ორგანიზაციები უხვად მარაგდებიან მაღალმწარმოებლური მანქანა-მექანიზმებით, ფართოვდება ასაწყობი რკინა-ბეტონის გამოყენების მოცულობა, განუწყვეტლივ იზრდება მექანიზატორთა და მშენებელთა კვალიფიკაცია. № 5 სამშენებლო ტრესტის სიმძლავრე შვიდწლებში 2.5-ჯერ გაიზრდება და 1961 წლიდან იგი ყოველწლიურად შესარტულებს სულ ცოტა 100-120 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არსებითად შეიქმნა და დიდად განვითარდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა.

ამჟამად აჭარაში არის 166 კოლმეურნეობა და 16 საბჭოთა მეურნეობა. სოფლის მეურნეობის საკოლმეურნეო რელსებზე გადაყვანამ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციამ და მიწათმოქმედებაში აგრონომიული მეცნიერების მონაპოვართა დანერგვამ აჭარის კოლმეურნე გლეხობას საშუალება მისცა გაედიდებინა ნათესი ფართობები, აემაღლებინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შეექმნა სოფლის მეურნეობის სრულიად ახალი დარგები.

განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ისეთი კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ტუნგო, დაფნა, ვენახი და სხვ.

ჩაის წარმოებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია როდი აქვს. იგი არსებითად საბჭოთა პერიოდის პირმშოა. მაგრამ ამ მოკლე დროში სამამულო ჩაის წარმოება ჩვენში დიდად განვითარდა და საერთო აღიარება დაიმსახურა.

ამ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთვისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, თქვა: „სავსებით სამართლიანი იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესო ჩაის მოსავლით. ვფიქრობ დამეთანხმებით, რომ ეს მარტო კლიმატური პირობებით არ აიხსნება. ბევრ სხვა ქვეყანას ხომ არა უარესი, არამედ შესაძლოა უკეთესი კლიმატური პირობებიც ჰქონდეს ჩაის მოსავლად, ვიდრე საქართველოს. თქვენი ჩაის მაღალ ხარისხს მე მიწათმოქმედების კულტურით ვხსნი“.

ჩაის პლანტაციები ახლა 6.470 ჰექტარზეა გადაჭიმული, ნაცელად 914 ჰექტარისა 1921 წელს, ხოლო ჩაის ფოთლის საერთო მოსავალმა შარშან 26,691 ტონა შეადგინა, ნაცელად 1921 წელს მოკრეფილი 355 ტონისა. ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 4.796 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცელად 392 კილოგრამისა 1921 წელს.

ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქობულეთის რაიონის მეჩაიერება. შარშან, მაგალითად, ჰექტარიდან საშუალოდ მიღებული 5.012 ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც სარეკორდო მოსავლად ითვლება არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

სკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს რთველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მღვივანმა ვ. ვ. შევანაძემ ქართველი მეჩაიერების სახელით პარტიის XXI ყრილობას პირობა მისცა, რომ ჩაის პლატაციების მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესების გზით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავალი 1965 წლისათვის აკანილი იქნება ორასი ათას ტონამდე, ნაცვლად დაგეგმილი 170 ათასი ტონისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მეჩაიერები ძირითადად დააკმაყოფილებენ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას სამამულო წარმოების ჩაიზე. ამის შესაბამისად და სკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად აჭარის მეჩაიერებმა ვალდებულება იყიდვეს წელს მოკრიფონდა სახელმწიფოს ჩააბარონ 28.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 2.600 ტონა ნედლეული.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩეარი ტემპით განვითარდა ციტრუსოვანთა კულტურები. თუ 1923 წელს ციტრუსოვანთა საერთო ფართობი 451 ჰექტარს უდრიდა, მიუხედავად დიდი ზარალისა, რომელიც აჭარის სუბტროპიკულმა მეურნეობამ განიცადა 1949-1950 წლების ძლიერი ყინვების დროს, ჩვენი მეციტრუსეების თავდაცებული შრომის მეონებით წელს ციტრუსოვანთა ფართობი 5.266 ჰექტარამდე გადიდდა. უკვე შარშინ აჭარამ სამშობლოს მისცა 394 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად 1921 წლის 3 მილიონი და 1953 წლის 239 მილიონისა.

აღდგა უცხოელთა ბატონობის პერიოდში ამობირკვეული მევენახეობა. ვენახის ზერებს ახლა უკირავს 677 ჰექტარი, ნაცვლად 68 ჰექტარისა 1940 წელს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე თამბაქოს, ტუნგოს, ბამბუკის, დაფნის და ხეხილის პლატაციები და ბალები.

საგრძნობლად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ყოველწლიურად იზრდება მისი პროდუქტიულობა. თუ ერთ საფურაუე ძრობაზე 1954 წელს მიღებული იყო 523 კილოგრამი რძე, 1960 წელს მიღებულია 1.302 კილოგრამი, ე. ი. ძროხების წველადობა გადიდდა თითქმის 2.5-ჯერ.

დიდი პერსპექტივებია დასახული მიმდინარე შვიდწლედში. აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა იყიდვეს 1965 წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიყიდონ ოცდათერთმეტი ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად დაგეგმილი 27.830 ტონისა, 35 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად 30 ათასი ტონისა, 2.550 ტონა თამბაქო, ნაცვლად 2.214 ტონისა, 15 ათასი ცენტრერი ხორცი და 50 ათასი ცენტრერი რძე, ანუ 1.494 ცენტრერით გეტი ხორცი და ათი ათასი ცენტრერით მეტი რძე. გარდა ამისა, 910 ჰექტარზე გაშენდება ციტრუსოვანთა ახალი პლატაციები, 2.029 ჰექტარზე — ხეხილის ბალები, 450 ჰექტარზე — ვენახი და 205 ჰექტარზე — კეთილშობილური დაფნის პლატაციები.

აჭარის ასრ მშრომელები წარმატებით ასრულებენ ყველა სახის სამეურნეო გეგმებს და ნაკისრ საპატიო ვალდებულებას — ხუთ წელიწადში განახორციელონ შვიდწლედი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებამ ეკონომიურად და ორგანიზაციულად განამტკიცა კოლმეურნეობები, აამაღლა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. ასე, მაგალითად, შარშან კოლმეურნეობათა შემოსავალმა შეადგინა 23,2 მილიონი მანეთი, რაც 1953 წლის შემოსავალს 8.5 მილიონი მანეთით აღემატება.

კოლმეურნეობათა მეურნეობრივ-ორგანიზაციული განმტკიცების კულტურული განვითარების განვითარების მეტი უძრადღება მივაქციოთ სოფლების შემდგომ კეთილმოწყობა-გალამაზებას.

სოციალისტური სოფლის ცხოვრებაში ახალი საყურადღებო მოვლენა ის არის, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა თავიანთი საკუთარი მატერიალური და ფულადი რესურსების გეგმაზომიერი გამოყენების გზით ხელი მოჰკიდეს სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, სამშობიარო სახლებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობას. ახლა თითქმის ყველა სოფელში ანათებს ილიჩის ნათურა, გაყვანილია სამანქანე გზა, მოეწყო რადიო და სატელეფონო მომსახურება.

როგორც ვთქვით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარის სოფლის მეურნეობა დიდად განვითარდა და მთლიანად იცვალა სახე. მაგრამ მიღწეული დონე ზღვარი როდია. ჩვენს სოფლის მეურნეობას ყველა დარგში აქვს შემდგომი წინსვლის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი და რეზერვები.

სკპ ცენტრალური კომიტეტის მიმღინარე წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამხანავ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული გამოსვლა პლენუმზე და მისი სიტყვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თაბირზე წარმოადგენენ ჩვენს საბრძოლო პროგრამას და გვავალებენ კიდევ უფრო სრულყოფთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, რათა მთლიანად გამოვიყენოთ ამ დარგში არსებული ყველა შესაძლებლობა.

ამჟამად აჭარის მშრომელები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა პირნათლად გაანალიზონ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება, სრულად გამოავლინონ და ხალხის სამსახურში ჩააყენონ სახალხო მეურნეობის ჭერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები.

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. რევოლუციამდელ აჭარაში იყო ერთი საავადმყოფო ასოცი საწოლით და რამდენიმე საექიმო და საფერშლო პუნქტი. ახლა კი აჭარაში მუშაობს ოცდაჩემდეტი საავადმყოფო 1.885 საწოლით, ორი სამშობიარო სახლი ასსამოცდათი საწოლით, შვიდი დისპანსერი ასათი საწოლით, ოცდაცხრა ამბულატორია-პოლიკლინიკა, სამოცდათექვსმეტი საექიმო და საფერშლო-საპებიო პუნქტი, ორმოცდაექვსი მუდმივი და ოცდაშვიდი სეზონური ბავშვთა ბაგა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი, რომლებიც უფარ მომსახურებას უწევენ მშრომელებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აჭარაში მუშაობდა ოცდახუთი ექიმი და ორმოცდახუთი ექიმის თანაშემწე, ახლა კი სამკურნალო დაწესებულებებში 708 ექიმი და 1.969 საშუალო სამედიცინო პერსონალი ითვლება, მთა შორის ორი მედიცინის მეცნიერებათა ღოქტორი და ათი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

საბიუჯეტო და საკოლმეურნეო სახსრების გამოყენებით სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის აშენდა ახალი საუკეთესო შენობები. წელს, მაგალითად, ექსპლოატაციაში შეციდა ბარკენის ასაწოლიანი საავადმყოფო. მთავრდება ქობულეთის საავადმყოფოს, ხოლო ამას წინათ დაიწყო ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობა.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებამ მკვეთრად გაზარდა შობაღობა და სიცოცხლის საშუა-

ლო ხანგრძლიობა. საკმარისია ითქვას, რომ 1958 წელს 1940 წელთან შედარებით საერთო სიკვდილიანობა ოცდათი პროცენტით შემცირდა, ხოლო ბავშვთა ზეკვდილიანობა — სამოცდაერთი პროცენტით. სამუდამოდ ლიკვიდირებულია ისეთი მძიმე დაავადებანი, როგორიცაა ყვავილი, შავი ჭირი, ხოლერა, ტიფი, მალარია, რომლებიც წინამ მუსრს ავლებდა მოსახლეობას.

მთელ საბჭოთა კავშირში კარგად არის ცნობილი აჭარის კურორტები — ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური. ზღვისა და მთის შეზავებული რბილი და ზომიერი ჰავა, ძვირფასი მარადმწვანე სუბტროპიკული ფლორა და ფაუნა, შესანიშნავი სამკურნალო წყლები საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ხანია ჩააყენა ხალხის სამსახურში. აჭარის კურორტებზე საბჭოთა კავშირის ყველა მომზე რესაუბლივიდან ყოველწლიურად ისცენებს ასი ათასამდე მშრომელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმატებით განხორციელდა კულტურული რევოლუცია. წერა-კითხვის უცოდინარობა და საერთო ჩამორჩენილობა, რაც რევოლუციამდელი აჭარის მძიმე ხევლი იყო, კარგა ხანია საბოლოოდ აღმოიფხვრა. აჭარაში ქართული კულტურის ზრდის მაჩვენებელია სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა. ამჟამად რესაუბლივია არის 450 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სასწავლებელი, ტექნიკური, სკოლა-ინტერნატი, პიონერთა სახლი, 150-ზე მეტი საკლუბო დაწესებულება, 280-მდე ბიბლიოთეკა, ოცი კულტურის სახლი.

მოსწავლეთა რაოდენობამ ყველა სახის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 1928 წლის 12,9 ათასიდან 1960 წლისათვის მიაღწია 43,1 ათას კაცს. აჭარის დედაქალაქში — ბათუმში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებელი — პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც თავისი ასეუბობის ოცდახუთი წლის მანძილზე მოამზადა ხუთი ათასამდე მაღალკავალიფიციური სპეციალისტი. შეიქმნა აღგილობრივი კვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ნაყოფერ მუშაობას ეწევა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

ჩაისა და ციტრუსების გაშენების შეთაღებისა და მოვალა-პატრონობის აგროტექნიკური წესების შემუშავებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალმა. აკადემიკოს ქს. ბახტაძის ხელმძღვანელობით აქ გამოყვანილი ჩაის სელექციური ჯიშები გამოიჩინევა უხევი მოსავლიანობით და ფართოდ ინერგება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. მათი ფართობი შვიდწლედის ბოლოს უნდა აღემატოს ერთი ათას ჰექტარს.

მთელ საქართველოში ცნობილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად გადაიქცა ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომლის ფლორისტული განყოფილებები 1.500-ზე მეტი დასახელების უნიკალური ჯიშების მცენარეთა ცოცხალ მუზეუმს წარმოადგენს. ბოტანიკური ბაღის მეცნიერები უმთავრესად მუშაობენ სუბტროპიკული კულტურების ათვისებისა და განვითარების პრობლემებზე. ბაღის კოლექტივი მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტშია სსრ კავშირისა და უცხოეთის ბევრ შეცნიერულ-კვლევით დაწესებულებასთან.

1958 წელს ბათუმში დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, რომელმაც უკვე ფართოდ გაშალა მუშაობა აჭარის კონომიური და კულტურული ცხოვრების აქტუალური პრობლემების მეცნიერული შესწავლისათვის.

აჭარის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა უურნალ „ლიტერატურული აჭარის“ დაარსება. უურნალმა თავისი არსებობის მოვლე დროის მანძილზე ბევრი საინტერესო მასალა გამოაქვეყნა, რომლებშიც ასახულია ჩვენი

ადამიანების ცხოვრება, მათი ბრძოლა კომუნიზმის დიადი საქმისათვის. უურნალ-მა ხელი შეუწყო ახალი კაღრების გამოვლინებას, შემოქმედებით და მეცნიერი მუშაკების საქმიანობის გრძითარებასა და ზრდას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში იშვა და აყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენს მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, არტისტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფორმით ქართული ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში. მხცოვანი მწერლების — პარმენ ლორიას, ნესტორ მალაზინის, პარმენ რურუს გვერდით ნაყოფიერად მუშაობენ მწერალთა ახალი თაობის წარმომადგენლები — ამირან შერგაშიძე, კაპიტონ რუსიძე, ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, ნანა გვარიშვილი, გიორგი სალუქვაძე, ლევან გვლაძე, ჯგუმალ ჯავახიშვილი და სხვები. ბევრი მათგანის სახელი საკმაოდ პოპულარულია არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში. ბევრმა ნაწარმოებმა, რომლებიც აჭარაში მომუშავე მწერლებმა შექმნეს, მყითხველთა სამართლიანი, დამსახურებული მოწონება დამსახურა. ახლა ბათუმი სამართლიანად ითვლება საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრად.

აჭარას აქვს საკუთარი სახელმწიფო გამომცემლობა, სტამბები, გამოღის წიგნები. უურნალ-გაზეთები მრავალრიცხვანი ტირაჟით.

თუ 1878-1921 წლებში ბათუმში ათოუდე წიგნი გამოიცა და ისიც უმნიშვნელო ტირაჟით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორმოცი წლის მანძილზე აჭარაში გამოიცა 600-მდე დასახელების წიგნი 1,5 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. ეს არის მრავალფეროვანი ლიტერატურა — მოთხრობები და რომანები, ლექსები და პოემები, საბავშვო ნაწარმოებები, მხატვრული ნარკვევები, მეცნიერულ-პოპულარული ბროშურები, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურა.

დიდად განვითარდა აგრეთვე ხალხური თეათროქმედი შემოქმედება. ამჟამად აჭარაში არის 164 თეათროქმედი კოლექტივი ხუთი ათასამდე შემსრულებლით. მათგან ცხრა კოლექტივმა 850-მდე შემსრულებლით ქ. თბილისში მონაწილეობა მიიღო სქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ოლიმპიადაში. ეს ჩვენი მშრომელების კულტურული დონის ამაღლების, მათი რიგებიდან გამოსული ათასობით ადამიანის მხატვრული ნიჭის გაფურჩქვნის შეაფიო დაღასტურებაა.

აგარებენ რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორმოცი წლისთავის შედეგებს, აჭარას მშრომელები უსაზღვრო მადლიერების გრძნობას გამოხატავენ ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელსაც სათავეში უდგას ხალხთა მშვიდობისა და ბერნიერებისათვის დიდი მებრძოლი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

აჭარას მშრომელები საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორმოცი წლისთავს ზეიმობენ მტკიცე გადაწყვეტილებით — კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყველა გადაწყვეტილების შესასრულებლად და სკეპტიკიზმის ურთისას განვითარებას და ბერნიერებისათვის დარაზმულნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით, მტკიცედ იარონ წინ — კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების ნათელი გზით.



## პარენ გუაშა

გამარჯვებიდან გამარჯვებისენ

წინათ რა მქონდა გასახარელი,  
 ჩემს ქვეყნის მნათობს ნისლი ფარავდა.  
 ბევრი ყვავილი დამიჭვნო სუსხმა  
 და თმაც უღროოდ გაჭალავდა.  
 ნარი ეყარა ჩემს სავალ გზაზე,  
 სასმელში ბევრი მწარე ერია, —  
 მაგრამ ნათელმა გაფანტა ბნელი,  
 ღლეს სიხარული ბევრზე ბევრია.  
 ალსდგა, განახლდა ჩემი ქვეყანა,  
 ჩემი მამული გახდა სვიანი!  
 ავი ბურანი გაქრა წარსულის,  
 ამალლდა სულით აღამინი.  
 სხივი შეიჭრა ჩვენს ცხოვრებაში,  
 მნათობი ბრწყინავს ჩვენს მთების ზემო!  
 გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ  
 სულ წინ იარე, სამშობლოვ ჩემო!



## ნესტორ მაღაზინია

### ს ი მ ღ მ რ ა დ ი ძ ვ ა

ჩვენი წარსული? ნუ მეკითხებით!  
 ცეცხლს დაებუგა მთა და ველები,  
 იბრძოდნენ უხმლოდ,  
 იბრძოდნენ ხმლებით  
 კახაბრები და არაგველები.  
 ჩვენი წარსული? ცლიდნენ მარჯვენას  
 ოფლით,  
 ბოგინით და გაჭირვებით,  
 ბედს იწყევლიდნენ, თავს და გაჩენას  
 თურქეთს წასული მუჰაჭირები.  
 ჩვენი წარსული? ვაგლახ, როგორ ვთქვა,  
 ბოლმა მოედო გულს მარწუხივით, —  
 იყო გასაყიდ ლამაზ გოგოთა  
 ერთი მოიშა და გულისწუხილი...  
 ახლა? ო, ახლა გაგვიხარია,  
 როგორც არავის ჯერ ქვეყანაზე,  
 პურის ხვავია,  
 თუგის ხვავია,  
 ცხოვრების შნოა და სილამაზე.  
 ახლა? სიმღერაც სიმღერად იქცა  
 და ორმოცი მზის დანაკოცნია!  
 შენ შემოგევლე, მშობელო მიწავ,  
 ორმოცი წელი მომილოცნია!



## პერენ ღორის

### სამშობლო, დედის ძუძუ...

მატარებლიდან ყველაზე უწინ ის ჩამოვიდა, მაგრამ ყველაზე ბოლოს დატოვა ბაქანი, შარაგზაზე გავიდა და გაჩერდა.

— ქალაქისკენ აპირებთ, ძია? — მის წინ დაამუხრუჭა მანქანა ვიღაც ჭაბუკმა.

უცნობმა თავის გაქნევით ანიშნა უარი.

ახლა ქალაქიდან მომავალი მანქანა გაჩერდა მგზავრთან და ვიწრო სარკმლიდან სანდომიანმა ქალიშვილმა გადმოანათა.

— რაიონისკენ მოდიხართ, ბაბუ?

მგზავრმა იმასაც თავის გაქნევით ანიშნა უარი.

გაზაფხულის მზე მთას გადმოადგა. უცნობმა მნათობს ახედა და, ბოლოს, ოვალმისაწვდომი არე-მარე შეათვალიერა.

დიდხანს იდგა ერთ ადგილას. გულდასმით ზეერავდა მახლობელ ბორცვებს.

უცრალ, თითქოს ნაცნობი გზა იპოვაო, ჩქარი ნაბიჯით გადასჭრა შარა, მეორე მხარეს გადავიდა და სერჩე მიკლაკნილ ბილიკს შეჰვევა.

დიდი მანბილი არ გაუვლია, იქვე ფერდობის ძირში მორავრაკე წყაროსთან ჩამოისვენა.

ზევიდან ახალგაზრდა ვაჟი ჩამოჰყენა ბილიკს. უცნობი მგზავრი რომ დაინახა, სალამი ჭყადრა.

— ჭაბუკო, მითხარ, შენს გახარებას, აქ რომ პატარა ქოხი იდგა, რა იქნა?

ჭაბუკმა გაკვირვებული თვალები მიაპყრო უცნობს.

— აქ ქოხი? არ ვიცი. აქ არასოდეს არ მდგარა ქოხი!

მგზავრმა ქუდი მოიხადა და ჭაბუკა თმაზე ხელი გადაისვა.

— როგორ თუ არა! — გაიკვირვა მან. — აი ეს მუხა. კარგად ვიცნობ მას. აქვე მახლობლად იდგა ქოხი. ერთი ჩემი ნაცნობი ცხოვრობდა შიგ.

— არა, არ ვიცი. მე აქ ქოხი არ მომსწრებია და ვერაფერს გეტყვით. — ცოტა იყუჩა ჭაბუკმა და შემდეგ ჭიოთხა:

— სადაური ხართ?

— არც სადაური! — უპასუხა მოხუცმა და ცას ახედა.

ვაჟმა გაოცებით მიაპყრო თვალი.

— არც სადაური? განა იქნება ისეთი კაცი, სამშობლო კუთხე რომ არ გააჩინებოდა  
დეს?

— სამშობლო კუთხე?! შენ კი გაქვს იგი?

— რას ამბობ, ბაბუ? ეს ქვეყანა განა ჩემი და ყველა ჩემისთანას სამშობლო  
არ არის? საიდან მობრძანდებით?

მოხუცმა იყუჩა.

— როგორ, არ გინდათ მითხარა? იქნებ თავისთავის ცნობაც არ გაქვთ და  
გინაობაც გადაგავიწყდათ? — ჭაბუქს უხეშად გამოუვიდა, მაგრამ უცნობმა ეს  
არ იწყინა.

— იმ ღელეში რა შენობაა, აგრე ლალად რომ დგას?

— ამ სოფლის ელსადგურია. მეათე წელია სინათლეს გვაწვდის.

— მიღმა რომ დიდი სასახლე მოჩანს?

— სკოლაა.

— მის გვერდით?

— კულტურის სახლი, სოფლის კლუბი და სამკითხველო.

— ის სახლები, ქედების კალთებს რომ შემოჰქმდნა?

— ჩვენი სოფელია, შეწირულს ეძახდნენ წინათ, ახლა კი გამარჯვებას.  
ვუწოდებთ.

— შორს რომ ლამაზი ქალაქი მოჩანს? — მეორე მხარეს გახედა მგზავრმა.

— რაიონის ცენტრია.

— სოფელი... რაიონის ცენტრი... ელსადგური. სკოლა! კლუბი. სამკითხ-  
ველო. — მიმოავლო მოხუცმა თვალი და ჩაფიქრდა.

— რა გივირს, ბაბუ, პირველად ხომ არ ხარ ჩვენს მიწაზე?

— არა. მიწაზე დიდი ხანია დავეხეტები. — ნაღვლიანად აღმოხდა მოხუცს.

— კიდით კიდემდე შემოვლილი მაქვს იგი, მაგრამ... მაშ, შენ არ იცი რა ბედი-  
ეწია იმ ფიცრის ქოხს, ბებერი მუხის ახლოს რომ იღვა?

— არა. ვერ ვეტყვი. რაც არ მახსოვს, როგორ უნდა ვოქვა? აი, ბაბუა მო-  
დის, იმას ვკითხოთ. — და ვაუმა ბილიკით მომავალ მოხუცს ახერა.

ორი მოხუცი პირისპირ დადგა.

თავი დაუკრეს და სალაში მისცეს ერთიმეორეს.

უცნობმა ახლა მოხუცს ჰკითხა ქოხის შესახებ.

— აი, მაღლოპტე რომ ოდა მოჩანს, იმის კედლებს შეეწია მისი ფიცრები.  
მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი იქნება...

— მაშ კავლიაშვილს ვალში აართვეს საცხოვრებელი?

— ვალშიო? — გაკვირვებით შეხედა უცნობს მოხუცმა. — ვალში სახლს.  
აბა ვინ წართმევდა? თავად დაშალა და ახალი სახლის მასალას წაახმარა.

— თავად დაშალა?

— აბა რა გიკვირს, ადამიანო?! ჩვენ ყველამ ახალ ოდებს მოვახმარეთ  
მამისეული სახლის ნარჩენი.

— თქვენც ქაური მკვიდრი ბრძანდებით? — დაინტერესდა უცნობი მგზა-  
ვრი.

— მალე ორმოცი წელი იქნება, რაც ამ კუთხეში დავიდე ფუძე და გადმოვ-  
სახლდი. თქვენ, ალპათ, იცნობთ აქაურობას. ყოფილხართ ჩვენს უბანში?

— დიახ, ვყოფილეარ. აქ დავბადე და ფეხი აქ ავიდგი, მაგრამ...

— სხვა კუთხე მოგეწონა და იქ გადასახლდით? საქართველოში ბევრი  
მშვენიერი სოფელია. დიდი ხანია, რაც წადით?

— ორმოცდათზე მეტი იქნება. თვრამეტი წელი შისრულდებოდა იმ ხანე-  
პში.

— საქართველოში, სადაც არ უნდა იყო, ყველგან ერთნაირად იგრძნობ მი-  
წის საამურ სუნთქვას და მზის მხურვალებას.

— არა, მე სულ სხვა გზა და სულ სხვა ქვეყანა ავირჩიე სახეტიალოდ. —  
თქვა უცნობმა.

— რუსეთი? არა უშავს. ისიც ხომ ჩვენი ქვეყანა და სამშობლოა!

— სამშობლო? — გაიმეორა უცნობმა. — მერე ნამდვილად გაქვთ თქვენ  
სამშობლო?

— უსამშობლო ადამიანი როგორ იხარებს?! — ბაბუას ნაცვლად შეაგება  
ჭაბუკმა.

— მართალი ხარ. იმიტომაც ვერ გავიხარე. — თქვა უცხო მგზავრმა და  
ზურგით ბებერ მუხას მიეყრდნო.

ჭაბუკმა ბაბუას შეხედა. ალბათ, უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ვერ ჰყად-  
რა. მოხუცი მაინც მიუხვდა ბადიშს და უცნობ მგზავრს მორიდებით შესთავაზა:

— აქვე ახლოს ვართ. წამობრძანდით, დაიმუხლეთ, ხილი იხილეთ, პური  
იგემეთ, ეზო-კარს თვალი გადაავლეთ და...

— მაღლობელი ვარ. ცოტა ხანს აქვე შევისვენებ და შემდეგ გავყვები ნა-  
ცნიბ ბილიკს.

— შორს მიბრძანდებით?

— არ ვიცი. თუ მუხლებმა არ მიღალატეს და გულმა უეცრად არ მიმატოვა,  
ვივლი ცოტა ხანს. ენახავ ადგილებს, სადაც უხვად მიღვრია ცრემლი და ოფლი  
და საიდანაც გაღავხვეწილვარ ტლუ და ეულა.

— მაინც როგორი კუთხე გაინტერესებთ ყველაზე უფრო?

— აი ამ კუთხის, იმ კუთხის, იქითა მხარისა და აქითა კუთხის. — უცნობმა  
ხელები გაშალა და თვალუწვდენელი სივრცე მოხაზა.

— ეს ხომ მთელი საქართველოა, მოხუცო, ჩვენი ტურფა საქართველო,  
ჩვენი სამშობლო. — ჭაბუკი ბაბუასთან მივიდა და გვერდით ამოუდგა.

— მეც ხომ მაქვს იმის უფლება, რომ ჩემი სამშობლო ვუწოდო მას?

— თუ გული წმინდა და ნათელი გაქვს, თუ მის წინაშე უცოდველი ხარ,  
შენი საქმითა და საქციელით მისი სახელი არ შეგიბლალავს, თუ მისთვის უსინ-  
დისოდ არ გიღალატინა...

— მიღალატინა?! — შეწყვეტინა უცნობმა მოხუცს. — არა. მისი აუგიც  
არ დამცდენია... მაგრამ უცოდველი მაინც არა ვარ და დღეს არ ვიცი მეპატიება  
თუ არა დანაშაული.

— აბა ისეთი რა შესცოდე, არ გეპატიოს?! — თქვა მასპინძელმა.

— ამბავი ქველია. გრძელია. სათქმელადაც არ არის აღვილი. მაგრამ თუ  
შომისმენთ... ჩამოისვენეთ... თუმცა, იქნებ, სადმე მიგეჩქარებათ.

— არა. — შეწუხდა მასპინძელი. — ჩვენს სოფელში მობრძანებულხართ,  
სტუმარი გქვიათ, თუ არ ითაკილებთ ჩვენს მასპინძლობას, კიდევ გთხოვთ წა-  
პობრძანდეთ, ჩვენი სახლის ჭერქვეშ გატეხოთ პური, ქართული ყურძნის წვე-  
ნი მიიღოთ და ოჯახთან ერთად დაგვილუკოთ სამშობლო ჩვენი.

უცნობმა უნებლივ მოდენილი კურტხალი მოიწმინდა და გაიღია.

— არა, არ შემიძლია უარი გითხრათ, მაგრამ წინასწარ ბოდიში მომიქდა  
შეწუხებისათვის. — და ორი თეთრწვერა ბერიკაცი პირტიტველა ჭაბუკთან ერ-  
თად ციტრუსების ბალში შევიდა და მაღალი ოდა-სახლისაკენ გაემართა.

როდესაც ხილი იხილეს, პური იგემეს და ყურძნის წვენით ყელი ჩაისვე-

ლეს, მასპინძლის თხოვნით სტუმარმა თავისი ძველი და გრძელი აშბავი წამო-იშყო:

— გაჩენიდანვე არ დამყვა ბედი. მამა განაყოფ მმას შემოაკვდა მიჯნაზე, ამოსული ერთი ძირი ხის გულისათვის. არა ჩემია და არა შენიო, ედავებოდნენ ერთმანეთს. მერე ის იყო, ბიძაჩემმა მამას ბასრი წალდით თავი გაუპო.

დაიღუპა ორი ოჯახი.

მოკლული აქ დამარხეს და შევლელი შორეულ ციმბირში ჩაკვდა.

დედაჩემი დარდს გადაჰყვა და ჩემი ორი წლის დაც გაიყოლია.

მარტოკა დავრჩი ათი წლის ბიჭი.

მადლიანებმა ერთხანს შემიკედლეს, მაგრამ მალე იძულებული გავხდი ლუ-კმაპურისათვის მეზრუნა. მეც ავდექი და ქალაქს მივაშურე.

ბევრი ვიხეტიალე, სამუშაო ვეძებე, მაგრამ ქარხნის ჭიშკარი ჩემთვის არ იღებოდა. თუ სადმე გაიღებოდა იგი, ძლიერ მოკლე ხნით.

რუსეთში წალიო, მიჩევდნენ, ზოგიც უცხო ქვეყნებს მიქებდა.

— მერე სამშობლო? მშობელი მხარე? — ვეკითხებოდი კეთილის მრჩე-ველთ.

— პროლეტარს სამშობლო ერ გააჩნია. მისი სამშობლო შხოლოდ იქ არის, სადაც მის მარჯვენს გასავალი აქვს და ოფლი გროშს, აშოვნინებს. — მითხრა ერ-თმა და ჩამაფიქრა.

მართლაც, სადა მაქვს მე სამშობლო და მიწა-მამული?

საქართველო?!

მერე, მას რა აქვს, მე რომ მარგუნოს? ჩემისთანები კი ურიცხვი და უთვა-ლავი ჰყავს. თვითონ იგი მშიერი და შიშველია.

რუსეთი. ისევ რუსეთი. ულევი სიმღიღრისა და დოკლათის მქონე. იქ ხომ მაინც შეუძლია მუშას ჭქონდეს სამშობლო? მაგრამ გამიზიარებს კი რუსი მუშა თავის ქვეყანას და შემიკედლებს? ვეკვობდი, მაგრამ ბედი მაინც ვცადე.

მთელი რუსეთი ამაოდ შემოვიარე. იქაც თან მდევდა უბედობა და მარტო-ობა. დიდი რუსეთიც სავსე იყო ჩემისთანა უბედურებით. იქაც ექებდნენ ლუკ-მაპურსა და სამუშაოს.

იქნებ, სხვაგან აქვს მუშას სამშობლო? ვიკითხე ისევ და გავეშურე ბედ-ნიერი ქვეყნის აღმოსაჩენად.

სად ვიყავი?

ყველგან, სადაც თვალყური მიმიწვდებოდა. დიახ, დავწინწალებდი და ლუკ-მას ვეძებდი. საყუდს ვითხოვდი. მართალია, ზოგჯერ ბედი გამიღიმებდა, ორ-სამ თვეს მქონდა სამუშაო და ლუკმა. ერთ ქარხანაში სამი წელიც კი დავყავი, მაგრამ შემდეგ კვლავ უმუშევრობა, უბინაობა და შიმშილ-წყურვილი.

მუშას მართლაც არა აქვს, ალბათ, სამშობლო, ვიმეორებდი და ერთი ქვე-ყნიდან მეორეში გადავდიოდი.

ამერიკაში?

ვიყავი იქაც. დიახ, ვიყავი ამერიკაში, მის ყველა შტატსა და რესპუბლიკაში.

როგორი ქვეყანაა და როგორი ხალხი? გაინტერესებთ?

აუგს ვერ ვიტყვი. ბუნებას აღამიანის შემოქმედება მიშველებია და მშვენი-ერ ქვეყნად გამოუჭედავს ის. აღამიანის თვალს ხიბლავს იქაური ქალაქების სი-ლამაზე და ბუმბერაზობა.

თქვენ გსურთ გაიგოთ როგორ მიმიღეს? ვერ ვიტყვი, თითქოს არ მეპოვნოს თანამგრძნობი და თანამოაზრე. საქმეც მიშოვეს, თავშესაფარიც, თბილი ლუკმაც კი გამიჩინეს, მაგრამ ჩემი ქვეყნიდან ფუძეაგდებულს და გადავარდნილს. ბეღნი-

ერება ვერ მომანიჭება. ვერ მომცეს ის, რაც შათაც არ ჰქონდათ. სამშობლოს სი-  
თბო ვერ მაგრძნობინება.

დიახ, დიახ, იქაც დაეძებს მუშა სამშობლოს და უიმედოდ აცეცებს თვალებს.  
გინდათ იცოდეთ, ვის ეკუთვნის იმოდენა ავლა-დიღება? ვინ უწოდებს მას სამ-  
შობლოს და ვინ ტკბება მისი მშვენიერებით? ყველა, ვისაც ხელთა აქვს ოქო,  
სიძირდე და ძალაუფლება, ვინც სხვის შრომის ნაყოფს ითვისებს და ღარიბ-  
ლატაკია ძალუვას არ ერიდება.

ხომ არ გიკვირთ, რომ ვამბობ ღარიბ-ლატაკი-მეთქი? ყოველმხრივ მსუყე  
ქვეყანა და ღარიბ-ლატაკი? დიახ, არიან. შეიძლება კიდევ უფრო მეტიც, ვიდრე  
სხვაგან. მაგრამ მათ ძნელად შენიშვნას მოგზაური, რომელიც ამ ქვეყნის სიდი-  
ადის გასაცნობად ჩასულა და თვალწარმტაცი სანახაობის ცქერით ძლება, ცათა-  
შბჯენებს ათვალიერებს და რეკლამების სიუხვით ტკბება. მე კი მინახავს ამ დიდი  
ქვეყნის სარჩული და ზედაპირიც, ცათამბჯენებიც და ქოხმახებიც... და როცა ეს  
ორი უკიდურესობა ერთმანეთისათვის შემიდარებია, მათ შორის მუდამ დიდი  
უფსკრული დამინახავს. განა მარტო იმ ქვეყანაშია ამგვარი უთანასწორობა და  
სივაგლახე? განა მარტო იქ არიან სვებელნიერნი და უბედურნი? არა. სხვა ქვეყ-  
ნებშიც ასე გაყოფილია კაცთა მოლგმა და ყველგან იგრძნობა, რომ მუშას და  
მშრომელს მართლაც არა აქვს სამშობლო და საბადებელი, თითქოს ქვეყანაზე  
უკანონოდ მოსულა და არაფერში არ უდევს წილი.

და როცა ამ დასკვნამდე მიევედი, როცა გულდაცლილი უიმედოდ ვათორევდი  
მოსაწყენ დღეებს, მაშინ შევიტყვე, რომ არსებობს თურმე ქვეყანა, რომელსაც  
საბჭოებს ეძახიან და მუშებისა და გლეხების სამშობლოდ აღიარებენ.

იქ ამ ქვეყნის შესახებ ბევრი აუგი გამიგონია, მაგრამ ბევრი ქება-დიდებაც.

— საბჭოების ღირები ქვეყანა დედა არის და სამშობლო ჩვენი. — გამანდო  
ერთხელ ერთმა ჩემებრ უბედომ გულის წადები.

— როგორ თუ ჩვენი? — გავიკვირვე მე.

— ჰო, ჩვენი. ჩემი და შენი. ყველა მუშისა და ყველა მშრომელის. — მიპა-  
სუხა მან და შემდეგ მყიოხა: — შენ არ გჯერა, რომ მშრომელ ხალხსაც აქვს ქვეყ-  
ნად სამშობლო?

— მშრომელს სამშობლო რომ ჰქონოდა, მე ექ ამ დღეში რა ჩამაგდებდა?  
ან შენ აქაურ მკვიდრს და აქ შობილს ასე უწილოდ ვინ დაგტოვებდა?

— ეს მართალია, მაგრამ ხომ არ ვამბობ, აქ არის მშრომელ ხალხთა სამშობ-  
ლო და მასში წილი უდევს ჩემისთანებისა და შენისთანების?

— თუ საბჭოებს სამშობლო ჰქვია, თუ ის მართლა მშრომელთა დედა და  
მზრუნველია, მეც მყოლია ჭირისუფალი, მქონია სამშობლო და მიწა-წყალი! —  
იმედიანად შევძახე მე.

— მე ხომ არ ვიცი, სადაური ხარ? — შემომხედა მან.

— ქართველი კაცი აფრიკიდან ხომ არ ვიქნები? — კითხვითვე ვუპასუხე  
ჩემს თანამისაუბრეს.

— ქართველი კაცი? საქართველოდან? ის ხომ ერთ-ერთი მოწინავე რესპუბ-  
ლიკა საბჭოთა ქვეყნის!

— საქართველო?! — გავიკვირვე მე.

— მე მას არ ვიცნობ. მაგრამ რომ მითხან: ერთი ნატერის უფლება გაქვს,  
რატერ რაც გსურს და შევიტყულებთო, უთუოდ საქართველოს ნახვას ვისურვე-  
ბდი. ალბათ, ღვთისმშობელსაც ამ ქვეყნის ნახვის სურვილმა სძლია, მოსაქცევად  
რომ საქართველო ამოირჩია. ეს ლეგენდაც კი ცხადყოფს ამ კუთხის სიკეპლუოვე-

სილამაზეს. — დაასრულა მან და შემომხედა. — მართლაც ასეთი წარმტაცი არის თქვენი ქვეყანა?

— ჩემი ქვეყანა? ლამაზი არისო, თქვენ მეკითხებით? იყო ლამაზი, იყო კეპ-ლუცი, იყო მღიდარი, მაგრამ მერე რა?! თუ არ გარგა მისი სიმღიდრე, მისი სილამაზით თუ ვერ ტკბები, მის სიკეკლუცეს თუ ვერ განიცდი, მაშინ რა ფასი აქვს მას? იგი დავტოვე ლამაზი და მშვენიერი, კეკლუცი და მომხიბვლელი, მაგრამ დამონებული და არაფრის მქონე, უუფლებო და უბედური. გამოვექეცი, როგორც ობოლი გაექცევა აფ დედინაცვალს.

— მაგრამ ახლა ის დედა არის და არა მარტო ერთის და ორის, არამედ მიღიონების. მხოლოდ საბჭოთა ქვეყნებს შეუძლიათ იამაყონ ამგვარი დიდებით. — აღტაცებული იყო შორეული მეგობარი.

უცხოელის პირით ნათქვამი სიტყვა საამოდ მომეფინა გულზე და შვება მაგრძნობინა, მიყუჩებული და მითვლემილი გრძნობა გამომიღებიზლა და გონს მომიყანა.

ჩემი ქვეყანა! ჩემი სამშობლო! ახლა ვიგრძენი, თუ რა ტკბილი ყოფილა და მწარეც იგი. სიტყბო და სითბო, რომელიც მისგან ჩემს შეუმჩნევლად გამომყოლია, ახლაც ამოძრავებს და აძგერებს გულს. სიმწარე და სიტყბო, მის კალთებს ქვეშ რომ მიგემია, ღლემდე წარუშლელად დამტყობია და ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობა ისე და იმგვარად ჩაქსოვია ერთმიერებს, რომ ვერც კი გაჩჩევ როგორია მათ შორის შწარე და რომელი ტკბილი.

შეიძლება ორივე ერთნაირად მწარე იყოს, ან ორივე ერთნაირად ტკბილი.

— ამბავი გამიგრძელდა. — თქვა უცნობმა, სასმისი ასწია და კეთილი მასპინძლის ოჯახი ადლეგრძელდა.

— მაღლობელი ვარ. — უთხრა მოხუცმა მასპინძელმა და მაღლიერი თვალებით მაღლა აწეულ სახლის ჭერს ახედა. — კიდევ გვიამბე რაიმე, კეთილ!

სტუმარი კვლავ ალაპარაკდა.

— დიახ, იმ შორეულ ქვეყანაში გავეცანი ჩემს სამშობლოს და მის წარსულს.

ეს პატარა და მცირე კუთხე დედამიწისა, რომელსაც ზოგი უგნური ღლესაც არ თელის სსენების ღირსაღი, შორს გაჭრილა და გავარდნილა თავისი სახელითა და სიღიაღით. მისი შვილები ძევლთაგან იხსენიებიან მსოფლიოს მატიანეს ფურცლებზე და ღლესაც ჩირალნებივით ანათებენ ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ტაძარს.

თავის მეუე და რუსთველი, მეფე ერეკლე და ბარათაშვილი, გურამიშვილი და ჭავჭავაძე, წერეთელი და ერისთავი, ვაჟა-ფშაველა და გოგებაშვილი.... რომელი ერთი და ორის დასახელება შეიძლება. ბევრი შერისსხულ-განდევნილი და განკიცხული, ბევრი ჩემებრ გადახვეწილა, ბევრი აქვე თავის ქვეყანაში დამიწებული, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი და სახელდებული.

და როცა შორიდან შემოვხედე ჩემს ქვეყანას, შევიგრძენ ჩემი შეცდომა და დანაშაული.

განა ის ქვეყანა, რომელზეც ასე ბევრ კარგს ამბობენ და წერენ, ჩემი სამშობლო არ არის? განა საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომლის ნახვას ნატრობენ? განა ის არ არის, საბჭოთა კავშირის დიდ ძმურ ოჯახში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავეთა შორის რომ იხსენიება?

ჰაუ, რა სამშობლო მქონია! ჰაუ, რამდენი ძმა და ტოლი მყოლია! რამდენი მეგობარი და ამხანაგი!

და გადავწყვიტე დავბრუნებოდი იმ ქვეყანას, რომელიც ორმოცდათი წლის წინათ დავტოვე როგორც მკაცრი და ულმობელი დედინაცვალი, როგორც დედა,

რომელმაც მშობა, მაგრამ ჩემი აღზრდა არ იყისრა, მამისეულში წილი არ დამიღო, თავშესაფარი ბინა არ მომცა, მიწის ნაკვეთი არ მარგუნა და ატირებული და ცრემლმორეული ბედის საძებრად შორს გამისროლა.

ბედის საძებრად-მეთქი, ვამშობ. ადვილი სათქმელია წახვიდე ისეთი საგნის საძებრად, რაც ბუნებაში არ ყოფილა და არ არსებულა. არარსებულის ძებნა დაკარგული დრო და ამაოდ დახარჯული შრომაა.

მაგრამ მე მაინც ვედებდი და ვეძებდი მას იმ ქვეყანაში, სადაც მილიონი ჩემისთანა დაეძებდა თავის ბედსა და დღიურ ლუკმას.

— ჩემი ცხოვრების დღე მიიწურა. — განაგრძო სტუმარმა და ჭადარა თმაზე შეისვა ხელი. — დატვირთა მხრები მძიმე წლებმა და ჭოჭოხეთურმა პირობებმა. მუხლებს და მკლავებს გამოეცალა ძალ-ღონე და გულს სასოება. თვალებს დასჭირდათ წამოშველება და ყურებმაც მაგრძნობინებს სისუსტე. მომიახლოვდა სამარე და მივუახლოვდი მე მას უკითხავად და უნებლიერ. მიწა მოითხოვს თავის კუთვნილ ხარკს და მოვალე ვარ მივცე მას იგი...

და აი ამ დროს მესმა ძახილი. ძახილი სამშობლოსი და მშობლიური მიწის, თავისუფალი ქვეყნისა და აპიბინებული მინდორ-ველების...

და ორმოცდათი წლის წინათ წასული თვრამეტი წლის მკლავმაგარი ჭაბუკი მოტეხილი და მოქანცული გამოვეცხადე...

გამოვეცხადე ჩემი სამშობლოს მიწა-წყალსა და მის მთა-ველებს, გამოვეცხადე, რომ ვალიარო ჩემი შეცდომა და დანაშაული, ვთხოვო დამიდოს წილი მის ნაშრომსა და ნაამაგარში, შემინდოს ჩემი უნებლიერ შეცოდებანი და გაპატიოს.

სტუმარმა ღრმად ამოისუნიქა და მოხუც მასპინძელს გადახედა.

— ყველაფერი ვთქვი და ჩემი გული გადაგიშალეთ. ეს არის და ეს, რაც აქამდე განვლე და განვიცადე... დღეს აქ ვარ, ამ თბილ მიწაზე, სადაც ოდესიაც ფეხ-შიშველი ბიჭი დაცტანტალებდი. აქ ვარ, თქვენს ახლოს, თქვენს უხვ სუფრასთან და მსურს გავიგო, როგორ იმარჯვა ჩევნმა ქვეყანამ და როგორ იქცა ის მსოფლიოში მაშვრალთა სამშობლოდ და მშრომელთა იმედად.

მასპინძელმა ჯერ რამდენიმე სადღეგრძელო წარმოთქვა... მოიხსენია წინაპრები და მამა-პაპანი, დიასახლისის სადღეგრძელოც არ დაივიწყა და მხოლოდ შემდეგ მოემზადა პასუხისათვის.

— გინდა იცოდე, როგორ მოვალწიეთ და მოვედით ამ ნათელ დღემდე?

ცოტა მეც მომისმინე, გული სათქმელს მაძალებს.

ჩემი სამშობლო დღეს ორმოცა წლისა, მე კი სამოცდაათს გადავაბიჯე, მავრამ ის უფრო დიდი და უფროსია, რაღაც დედაა და მშობელს ვუწოდებთ.

დედა სამშობლოს ეძახდნენ წინათ, უხსოვარ დროსა და საუკუნეშიც. დედაო, იმეორებდნენ შემდეგაც ამ ძეირფას სახელს.

მშობელი იყო, სამშობლო იყო და ამიტომ იყო, მის დასაცავად თავს რომ სწირავდნენ ჩევნი ძველები...

მემატიანეს უნახავს იგი მრავალჯერ მტრებთან შებმული და შერკინებული, მრავალჯერ ბრძოლამოგებული და გამარჯვებული, მაგრამ უფრო მრავალჯერ და უფრო ხანგრძლივად — შებორკილი, მიჯაჭვული და მკერდდაფლეთილი.

ეს პატარა და გმირი ქვეყანა მრავალჯერ აკლებულა და ოხრებულა. ბევრჯერ ყოფილა ახეხილი, აკუჭული, მაგრამ არა მკვდარი და არა სისხლდაწრეტილი. დამპყრობლის წინაშე ქედს არ იხრიდა. ჭრილობას თავად იჩჩენდა, იშუშებდა და ნაფლეთებად ქცეული სხეულის შეერთებასა და შედუღებასაც ახერხებდა.

მისი არსებობა იყო ბრძოლა, ცეცხლი, წამება, ტანჯვა, ქარი და ქარაშოტი... იყო სისხლიანი, ნაღვლიანი, ცრემლიანი...

— როდესაც იგი მე ვიხილე, — განაგრძო მოხუცმა. — ფერდაკარგული ეს-ვენა სარეცელზე და სასიცოცხლო პირი არ ჰქონდა.

შიშმა შემიპყრო. ნუთუ ჩემს აღზრდას ვერ იყისრებს ჩემი მშობელი? ნუთუ ისე გავლევ წუთისოფელს, რომ დედის ნანინა გულს ვერ დამიტკობს?

ნუთუ მოკვდა და სამარადისოდ დახუჭა თვალი?

ნუთუ მის შვილებს გვიწერია მწარე ობლობა და ტანჯვით სიკვდილი?

მოხუცმა შეისვენა. თეთრ წვერზე ხელი დასხვა და განაგრძო:

— და მაშინ ვიგრძენ უბედობა, ობლობა და საკუთარი თავის არარაობა. ვიგრძენ სისუსტე და სიცარიელე.

ვინა ვარ მე და რა სულიერი?

თუ კაცი ვარ და აღამიანი, რად არ მყავს დედა, რად არ მაქვს მიწა, ჩემი სამშობლო აბა საღ არის?

— მოკვდაო. — მესმის.

— დიახ, ასეა. მე თვითონ ვხედავ — სარეცელზეა მისვენებული.

მუხლზე დავეშვი და ავჭვითინდი. და, ალბათ, მარად ვიქვითინებდი, რომ იდუმალ ხმას, ნიავის ჩამოტარებულს, ჩემს ყურებამდე არ მოეღწია:

„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავ...“

შევკრთი. მაგრამ გონს მალე მოველ და იმ იდუმალ ხმას შევეკითხე:

— არ მომკვდარა? ძინავს? მერე?

„და ისევე გაიღვიძებს!.. — მესმა პასუხად.

გამნევებული წამოვდექი და იმ ხმას მივენდე:

„ვინც შენატრის იმის სიკვდილს,

უმალ მასვე დამიწებს!“

შეიშრე ცრემლი და ცას ავხედე. იქ შორეული ვარსკვლავი კიაფობდა ჩემს იმედად და მრავალტანჯულ ქვეყანას ცამციმით გაღმოპყურებდა....

\* \* \*

ბევრს აწუხებდა სამშობლოზე ფიქრი და დარღი, ბევრი იწოდა მისი ცეცხლითა და მწერარებით. ბევრი ფიქრობდა მის აწყვოსა და მომავალზე.

ობლად დარჩენილ შვილებს იმედად ხვალინდელი დღის გათენება დარჩენილათ...

გაიღვიძებსო...

წამოლგებაო...

მტერს პასუხს გასცემს... მოყვარეს მოყვარულად დაუხვდებაო...

და მართლაც იქუხა ზეცამ. შეირხა მიწა სისხლით მორწყული. სასახლეების ბატონიბას ბოლო მოელო და მარად წყვდიაღით მოცულ ქოხებში თავისუფლების მზემ შეანათა.

დიღი ოქტომბერი დამკვიდრდა ქვეყნად უბედოთა და ტანჯულთა გადასარჩენად.

— ხალხს მიეცესო თავისუფლება! — ბრძანა ლენინმა.

— ხალხებს ებოძოს სახელმწიფოს მართვის უფლება და ერთ ოჯახში ძმურად ყოფნაო. — დაადასტურა რჩეულთა საბჭომ და დააკანონა.

იყოსო ქვეყნად მშვიდობა და თანასწორობა.

ჩაწეროსო საბჭოების სამართლის წიგნში ეს უფლებები და წესებით, გადაწყვიტა ლენინის პატიიამ.

მას შემდეგ შეწყდა ოხვრა და გმინვა...

მოძმეთა შორის შური, სისხლის ღვრაც მას შემდეგ შეწყდა.

შრომასაც დაედო ფასი და მშრომელ კაცისაც ლირსება და დიდი პატივი ხვდა.

კავკასიის ქედზე მიჩაჭვულ და გულმკერდდაფლეთილ ამირანს ეღირსა წა-  
მოდგომა და წელში გამართვა...

მოხუცმა მოსაუბრებ ცოტათი შეისვენა.

— დიახ, დღეს ორმოცი წლის ჭაბუკია სულ ცოტა ხუთი ათასი წლიდან მო-  
სული ჩვენი სამშობლო და, რაც ამ ორმოც წელში მან შექმნა და გააკეთა, თაო-  
ბებიდან თაობებსაც არ შეუქმნიათ მრავალ ათეულ საუკუნეში.

მოხუცმა სათქმელი დაამთავრა.

— მერედა, მე კი მეპატიება იმ ჭიდილისა და ბრძოლების დროს მასთან არ-  
ყოფნა? — იკითხა სტუმარმა. — მე ხომ დავივიწყე პოეტის სიტყვები „სამშობ-  
ლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“.. .

— მშობელი მუდამ გულკეთილი და ლმობიერია. — უპასუხა მოხუცმა. —  
არა მგონია არ გაპატიოს უნებლიერ შეცდომა და დანაშაული. შეგინდობს, მიგი-  
ლებს და მშობლიურად ჩაგეკონება.

— კმაყოფილი ვარ. — წამოიწია სტუმარი. — პურ-ღვინისათვის მადლობა  
მითქვამს. მადლობელი ვარ შენი და შენი ოჯახის, მადლობელი ვარ ჩვენი სამ-  
შობლოსი და მისი ბედის გამომჭედი პარტიისა. — სტუმარმა კედელზე ბელადე-  
ბის პორტრეტებს ჰკიდა თვალი და მადლიერი ოჯახის უფროსს გამოეთხოვა.

— მშვიდობის გზა და კეთილად დამკვიდრება განახლებული ქვეყნის მიწა-  
წყალზე!

და მოხუცმა მოხუცი ჭიშკრამდე მიაცილა.



## ნანა გვარიშვილი

### “შენ იცოცხელე, საჭართველო!

შენ იხარე, საჭართველოვ,  
 შენი გამრჯე მარჯვენით,  
 დაგელოცოს ყველა გზები  
 ყველგან გასამარჯვები!

ყველა ხიდი, ყველა ქორდი,  
 ყველგან წყაროს ღილინი,  
 ყანის პირას ყაყაჩოთა  
 წამწამების ბიბინი.

„მშობელ მიწის სიყვარული  
 სხვამ წაგართვას ძნელია! —  
 მომძახოდნენ საფლავიდან  
 წინაპრების ძვლებია, —  
 დედის ტკბილი კალთიდანა  
 ძირს გვაგდებდნენ მტრებია,  
 მისი თბილი თავსაფარი  
 ჩუმად გვიტარებია!“  
 ახლა ჩემმა დედის კალთამ  
 მზად ვარ კოცნად მაქციოს,  
 სასახელო საჭართველომ  
 ბაირალი ასწიოს.  
 ბაირალი გმარჯვების  
 სულ ამკობდეს ქართველ ერს,  
 ჩვენო ტკბილო ქართლის მიწავ,  
 შენი მრავალუამიერ.



## მამის ვაჩანიძე

### შ ე ნ ი ბ ა ჟ ი - ა ჩ უ კ ი ვ ა რ

საქართველოვ, ჩემო დედავ,  
 შენი ტრფობით დამჭარი და  
 ქოჩახელას ჭიბონითა  
 მეც გიმღერი აჭარიდან.  
 ჩვენც ვიცავდით ერის სინდისს,  
 მკერდი ხმლებით დავიხანით,  
 საფლავშიაც ახსოეს სულთანს  
 მაჭახელა და ხიხანი.  
 ყანლიც გიმღერს, კახაბერიც, —  
 ჩვენი სისხლით მორწყულები...  
 შენს მაღლიან ძუძუებსა  
 ვეწაფებით მოწყურებით.  
 მკლავდა მწარე ჭრილობები,  
 შენ მალამო დამაფინე,  
 დედა ენა მომაშველე,  
 ზედ ბულბულად დამაფრინე.  
 შენ მომეცი ფხა, ლაზათი,  
 ჩემო დედავ, ჩემო წილო!

ერთყაკალა გული მაქვს და  
 მოვკვდე, თუ არ შემოგწირო.  
 შენი ბაში-აჩუკი ვარ,  
 მინდა გიძლენა სიყვარულით:  
 შიგ გული მაქვს ჩაღვენთილი  
 და ფერები გაზაფხულის.  
 პა, მიიღე თაგული  
 აჭარაში დაკრეფილი,  
 მმ ფურცლებში ელავს, ჰყვავის  
 ჩვენი გულიც დაფერფლილი.  
 შენს ხატებას შევლილინებ  
 და შენი ცა მუზად დამდის...  
 აპა, მზად მაქვს ორლესულიც,  
 ვარ სამშობლოს მუზარადი.  
 საქართველოვ, ჩემო დედავ,  
 შენი ტრფობით დამჭარი და  
 ქოჩახელას ჭიბონითა  
 მეც გიმღერი აჭარიდან.

## ჯემარ ჯაყარი

### მაღარო და მატარებლები

— მინდაძე! — გაისმა მოტორის გუგუნში და ჭაბუკი მაღაროს ნახევრად ვანათებული განშტოებისაკენ შებრუნდა.

— ჰაუ?

— წადი, ძმაო, წადი! — უყვიროდა ბრიგადირი.

— რა დრო?

— რა დროც არ უნდა იყოს. „სახალხო“ მეტს აღარ შემოვა მაღაროში. ახლა, მგონი, გაგასწრო კიდეც.

— გამასწრო? — თქვა და შეშფოთებით შემობრუნდა.

„მაინც რა კაცია, — ფიქრობდა ბრიგადირი, — სხვებს გაფრთხილება არ სჭირდებათ. ადრე ტოვებენ სამუშაოს და გარბიან. მაღაროს კილომეტრები ფეხით რომ არ გაიარონ. ამას კი ვაფრთხილებ და მაინც...“

აბესალომი ერთი განშტოებიდან მეორეში გავიდა, მეორედან მესამე-ში... ბოლოს იყალრა და მძიმე, მამაკაცური სირბილით უკანასკნელი განშტო-ება გაირბინა. ის იყო მაღაროს მთავარ მაგისტრალზე უნდა გასულიყო, „მუშა ჟაზი“ რომ შეირჩა და ელმავლის ქვესაღვარმა კოჭზე გადაცურებისას ელვის თეთრი ისრები ჩამოჰყარა.

აბესალომმა ძალუმად დაუსტვინა და ელმავლისკენ გაიქცა, მაგრამ მაგის-ტრალს რომ მიაღწია, უკანასკნელი ვაგონიც ჩასრიალდა. მემანქანემ ვერც სტვენა გაიგონა და ეერც აბესალომი დაინახა.

აბესალომი თავისთვის გაბრაზდა, რატომ დავაგვიანეო და წინ გაიხედა. ჟადღაც შორს, თვალსაწიერთან დენის ზაზსა და ელმავლის ქვესაღვარს კვლავ დასცდა და დაიმსხვრა ელვის ისრები.

— დასწყევლოს ღმერთმა! — უნებლიერ წამოიძახა და უბნის გამგე მოი-გონა, რომელიც დაბეჭითებით უმეორებდა, შემოსასვლელს ხუთი კილომეტრით ვართ დაცილებულიო.

„მთელი ერთი საათის სავალია. ახლახან დავიწყეთ ლექციები და სწო-რედ არ მინდოდა დაგვიანება“, გაიფიქრა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

მაღაროს მთელ სილრმეზე და განშტოებებში ყრუ ბუბუნი მოისმოდა. აბე-სალომი გრძნობდა, რომ ეს იყო აფეთქებების, მოტორებისა და იქითა და აქეთა მატარებლების შეერთებული, ერთმანეთში არეული ხმები.

აბესალომეს ორი უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა. ერთმა მათგანმა ტუჩებთან თითების მიტანით შორიდანვე ანიშნა, პაპიროსი მომაწევინეო. „საოცარია ეს ქვესკნელი, ყოველ ცვლაში ათასობით ხალხს იტევს. ესენი ჯერ არ შემხვედრიან, მაგრამ, მგონი, მაღაროს რკინიგზელები არიან“, გაიფიქრა და პაპიროსთან ერთად ასანთიც მიაწოდა. ზანტად გამოართვეს.

— მეჩქარება, მალე მოუკიდეთ! — მოკლედ და მტკიცედ თქვა აბესალომა, მაგრამ ისინი კვლავ გუშინდელ ქიუჟზე მასლათობდნენ.

მოთმინებიდან გამოსულმა ჭებუქმა ასანთი იქვე დაუგდო და მოკურცხლა. თვალი წყრომით გააყოლეს ამ ბეჭედის ახალგაზრდა კაცს და უზრდელობად ჩაუთვალეს მოუთმენლობა.

— ეტყობა, ახალი ვინმეა. სანამ მაღაროელის ქვაბში არ მოიხარუბა და არ დადუღდება, მანამ თავხედობას არ მოიშლის.

აბესალომა მხოლოდ მაშინ უკლო სვლას, როცა ელმავალი შემოხვდა, მაღაროს სილრმისაკენ ცარიელ ვაგონებს რომ მიარახრახებდა.

„ასე ფართო მაღარო არასოდეს გაგვიჭრია სათევზიაში... ორივე მხარეს რკინიგზის ხაზი! ცარიელი ელმავალი შემოდის, დატვირთული — გადის!“ — გაიფიქრა და გვერდით მიდგა. ცარიელი ელმავალი რომ ჩარახრახდა, უკან მიხედა. მარგანეცით დატვირთულ ელმავალს მოჰკრა თვალი. აბესალომი შუქის წერტილთან იდგა და მეელმავლეს ადვილად შეეძლო დაენახა იგი. როგორც კი მიუახლოვდა, ხელი დაუქნია, წამიყვანეო და უმორჩილესი თხოვნის ნიშნად ორი თითი ყელზე მიიღო...“

— დაგვიანებული ვარ, სიდმე დამსვი!

— აბა სად ჩამოჭდები?

— როგორმე!.. ძალიან მეჩქარება.

— ა, ბატონო, სიამოვნებით, ოღონდ სადმე ჩამოჭექი.

სანამ მემანქანე სიტყვას დაამთავრებდა, აბესალომი ვაგონებს შორის ვიწრო ხიდურზე შევარდა.

— აკი გითხარი, არ შეიძლება-მეთქი მაგ ხიდურზე ჩამოდგომა! შემთხვევის გამო მოულოდნელად რომ დავამუხრუჭო, ვაგონებს შორის არე აივსება... ისინი ერთმანეთს ისე მიედგმებიან, ნემსაც გააბრტყელებენ. პოდა, თავი მობეზრებული ხომ არა გაქვს, ძმაო. მაგას ჯობს, ბოლო ვაგონეტის ყულფზე ჩამოდგე.

— გმაღლობ! — თქვა და უსიტყვოდ გაემართა ბოლო ვაგონისაკენ. მემანქანე წამსვე დენი ჩართო. ელვის ნამსხვრევები კვლავ მოსწყდა მავთულს.

აბესალომს მისი საყვარელი სათევზია აგონდებოდა. აგონდებოდა, თუ როგორ შეუდგა იქ მუშაობას, როგორ აწვებოდა ვაგონეტებს და მიარახრახებდა, შემდეგ როგორ მიაბა ისინი ერთმანეთს...

„წარმომიდგენია ელექტროდოლაბი და სოფლის პატარა ბუქულია წისქვილი. ასეთი შედარება შეიძლება ამ მაღაროსა და იმ მაღაროს შორის, კილომეტრებს იქით რომ დავტოვე და ვარაზა რომ ჰქვია. ოკ, როგორ მიყვარს ვარაზა! მისი მთების სიღიადე, მისი საუკუნვანი წიფლები, მისი წყაროები, მისი ადამიანები!“ — გაიფიქრა და უცებ მაღაროელის მუყაოს ქულზე უცნაური ხახუნი იგრძნო. გაუკვირდა. ბეჭებში ოდნავ მოიდრიკა, ელმავლის ზევით აიხედა და... მიხვდა, ელექტროხაზს ქულით შეხებია. უაზროდ და შეშფოთებით დაიყვირა.

„ნეტავი რა დაემართა იმ ყურუმსალს?“, — გაიფიქრა მემანქანემ და ისე მოულოდნელად დაამუხრუჭა, ვაგონეტები ლამის ერთმანეთს შეასკდნე.

— რა იყო, შე კაცო? — ჰქითხა მემანქანებ.

— რა უნდა ყოფილიყო, კინაღმ დამფერტლა მაგ დასწვავმა. — თქვა და შიშითა და სიძლვილით ახედა ელექტროხაზს.

— ნუ ლელავ, მაგას ვნება არ შეუძლია, მხოლოდ ოდნავ ქული გაგიხეხა და ევ არის.

— თითქოსდა ძალიან დიდი ხათრი ჰქონდა ჩემი და მომერიდა, ხომ?

— დრო აღარ ითმენს, წავიდეთ.

— არა, ძმაო, აღარ ჩამოვდგები მაგ საცეცხლებე.

— ნუ გეშინია. ეს მუდმივი დენია, წყნარი და უწყინარი. ნუ გგონია ცვალებადი დენიებით გაუა, — თქვა და თავისი ქული შეაბო ელექტროხაზს. — აი, ხომ ხედავ, არაღესს მეუბნება.

აბესალომის მოაგონდა უბის საწარმოო გამგის, გამოცდილი ინუინრის საუბარი მუდმივი და ცვალებადი დენის შესახებ და დამშვიდდა. „აი, რას ნიშნავს, მხოლოდ წიგნებით რომ ვიცნობ ცხოვრებას და არა პრაქტიკულად. რაც მაგან მითხრა, განა ზეპირად არ ვიცოდი, მაგრამ მაინც შემეშინდა. რატომდა მგონია ფიზიკის სახელმძღვანელოდან მიღებული ცოდნა სხვაა და პრაქტიკულო — სხვა“, ფიქრობდა და ოფლს იშვენდა.

— ეს უკვე მეორედ შემაშინა მაგ დასწვავმა. — თქვა და ვაგონეტს მიეყრდნო.

აბესალომის ერჩია ქვეითად განეგრძი გზა, მით უმეტეს მცირე მანძილიდა ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მემანქანის შერცხვა და ბოლო ვაგონეტზე ჩამოდგა.

რამდენიმე წუთში მაღაროც დამთავრდა.

კარები გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა მუშა-სტუდენტი, რომელსაც კოხტად მორჩებულა, გემოვნებით შეკერძოლი კრეპის კოსტიუმი ეცვა, ხოლო ქათქათა გაკრახმალებულ საყელოიან პერანგზე შავი ლენტი ეკეთა.

— უკაცრავად, შეიძლება, პატივცემულო ლექტორო? — თქვა ოდნავ მღელვარე, მაგრამ სასიამოვნო ხმით და ახლად გაპარსულ ხავერდოვან ლოკაზე ლამაზი ლრმული გმოესახა. ლექტორმა კითხვა შეწყვიტა და უსიამოვნოდ მიიხედა კარებისაკენ.

— რავი შემოაღეთ... — საყვედურით უთხრა და თვალით ანიშნა, დაჯექიო..

აბესალომმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ დარწმუნებული, წინა მერხები დაკვებული იქნებოდა, დარბაზის ბოლოსაკენ გაემართა. ყველა მერხი მართლაც დაეკავებინათ. მსმენელები მიიწ-მოიშვნენ და ჩამოვიკექიო, ანიშნეს. ისიც ჩამოჭდა. საკითხების ჩასანიშნავად ორად გაკეცილი რვეული ამოილო.

ლექტორი ნიაღავის ქანებზე ლაპარაკობდა და თვალსაჩინოებისათვის სპეციალურ ნაკეთობაზე მიუთითებდა, საღაც სარტყლებივით ნათლად ჩანდა სხვადასხვა ფერის ქანები.

— საძიებო ბურღვის ღროს ჩვენ ვგებულობთ ამ ქანების სისქეს. და მის შემაღენლობას... — განაგრძობდა ლექტორი და სტუდენტებს მოუთხრობდა, თუ როგორ აწარმოებენ საძიებო ბურღვას.

აბესალომს წამსვე ენიშნა და თვალშინ წარმოუდგა, თუ ვარაზაში როგორ ისწავლა ბურღვა. ეს პროცესები მისთვის ნათელი იყო. ამიტომ რვეულში არა-ფერი ჩაუნიშნავს. უნებლივით მოგონებებმა გაიტაცეს და არც ლექტორს აღარ უსმენდა და არც ის შეუნიშნავს, მაყვალ წამდაუწუმ უკან რომ იხედებოდა და ცდილობდა მისი გამოხედვა დაეჭირა.

ლექტორი უკვე საბურღავი აპარატის აღნაგობას აღწერდა. აბესალომშვილი მა-  
აპარატის ძირითადი ნაწილების სახელები ჩაიწერა და წინ გაიხედა. უმაღ მა-  
ყვალას თვალებს წაწყდა.

„ო, ეს შენ?“ — ამბობდნენ მისი გაოცებული თვალები.

„მე... შენ კი ერთხელაც არ გამოიხედე ჩემსკენ“, — თითქოს ესაყვედუ-  
რებოდა მაყვალა.

„....ამრიგად, ქანების სისქის შესწავლას საძიებო ბურღვის დროს გარკვეუ-  
ლი მნიშვნელობა აქვს“, — განაგრძობდა ლექტორი და აბესალომს ფარულად  
აკვირდებოდა.

როცა ლექტორმა თვალსაჩინოებაზე მიუთითა, აბესალომმა დრო იხელთა  
და მაყვალას გვერდით გადასუპდა.

— სალამი, მაყვალა... რატომ ხმა არ გამეცი? — ფრთხილად ჩაუჩურჩუ-  
ლა. მაყვალას გაელიმა და ისეთი თვალით შეხედა, როგორითაც შეხედავს ხო-  
ლმე ქალი ვაჟს მოგონილი გაბუტვის დროს.

„....მაშასადამე, ამ გზით ჩენ შეგვიძლია გავიგოთ გამადნების ხაზი და მა-  
რავის რაოდენობა“, — ამბობდა ლექტორი და თვალსაჩინო ხელსაწყოზე პი-  
რობითი გამადნების ხაზის გასწვრივ საჩენებელ ჭოხს აყოლებდა.

— როგორც ჩანს, ძალიან მცოდნეა ჩვენი ლექტორი. — წაუჩურჩულა  
აბესალომმა.

— ჩუ, შენ არავინ გამოწმებინებს მაგას. ნუ მეჩურჩულები, თორემ ბო-  
ლოს მოთმინებიდან გამოვა და ორივეს გარეთ გავვაგდებს.

— სანამ ეგ მოხდებოდეს, ზარიც დაირეკება და დერეფანში ჩვენთან  
ერთად ეგეც გამოვა.

მაყვალას თვალებში ღიმილი ჩაეფრქვა, მაგრამ მალე მოგონილი საყვე-  
დურით შენიშნა:

— ვერაფერი ჩავიწერე ამ ლექციიდან...

— ნუ გეშინია, მე დაგეხმარები. რაც დღეს ილაპარაკა, ეგ ყველაფერი  
ზეპირად ვიცი!..

— აი რას ნიშნავს, რომ პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება გაქვს,  
აბესალომ. შენ უკვე უმაღლესი პრაქტიკული საქმიანობით დამთავრე...

— რა ვიცი. — თქვა და ზარის წკრიალზე წამოიშალნენ.

\* \* \*

სახალხო ელმავალი დაიძრა და დილის ცვლის მუშები ცალკეულ უბნებზე  
ჩამოარიგა. აბესალომი თავისი უბნის გადასახვევთან ჩამოხტა. სიგრძივი ნათუ-  
რებიდან დღისფერი შუქი იღვრებოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თი-  
თქოს ეს ქვესკნელი კი არა, ცისქვეშეთი იყო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა,  
ჩამონაურის წვეთი კისერში ჩაეღვენთა. აბესალომი შეიშმუშნა და ზევით აი-  
ხედა; აიხედა და შენიშნა: პორიზონტალური გამაგრება ერთ აღვილას შესუ-  
ტებულიყო, რამდენიმე ხე ჩამოზნებილიყო და ნაშალი ღორლი ბროჭეულის  
გულივით მოსწოლოდა ქვემჭერს. აბესალომი ისე აფუსფუსდა, ეგონა ახლავე  
ჩამოწვება და ჩაიხერგება მოელი უბანით.

„სად არიან ახლა მელავეები, სასწრაფოდ უნდა გამაგრონ!“ — ჩაიდუ-  
ლუნა და ბიჭებისაკენ გაიქცა სიღრმეში. ტკივილი სრულიად არ უგრძნია, რკი-  
ნიგზის შპალზე ფეხი რომ წაიკრა და მაღაროს კიდეს მარჯვენა მხრით მიეხეთ-  
ქა.

„რაოდენ შეწეულან სიღრმეში! მეორე და მესამე ცვლებს თავი გამოუდ-  
ვიათ!“, ფეხებისაკენ გაიქცა სიღრმეში. შორიდანვე შენიშნა, რომ მონანგრევთან

შუქი კიაფობდა. იქვე ჩამომსხდარიყვნენ დაღლილი ბიჭები და პაპიროსს ლებდნენ. მაღაროში საკმაოდ გრილოდა და აქოშინებულ აბესალომს პირიდან ორთქლის ხვეულები ამოსდიოდა.

— აშინა-მაშინა, ნეტავ რამ შეგაშინა? — ვიღაცამ ზემოიმერულად მოუქცია და ელექტროშუქჲე იფლში ალაპლაპებულ უანგისფერ სახეზე მიაჩერდა ჭაბუქს. დამხვდურთა მშვიდ სახეებს რომ თვალი შეავლო, იგრძნო, თითქოს ამაო იყო მისი მღელვარება, მაგრამ რაკი თვალწინ წარმოუდგა ჩამოზნექილი ჭერი, წამოიყვირა:

— უბნის გაღმოსახვევზე მაღლა აიხედეთ და დაინახავთ, რამაც აშინა-მაშინა...

ბიჭებმა გაიცინეს.

აბესალომი დაიბანა.

ბიჭები ხარხარებდნენ და მაღაროს განშტოებები ბუბუნებდნენ. აბესალომი ლავის ბოძს მიეყრდნო და, სანამ მათი ხორხოცი მიწყდებოდა, პაპიროსით ტვინი გაიბრუვა.

— ეს ისე... არ გეწყინოს. აქ ჭერი ოთხი წელია ჩამოზნექილია... საშიში არაა. ჩვენ ისე შევაჩვიეთ თვალი, ყურადღებასაც აღარ ვაქცევთ. დამშვიდღა, არ გეწყინოს. — დაუყვავა მეჯალამბრემ.

— რა არის აქ საწყენი? მე მხოლოდ გაგაფრთხილეთ... თქვენ კი ხარხარით გააყრუეთ ყველაფერი. თუ ვინმეს თავი არ მოძულებია... ჭკვიანად იყოს, თორემ მე ვიცი, როგორ უნდა გავუსწორდე...

— არა, არა! ვის მოძულებია თავი. — და ღიმილით დაამთავრეს: — ღმერთმა მტერიც დაიცვას შენი მუშტებისაგან.

მეგალამბრემ მოახლოებულ მეელმავლეს ხელით ანიშნა შეჩერდიო. ჯალამბერმა ცარიელი ვაგონეტები თავისკენ მიიზიდა და კომპრესორს მიუყენა დასატვირთავად. კომპრესორმა ბასრი კბილებით მარგანეცი აიღო და წამსვე დატვირთა ისინი.

აბესალომმა ნაჯახი მორჩე დაასო და გამმაგრებელთა ბრიგადირს მიუბრუნდა:

— ეგ კომპრესორი რდაც ნამეტანი გუდგუდებს. თუ იცი, რით მუშაობს?

— კომპრესორი ანუ მტერითავი მანქანა კუმშვადი ჰაერით მოძრაობს. ამიტომ რიტმული კუმშვა-დარტყმის მომენტურ ბერებს გამოსცემს, რასაც შენ გუდგუდს ეძახი.

— ჭალამბერი?

— ეგ სხვაა. დენით მუშაობს.

ამასობაში დატვირთვაც დამთავრდა და მემანქანემ ელმავალი დაძრა.

მბურღავებს ახლა გაოფლიანებული რკინიგზელები მიუახლოვდნენ. ჩანდა, ფეხით ევლოთ მთელი მანძილი და არაქათი გამოცლოდათ.

— ახალ გამონანგრევამდე ოციოდე მეტრი რკინიგზა უნდა გავიყვანოთ... ო, შესანიშნავი ლავა გაგიკეთებიათ. — და მბურღავებს შეხედეს.

— ესენი ორ საათში დაბურღავენ მთელ მასას. ამფეთქებლებიც მალე ჩაწყობენ ლალუმებს. აქ ისე უხვად ჩანს მარგანეცი, ერთი აფეთქებით ტონობით ნედლეულს გამოანგრევ. — თქვა ერთმა მათგანმა და ხნიერ მებიგეს შეხედა, რას იტყვისო.

მებიგემ ჩაიღიმა და თავის ქნევით დაუდასტურა:

— წინადღეს მეორე ბრიგადამ თორმეტი ლალუშის აფეთქებით თასორასი ტონა ამოიღო...  
— მოწყობაზეცაა. — დასძინა ერომა.

— ცოტა არ იყოს, ადგილზეცაა დამოკიდებული. — თქვა მეორემ.

— ნაწილობრივ, ალბათ, ბედზეც... დღეში ითხასი ტონა გვაქვს ნორმა, მანდ კი სამი დღის ნორმას შევასრულებთ...

რეინიგზელს მით უფრო ესიამოვნა ეს საუბარი, რომ მოხუცმა მებიგებ ნათქვამი დაუღასტურა და წათამამებულმა საქმიანი კაცის ტონით იყითხა:

— სად არის მონტიორი? ის ისეთი ნელი კაცია, მის ერთ შემობრუნებამ-დე რუსთავში, ალბათ, ას ცალ რელსს ჩამოასხამენ...

— აა კიდევ ჩვენი უბნის გამგე ერთ სადღეგრძელოს მოათავებს. — გან-გებ ჩაურთო ცილაცამ, რადგან ეგონა მათი გამგის ნათესავი იყო ეს რკინიგზე-ლი.

— მართალია, რასაც ჩვენს ინუინერზე ამბობენ? — მებიგები აყაყანდნენ. მშურლავებმაც თავი გააკანტურეს, ხოლო ელმავლის მოლოდინში მეჯალამბრემ ჩაიროხროა:

— ვენაცალე ჩვენს დირექციას ამ ინუინრის დანიშნისათვის. კაცო, წარ-მოგიდგენა, მუშებს ისე შეაგინებს, თითქოს სალამს უჩიოდეს...

— ესა თქვი! — დაემოწმა ახალგაზრდა მებიგე. — წინა დღეს, გამაგრებაზე რომ ებუშაობდი, მაგანე ქვა დამეცა. რატომ უყურაღლებოდ მუშაობო, მომე-რდა და გამლანდა. შენ დღეს კაპიკს არ გამოგიშვრ, ახია შენზეო.

— მუშას ნამუშევარს უკარგავს...

— თვითონ კი სუქდება...

— ხელმძღვანელების გამოგზავნილია. ჭობიც რომ უფროსად დაგვიყენონ, ჩვენი ვალია პატივი ვცეოთ. — თქვა მოხუცმა მებიგემ.

— ხელმძღვანელებსაც იღარ მოსწონო, ნახევარ ნორმასაც იერ ასრულებს.

— რა გაყანებთ, ხალხო. ხომ იცით, რომ უკვე სხვა დაგვინიშნეს. — თქვა მოახლოებულმა მესკრებერებ.

— ბიჭო, მართალია ეგ? გუშინ გავიგონე და არ დავიჯერე. — ეკითხებოდა ვიღაც.

— მართალია! — თქვა და, ელმავლის რახრახი რომ გაიგონა, სკრეპერისა-კენ გაიტა.

მუშები დადუმონენ.

ელმავალი გაჩერდა და გადმობტა „ახალი კაცი“.

— მგონი ეს არის ჩვენი უბნის ახალი ინუინერი, — ჩაიჩურჩულა ვიღაცამ.

— ნევრო პაპიშვილია?

— ჰო.

— მგონი, ესეც უცხვირბირო ჩანს.

— რაში გვშირდება მაგის ცხვირა-პირი? პატიოსანი ბიჭია, ლანდღვაში მა-ინც არ მოგვაცდებს. თუ არ აგვაშენებს, არც გვაგინებს. ჩვენ ჩვენს საქმეს გა-ვაკეთებთ და საერთო საქმეც გაკეთდება.

— ოჳ, ყოჩალ, ბიჭებო! ასე თუ იმარჩვეოთ, ძალიან შორს წახვალთ. ა? გამარ-ჯება თქვენი! — თქვა ახლად დანიშნულმა უბნის გამგებ.

მუშებმა ოდნავ თავი დაუკრეს და, უფროსობა არ შევაჯერებინოთო, სიტყვაძუნწობა გამოიჩინეს.

ინუინერმა დუშილში უხერხულობა იგრძნო და ბეჭსალომს მიუბრუნდა:

— როგორ ეგუებით მუშაობას?

— ისე რა.

— ხომ არაფერი გიჭირთ?

— რომ გვიჭირდეს, ვითომ რას იზამდით?  
 ინუინერს გაელიმა.

კვლავ აბესალომმა დაიწყო:

— მიჭირს, აბა არა? ზოგიერთს კაბინეტში ჯდომა უჭირს და წელის გასა-  
 მართავად ოთახში წინ და უკან დადის. ასეთ ღროს მისი თანამშრომელი თუ შე-  
 ძლებს კარებს, უფროსი ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს რაღაცაზე გაბრაზდა და  
 ახლა ბოლთასცემით იქარებს ნერვებს. აქ კი ქვესკნელია.

ინუინერს მოეწონა აბესალომი, მაგრამ არა აგრძნობინა რა. პაპიროსი გაა-  
 ბოლა, მასაც მიაწოდა და ჰკითხა:

— შენ რაზე მუშაობ?

— მებიგე ხარო, მითხრეს. არ ვიცოდი, რა იყო ეს მებიგეობა. მე რაღაც:  
 კარგი საქმე მეგონა. თურმე გამაგრებელი ვყოფილვარ. მაღაროს ჭერს ბოძებს.  
 ვუდგამ სწორხაზობრივი მიმართულებით და ვემნი ლავებს ელმავლის შემო-  
 სასვლელად. — თქვა და ჯიბეში ასანთი მოიძებნა. ინუინერმა დაასწრო, ასანთი  
 გაჰკრა და აბესალომს მიაწოდა. ჭაბუქს მოერიდა და უკან დაიხია.

— ჰა, მოუკიდე, თორემ დავიწვი თითები.

— რატომ წუხდებით?

— ეს, რა კაცი ყოფილხარ! აბა, რა შეწუხებაა ასანთის გაკვრა და მოწო-  
 დება:

\* აბესალომმა პაპიროსი გააბოლა. ისეთი კმაყოფილება იგრძნო, აღარ იცო-  
 და მადლობა როგორ გადაეხადა.

\* ეს შენიშნეს მუშებმა და ჩაიჩურებულეს:

„ერთი შეხედვით უცხვირპირო გვეგონა. ხედავთ, რა თავმდაბალი კაცი  
 ყოფილა? ძველი ინუინერი პაპიროს მოგიყიდებდა?!

— აბა, კაცო. უბრალო რამეში გაუგებ ადამიანს...

თითო-ოროლა მუშა ინუინერს მიუახლოვდა და საუბარში ჩაება. ცოტა ხა-  
 ნში მას ყველანი ირგვლივ შემოერტყნენ და თვალებით გამოუტყდნენ: „მოგ-  
 ვწონხარ, კარგი ადამიანი ჩანხარ, კარგი მეგობრობა შეგძლებიაო“.

— მეგობარი რომ გყავდეს, შენ თვითონ უნდა შეგეძლოს მეგობრობა, —  
 საუბარში გამოურია ნეკრო პაპიშვილმა და მუშებმა გულში ჩაიხედეს.

„შენ მეგობრობა გვაჩვენე და ჩვენც გიჩვენებთ მეგობრობას“, და კვლავ  
 შეხედეს ახალ გამგეს, რომელსაც გარეგნულადაც ეტყობოდა, ინუინრობას-  
 თან ერთად დიდი კულტურაც რომ შეუძენია უმაღლეს სასწავლებელში.

\* \* \*

რამდენიმე მეტრის მოშორებით არასწორი კონტაქტის გამო მავთულმა  
 ელექტრონაპერტულები გადმოაფრქვია. არ გაუვლია მცირე ხანს და მხარმარ-  
 ჭვნივ ძლიერი დაჭახების ხმა გაისმა. აბესალომი მიხვდა, რომ ჯალამბერს კარ-  
 გი დღე არ აღდა.

— რამ გაწყვიტა ეს დასაწვავი ტროსი?

— ჯანდაბამ.

— ჰა, შეხსენით ვაგონეტს და ნასკვი გადაუნაცვლეთ...

კომბრესორისა და ჯალამბრის ირგვლივ აფუსფუსებულ ხალხს ჟანგისფ-  
 რად განათებულ პირსახეზე ოფლი ჩამოსდიოდა და ელექტროშუქზე ბრინჯა-  
 ოს კაცებს ჰგვანდნენ.

აბესალომმა დაუდევარი მოქნევით ცული მორჩე დასაო და აუჩქარებლად

ვაემართა მოთკენ... როგორც კი მიუახლოვდა ხალხს, დაინახა დაჯახებით საგორის რავგადამიდარ ვაგონეტს ვიღაც ეჭიდებოდა რელსზე შესაყენებლად. „ერევა და ვერც ერევა. შუბლიდან კი ოფლი წურწურით ჩამოსდის“, თქვა და უცებ მერისი მოაგონდა, სადაც დამპალი შპალი ჩაუტყდა, ვაგონეტი გადაუვარდა და ბევრი იჯახირა...

„სულელია ეგ ვიღაცაა“, — გაიფიქრა. უნდოდა ეყვირა, მარტოდ რას წვალობო, მაგრამ ამ ღრის უცნობმა ვაგონეტი რელსზე შედგა და აქოშინებულმა წელში გამართვა ძლიერ მოახერხა. აბესალომმა ხელი ცხვირთან დაუტრიალა და მოწონების ნაცვლად აგდებით უთხრა:

— ორდენით დაგიმშვენებენ მკერდს, აი!.. რას აკლავ თავს? განა ჩვენ ვერ მოგეშველებით? ერთბაშად. არ დაგიმადლოს ჩვენმა ინუინერმა!

დაღლილმა შუბლი ცხვირსახოცით რომ შეიმშრალა და თვალი გაუსწორა, აბესალომმა მხოლოდ მაშინ იცნო უბნის ახალი ინუინერი.

— ვის უნდა ინუინრის მაღლობა! მთავარია, საქმე გააკეთო! — თქვა და აბესალომს ირიბად შეხედა.

ჭაბუქს ისე შერცხვა, სიტყვის თქმა ველარ მოახერხა... არასოდეს არ მახსოვსო ვინგეზე ცუდი მეთქვას...

ბოლოში მაინც არ მოხხადა. არც იცრუა, გიცანი, მაგრამ განგებ ვთქვიო... უბრალოდ, გულწრფელად უთხრა:

— მუშას უნდა თუ არა, მაინც დასცდება ხელმძღვანელის ძვირი!..

— დარწმუნებული ხარ, მართალს ამბობ?

— დიახ.

— მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მართალი არიან მუშები?

— ეს კი არ ვიცი. ისე, კაცმა რომ თქვას, მუშა მუდამ და ყველასთან მართალია. ის ღირებულებას ქმნის, ის არის ყველაფერი და გაფრთხილება უნდა. ეს, რაც გითხარი, ნამდვილად ასეა, ვიცი.

ინუინერმა უყურა, უყურა, შემდეგ თითქოს ღიმილიც გამოუკრთაო, პირში პაპიროსი გამოიჩარა და წავიდა.

აბესალომი იმ დღეს პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა. წუხდა, განიცდიდა, რომ ინუინერს აწყენინა. არა, მას არ უნდოდა ცუდი ეთქვა ინუინერზე, მაგრამ გამოუედა კი. ამიერიდან მას ცივი თვალით შეხედავენ...

მეორე დღეს, ცვლა ის იყო დამთავრდა, აბესალომი პარტბიუროში დაიბარეს. აბესალომს არც ხელ-პირი დაუბანია, არც ტანზე გადაუცვამს, ისე გასწია პარტბიუროსაჟენ. მიდიოდა მოთენთილი, მოწყენილი და გულნატკენი, რადგან ეგონა, ნევრო პაპიშვილმა დამასმინა და კარგ დღეს არ დამაყრიანო.

„აფსუს, ნევრო პაპიშვილო, ჩემან, უბრალო მუშისაგან, თუ შეკამათებას არ მოითმენ და შეეცდები თანამდებობით გადამიხადო სამაგიერო, აბა როგორ ისწავლი მუშის ცხოვრებას, როგორ გაიგებ მის ტკივილსა და სიხარულს? აფსუს, როგორ არ შეგრცხვა და დამასმინე“... ფიქრობდა და კიბეზე მიიწევდა. მთელი დღე მაღაროში ზედმეტ საათებში მუშაობა ერჩია ახლა მდიგნის კაბინეტში შესვლას, რადგან გრძნობდა, იქიდან გაულანდავი ვერ გამოვიდოდა.

— შეიძლება? — იკითხა, როცა მდივნის კაბინეტის კარი შეაღო, და იქვე ნევრო პაპიშვილი რომ დალანდა, დარწმუნდა, ინუინერს მართლაც დავუსმენივარო. — გამარჯობათ! — თქვა ზრდილობისათვის და ფანჯარაში გაიხედა.

პარტბიუროს მდივანმა სავარძელზე მიუთითა და ხელი გაუწოდა ჩამოსა-



რომევად. აბესალომშა მას მაგა შეაგება, რადგან ხელი გამურული ჰქონდა. არა გამურული გამურული ჰქონდა.

— შენ ძალიან დაგიშავებია, მმაო, — გასამხიარულებლად გაეხუმრა შეი-ვანი.

— რას იზამ! — სერიოზულად უპასუხა აბესალომშა და ჭერს ახედა. არაფ-რთ არ ჰგავდა ეს მოხატული ჭერი მაღაროს ჰორიზონტალურ ქანს, რომელ-საც აბესალომი ბოძებს უდგამს, არ ჩამოინგრეს და ხალხი არ ამოხოცოს ქვესკრელში.

— შენ, მმაო, აალაპარაკე ხალხი...

— რას იზამ! — იმავე ტონით უპასუხა აბესალომშა და ახლა მზერა კე-დელს ჩამოაყოლა. კედელზე ჰორტენზიები ცოცხლად გამოიყურებოდნენ და ნამდვილი ყვავილების შთაბეჭდილებას ქმნიდნენ.

— გეგმა თურმე ორმაგად და მეტად შეგისრულებია!

— რას იზამ! — მექანიკურად გაიმეორა ამოჩემებული სიტყვები და, რო-ცა იგრძნო, ეს არ ჰგავდა მოსალოდნელი ლანდლვის შესავალს, სულ სხვას ნიშ-ნავდა, შეკრთა და მდივანს თვალი გაუსწორა.

— რა მიბრძანეთ?

— გეგმა შეგისრულებია-მეტე იორმაგად და მეტად.

— ჰოო, — თქვა და თვალი ისევ აარიდა.

— სჯობს უკეთ გავუგოთ ერთმანეთს. ჩევნი აზრია, დაივალო ცვლის ბრიგა-დირობა.

— არაფერი მესმის.

— რა არის აქ გაუგებარი? გითხარი, დაგვეთანხმე-მეთქი... გვინდა ცვლის ბრიგადირად დაგნიშნოთ. ეს თითქმის იგივეა, რაც უბნის ინუინრის მოადგილე. ჩევნ ყოველ უბანში სამი ასეთი მოადგილე გვყავს ცვლების მიხედვით. შენ იქნები დილის ცვლის ბრიგადირი. კარგად იცი, თუ რა გევალება. არა მარტო ერთ საქმეს, ყველაფერს უნდა მიაქციო უურადლება. შენთან უნდა იყრიდეს თავს ცვლის მუშების ინტერესები და სურვილები...

აბესალომშა ნევროსაკენ გაიხედა. თითქოს მისგან დასტურს ელოდა — ყველაფერი ეს სინამდვილეა თუ მეჩევნებაო. ბრიგადირად დანიშვნა და ნდო-ბა იმდენად არ ახარებდა, რამდენადაც ნევრო პაპიშვილის ადამიანურობა. ახ-ლა ინუინრის იმდენი ხათრი ჰქონდა, რომ დაევალებინა, ერთ წელიწადს არ გამოხვიდე მაღაროდანო, სიამოვნებით ჰეუსრულებდა სურვილს. მაინც ეს რა მოხდა — ლანდლვას მოელოდა და, თურმე, აწინაურებდნენ. სიხარულით გუ-ლი ისე შეეკუმშა, ინატრა, ერთი ამ კაბინეტიდან გამიშვით, როგორ უნდა შე-უბოვრობა და საქმის გატანა, მე გიჩვენებთო.

პარტბიუროს მდივანი მიუახლოვდა გაოგნებულ ჭაბუქს და ხელი გაუწოდა.

— გისურვებო წარმატებებს, აბა შენ იცი!

— ვეცდები! — თქვა, ნევროს მორცხვად მიუბრუნდა, თავი დაუკრა და გავიდა. იმ დღეს ისე გაბრუებული იყო, აღარ იცოდა რა ექნა.

მდივანი ნევროს მიუბრუნდა:

— ა, მმაო, შენ, იცი და მაგან, შენი არჩევანია. პრეტენზია არ გამაგონო...

— მენდეთ. — უპასუხა ინუინერმა, ყურადღებისათვის მადლობა მოახსე-ნა და კაბინეტი დატოვა.



## გაღვა შეგდებე

ჩ ე მ ი მ ხ ა რ ე

ლამაზია ჩემი მხარე,  
 ხან ვაკე, ხან აბორცვილი,  
 საღ წევს წევი შეხმიანებს  
 და კლდეს წყარო დალოცვილი.  
 საღ მტკვარია, საღ რიონი, —  
 დიდი გულის არტერია.  
 ერის საქმე საგმირონი,  
 ვისაც გულზე აწერია.  
 ჩემო დედა-საქართველოვ,  
 გულმართალო და მზრუნველო,  
 ყველასათვის სანატრელო,  
 ყველასათვის სასურველო!  
 ბევრს ეწადა აქ თარეში,  
 მაგრამ კარი გადარაზე,  
 ვერ მოგვლეს და სამარეში  
 დარდი ჩაჰყათ შაჰ-აბაზებს.  
 ჩემო დედა-საქართველოვ,  
 გულმართალო და მზრუნველო,  
 ყველასათვის სანატრელო,  
 ყველასათვის სასურველო!





## აკაკი ჩხაიძე

### ქველ ამბავს ეტუვი ახალ მშენებლებს

ხარ დიდ ბრძოლების გადასახედი,  
გიტევდა სპარსი, თურქი, არაბი...  
სისხლიან ლაქებს კრწანისის, მცხეთის.  
ხან მტკვარი რეცხდა, ხანაც არაგვი.  
დღეს შენ გაყრია მკერდზე აპრილი,  
სიამით აესებ სტუმარს თუ მნახველს,  
და მეც მიღელავს გული მტკვარივით,  
როცა კვარცხლბეკზე ვუმზერ რუსთაველს!..  
ელავს შენი ცა,  
შენი მიწაც და  
აქ თავისუფლად სუნთქვენ ხენიც...  
მიყვარს მე შენი ღამე და დღეცა.  
რომ აქ ვმაღლდები კაცი, ვითარცა  
ხარაჩობი მაღლდება შენი.  
ჭარსულ ბრძოლებში ნაწრთობი გმირი  
დაუძძობილდი ფოლადის სუნთქვას.  
და დღე ნათელი შვენის ღიმილი  
უძველეს თბილისს და ახალ რუსთავს...  
ჩარეცხავი მტკვარი ბეტონის კედლებს,  
ცხოვრების დიდ ჩარხს შეატრიალებს...  
ძველ ამბავს ეტყვის ახალ მშენებლებს,  
როგორც თეთრწვერა მემატიანე.



## შოთა თორეაძე

### რ ღ ვ ე პ ა

კარებზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით. — გაეხმაურა გიორგი.

ოთახში მაღალი, მხარბეჭიანი კაცი შემოიმართა.

— მაპატიეთ, მოულოდნელად გესტუმრეთ. ალბათ. მიხვდებით ვინცა ვარ...

— დიახ, დიახ, პოლკოვნიკი ჯაფარიძე, თუ არ ვცდები...

— მართალი ბრძანდებით... მოგეხსენებათ დღევანდელი ვითარება, საქმე გადადებას არ ითმენს, თორემ ხვალ სამსახურში ვინახულებდით...

ოთახში დიასახლისი შემოვიდა. გიორგიმ პოლკოვნიკ ჯაფარიძეს მეუღლე გააცნო და სკამი შესთავაზა.

— მშვენიერი ოჯახი გქონიათ. ბატონი ჩემო. ბინასაც არა უშავს. თუმცა რა! ოქვენი მდგომარეობის ადამიანს უკეთესიც ეკუთვნის, მით უმეტეს დღეს...

პოლკოვნიკის სიტყვებში აქვარა ირონია იგრძნობოდა. რადგან გიორგის ბინა ძალიან ღარიბულად გამოიყურებოდა.

— ჰო, რაღაც ფქვილისა და ფულის ამბავი ყოფილა. მე დღეს დავგრძნდი ართვინიდან... — განაგრძო პოლკოვნიკმა და თავისი ვიზიტის მიზანი გააცნო გიორგის. — ის აქტი უკვე გადაეცით მთავარ კონტროლს?

— დიახ, ასეთია ჩვენთან წესი, შეჩერების უფლება არა გვაქვს, — მიუგო გიორგიმ.

— ო, ძალიან გიჩქარიათ. — და პოლკოვნიკმა ალმაცერი ღიმილით შეათვალიერა გიორგი. თითქოს ნანობდა, თავი რატომ გავუყალრე რევიზორს და რად ვეახლეო...

სამხედრო ნაწილებში მთელი დღის სიარულით მოქანცული გიორგი სამართველოში დაბრუნდა.

ბათუმის მოუკირწყლავ და ოლრო-ჩოლრო ქუჩებში ფეხით სიარული თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ დაყოვნებას შეეძლო ზიანი მოეტანა... საქართველო განსაკლელშია, ფიქრობდა გიორგი, სახელმწიფო კონტროლის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ბედ-ილბალი, მით უფრო ახლა, როცა თანამდებობის პირები გამდიდრების სენმა შეიძყრო...

დერეფნის კარი შეაღო და მოულოდნელად იქიდან მომავალი პოლკოვნიკი ჯაფარიძე შეეჩება.



— სახელმწიფო ქონების ერთგულ დარაჯს ვახლავარ. — დამცინავად მდგრადი სახლში იგი.

თითქოს აქ არაფერიაო, გიორგი აუჩქარებლად აპყვა კიბეს. ახლა პოლკო-ვნიკის გამჭირდავი ხითხითი შემოესმა, მაგრამ გიორგიმ ყურადღება არ მიაქცია. თვალშინ დაუდგა ჭარისკაცთა მოლუშული სახეები. ისინი მრისხანედ უცემერდნენ მეთაურებს. ჯგუფებად შეკრებილნი რაღაცაზე ჩუმად, მაგრამ დაბეჭითებით თაბაძირობდნენ.... გაიგეს სახელმწიფო კონტროლის რევიზორის მოსვლა, მაგრამ საჩივრებით არავინ მიმართავდა. ჩანს, ისინი არ ენდობოდნენ და არ სკეროდათ ხელისუფლების მოხელეებისა.

— ბატონო მიტროფანე, ჭარის ნაწილებში სრული ანარქია სუფლეს. — დინგად და დამაჯერებლად უყვებოდა გიორგი მთავარ კონტროლიორს. განსაკუთრებით აშლილ-აწეწილია ფინანსური და სამეურნეო ანგარიშება. არავითარი ღოკუმენტაცია არ დგება. ვისაც რა მოესურვება, იმას აკეთებს. ნადგურდება სამხედრო ხორავი. ჭარისკაცები, ვისაც კიდევ სჯერა ჩვენი, სამართლიან საყვედლებს გამოიქვამენ.

— ჰე, ჰე, — ჩაიცინა მთავარმა კონტროლიორმა, — ჩემო გიორგი. ნუ-თუ ველარ გაიგე, რომ ჭარისკაცს არა აქვს საყვედლურის უფლება. უნდა მოითმინოს. მაში, რისი სალდათოა!

— ჰო, მაგრამ კუთვნილ ულუფის რომ არ აძლევენ! პურსაც უხარისხო, მწარე ფქვილისაგან...

— ჭამონ, რასაც აძლევენ. მორჩა და გათავდა! ნუ მიაჩვევთ წუწუნს. ხომ ხედავენ რა დღეშია სამშობლო.

— სამწუხაროდ. ბატონო მიტროფანე, რაც მათ ეკუთვნით მთავრობის ნორმით, ისიც სხვს მიაქვს...

— მაში როგორა გვონია, სალდათებს მიართმევენ და თვითონ კუჭის ამინ-მობენ შიმშილით?

გიორგი მოულოდნელობისაგან შეკრთა, არ ელოდა მთავარი კონტროლიორისაგან ასეთ პასუხს.

— საინტენდანტო მაღაზიის გამგეშ ხუნდაძემ თეთინებურად ვიღაც ბაიაძის კერძო ფურრეში დაწყო ოთხი ათასი ფუთი კანალური ფქვილი და ეს მაშინ, როცა საუკეთესო საწყობები აქვს. ხოლო შემდეგ იქიდან უბრალო მოთხოვნილებებით თავისი შეხედულებისამებრ ურიგებდა ფქვილს სამხედრო ნაწილებს...

— აქტშიაც ეგრე გიშერია?

— კი, ბატონო მიტროფანე! მე თვითონ შევამოწმე რამდენიმე ნაწილი. მე-სამე ათასეულში, პოლკოვნიკ ჭაფარიძესთან მაინც ყველაზე ცუდად კვებავენ ჭარისკაცებს.

— ეგ კი ზეღმეტია.

— უტყუარი საბუთები მაქვს, ბატონო. ჭაფარიძე მფარველობს ზუბენკოს და მასთან ერთად სჩაღის ბოროტმოქმედებას. აი, კიდევ, ორი კვირის წინ ათასეულისათვის მორევილი ჭოგიდან ექვსი საუკეთესო ხარი სახლში გაარეკვინა სალდათებს...

— სიტყვას დამტკიცება უნდა, გიორგი!

— დიახ, დავამტკიცებ კიდეც. მზადა მაქვს საბუთები.

მთავარი კონტროლიორი საგარელში შეიშმუშნა.

— კიდევ რა იციო?

— ჩემს მოხსენებით ბარათში ყველაფერი წერია, ბატონო მიტროფანე...

— ყოველივე ხელახლა დამიწერეთ, მოხსენებით ბარათს ყველა მამხილე-

ჩელი საბუთი დაკარით. მე მაგათ ვუჩვენებ, თუ როგორ უნდა მთავრობის მო-  
ტიუნება...

გამოცდილ თვალს არ გამოეპარებოდა მიტროფანეს ცბიერება, მაგრამ გო-  
ორგის რატომლაც არაფერი შეუმჩნევია. მას სჯეროდა ოლქის მთავარი სახელ-  
შინით კონტროლიობის სიწმინდისა...

\* \* \*

ჩვეული სიღინჯით შეაღო გიორგიმ რესტორან „ბი-ბა-ბოს“ კარები. უმალვე  
შემოესმა მიტროფანეს, პოლკოვნიკ ჭავარიძისა და სხვათა ნაცნობი ხმები, რო-  
მილებიც რესტორანში მხიარულად ატარებდნენ დროს. გიორგი ერთბაშად გაქ-  
ვავდა, გონებაში ცველაფერი იყრია. მალე ჭავარიძის როხროხი შემოესმა: „გი-  
ორგი ბოლშევკია, ან ბოლშევკიების შემოგზავნილი“.

— მართალია.

— სწორია.

— გიორგი შემოგზავნილია.

— რესპუბლიკის მოლალატეა.

— რა გჭირდა, კაცო, მისი მოშორება...

წასაცვლელად მიმზადებული გიორგი ადგილიდან ფეხს ვერ იცვლიდა, ძა-  
ლა არა ჰკოფინდა, მუხლები უკანქალებდა...

მთვრალები რესტორანიდან გავიღნენ და ეტლში ჩასხდნენ გასასეირნებ-  
ლად. გიორგი არავის შეუმჩნევია. მან უმშეოდ, გათელილად, მიწასთან გასწო-  
რებულად წარმოიდგინა თავი. ამდენი წნის პატიოსანი, უანგარო შრომა ეგრე  
დაუფასეს, თვით მიტროფანებიც კი. მაშ რაღას უნდა ელოდოს მათგან? განა ეს  
ურის მთავრობის დასაყრდენი ამ ახლად შემოერთებულ ოლქში? განა ამათ გა-  
ეგებათ რაიმე ხალხი, ან ფიქრობენ მათს ინტერესებზე?.. „თუ ამ ხალხს ბოლ-  
შევიკები არ მოსწონს, ეს ძლიერ საგულისხმოა. განა ყაჩალ მოსწონს პატიოსა-  
ნი აღდგიანი?.. ჩანს, ბოლშევკიები ხალხის ინტერესს იცავენ... ვნახოთ“ — ფი-  
ქრობდა თავისთვის გიორგი.

\* \* \*

1921 წლის იანვარი იწურებოდა...

ქალაქში არეულობა იყო. მემშევიკების პოლიტიკა კატასტროფას განიც-  
დიდა. ვერ გაიგებდი, ვინ განაგებდა ოლქს თუ ქალაქს, ვინ ვის ემორჩილებოდა. განსაკუთრებული რაზმის აგრენტები ცველას განურჩევლად აპატიმრებდნენ...

ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ გიორგი პირველად მივიდა სახელმწი-  
ოო კონტროლის საოლქო სამხართველოში. ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა თავს. ვერ დაევიწყებინა რესტორან „ბი-ბა-ბოში“ ნახული და განცდილი. მაგრამ  
სამსახური, ვალი სახელმწიფოს წინაშე უკარნახებდა რესპუბლიკის სადარაჯო-  
არ მიეტოვებინა და გადაწყვიტა მიტროფანეს სწერდა, საბოლოოდ გაეგო მი-  
სი ნამდვილი პოზიცია.

მიტროფანე ხელებგაწვდილი შეეგება გიორგის:

— როგორა ხარ, ასეთ დროს ავადმყოფობა შეიძლება?.. მაპატიეთ, ვერ გო-  
ნახულეთ...

დაცდილი ჰქონდა გიორგის, როცა მიტროფანე ფარისევლობდა, რაიმეს  
ატყუებდა... ამიტომ მოემზადა მყაცრი შეხვედრისათვის. განა იმ დღის შემდეგ,  
რაც თავისი ყურით მოისმინა რესტორან „ბი-ბა-ბოში“, სხვაგვარი საუბარი-  
შეიძლება?.. ახლა უნდა თქვას, ბარემ, სათქმელი.

— ჰოდა, — განაგრძო მიტროფანემ, — მეც იძულებული ვიყავი დამეწერა-  
ბრძანება თქვენი განთავისუფლების შესახებ.

— ჩემთვის ნათელია ყველაფერი... ისეთ ხალხში, როგორიც ჭაფუარების ზუბენკო...

— სამხედრო უწყების გამო მოხდა ყოველივე ეს. გეუბნებოდი, არ ლირდა მათთან ჯახი...

— ბატონო, მე სახელმწიფოს ინტერესებს ვიცავდი.

— ჰოლა, სწორედ ახლა, სულ ათი დღე ქენება, რაც სამხედრო უწყებაზე კონტროლი ჩამოგვაშორეს. ამისათვის შეიქმნა სამხედრო-საველე კონტროლი. ტფილისილან ივლიან შესამოწმებლად. ახლა კი... ბრძანების ამონწერი გადავგზავნე, ტფილისში იციან.

— გმადლობთ, — ირონიულად მიუგო გიორგიმ, — იმას კი ვერ ხედავთ, მაიორ ზუბენკოს ქუთაისიდან ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის ნაცვლად სასპერაულაციოდ მწვანილი და ოჯახის მოწყობილობა რომ ჩამოაქვს. ჯარისკაცები მშიგრები დალასლასებენ, მათ ჩივილს არაერთ ისმენს. ხუნდაძისთანა გაძვერები კახელიძეების დაქმარებით სისხლისაგან ცლიან რესპუბლიკას. ჭაფუარიძეები და ამაშუკელნი იტაცებენ ჯარის ქონებას. სიმართლის მთქმელს კი უმაღლ თავიდან იშორებთ... ეს იოლი გზაა, მაგრამ... გთხოვთ ჩემი მასალები დამიბრუნოთ.

— მასალები სახელმწიფოს ეკუთვნის და არა თქვენ, — სრულიად ოფიციალური ტონით უპასუხა მიტროფანები. — რა უუყოთ, რომ ისინი თქვენ შეადგნეთ. მაშინ თქვენც სახელმწიფო მოხელე იყავით.

\* \* \*

გიორგი დედაქალაქში ჩავიდა... ობერვლის დღეებში აბა ვის ეცალა მის-თვის, ვინ მიუშვებდა მას მთავრობის თავმჯდომარებრებე... დიდხანს უტრიალა სასახლეს, ძველ ნაცნობებსაც მიმართა დახმარებისათვის სახელმწიფო კონტროლის სამართველოში, მაგრამ ყველგან უარით ისტუმრებდნენ.

თბილისში ხალხის მღელვარებიშ ჩააფიქრა გიორგი. შეიგრძნო ათასების ძალა. სადგურზე გასული ხედავდა, თუ როგორ სწრაფად იტვირთებოდა ვაგონები, ირგვლივ ტრიალებდნენ საგანგებო რაზმის აგენტები. გადიოდნენ მძიმედ დატვირთული ეშელონები. დედაქალაქიდან გაპქონდათ საქართველოს სიმდიდრე. მენშევიკური მთავრობა საკუთარი თავის გადარჩნისათვალს ზრუნავდა...

„ყველა ზატყუარა, ფლიდი და ყაჩალი ყოფილა. ამაռ მიშრომია. ახლა კი ვიცი, სად შეიძლება ვაპოვო სიმართლე, ვინაა პატიონსანი. ხალხი, მუშები, — მხოლოდ ისინი იხსნიან ქვეყანას დალუპვისაგან... ჰმ, გიორგი ბოლშევიკიან, გაიძანდნენ „ბი-ბა-ბოში“. დღემდე ბოლშევიკი არ ვყოფილვარ, დღეიდან კი ვიქნები“, ფიქრობდა გიორგი.

\* \* \*

ბათუმი უკვე ბობოქრობდა. ხალხით გაჭედილ ქუჩებში წითელი დროშების ზღვა ირხეოდა... მუშათა კოლონები სიმღერითა და შეძახილებით მიიკვლევდნენ გზას. მათში ქალები და ბავშვებიც კი ერია...

გიორგიმ იგრძნო ხალხის ძლიერების სიღიადე... უეცრად ადგილს მოწყდა და მოგუგუნე მუშათა ტალღას შეერია... ბრგე, ხელებდაკოურილ მუშას, რომელსაც წითელი დროშა მაღლა აეტაცნა, გვერდში ამოუდგა და მებრძოლის ნაზიკით გასწია წინ.



## აუგუსტი ჩაჩუა

### გოგოყვათელი ეპიზოდი

მთავრობის სასახლეში ფართოდ იღება დარბაზის კარი.

აღგილებს იყავებენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

მიღინარეობს შრომის ნოვატორთა თაობირი.

ტრიბუნიდან გაისმის ცნობილი სახელები და გვარები: ტატიანა ტყებუჩავა, ტატიანა ჩხაიძე, მერი კვაჭანტირაძე, მენფულე ბალაძე.

სხვებთან ერთად საშუალო ტანის, ოდნავ გამხდარი, მიმზიდველი სახის ქალიშვილსაც ასახელებენ, მკერდზე ოქროს ვარსკვლავი რომ უბრწყინავს.

მას ყველა იცნობს საქართველოში, უფრო შორსაც კი.

თვითონ იგი — ბობოყვათელი მეჩაიე მაყვალა ჯინჭარაძე ყურადღებით უსმენს მომხსენებელს, დრო და დრო პრეზიდიუმისაცენ იხდება.

თითქოს მაყვალა ჯინჭარაძეს უყურებს ნიკიტა სერგიის-ძე ხრუშჩოვი.

იქნება, იცნოკიდება ეს ქართველი გოგონა?! განა ახლახან არ ნახა მოსკოვში ქალთა საერთაშორისო დღის ორმოცდა-ათი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო შეკრებაზე? „ნუთუ ვახსოვარ?!“ ჩემისთანა ხომ ბევრი იყო იქ?!“ ფიქრობს მაყვალა და იგონებს იმ მღელვარე მოსკოვურ წუთებს. იქიდან ხომ გოგონა ოქროს მე-

დღით მკერდზე მშვენებული დაუბრუნდა ოჯახს. ფიქრობს და თავს მორცხვად ხრის, თანაც მრგვალ სახეზე წითელი ზოლები ეფინება. თითქოს სურს დაერიდოს, მაგრამ თვალები მაინც საყვარელი სტუმრისაცენ მიღდის!..

\* \* \*

„ქობულეთის რაიონი. ბობოყვათი. მაყვალა ჯინჭარაძეს!“ — უამრავი წერილი და მოლოცვის დეპეშა მოდის ამ მისამართზე.

რა მოხდა? — გაოცებით კითხულობენ ცნობისმოყვარენი. მათ სიამაყით განუმარტავენ: ჩვენმა თანასოფლელმა გოგონამ მაყვალა თევრათის ასულმა ჯინჭარაძემ გვასახელა. ჯერ იყო და მიჩენილი ნახევარი ჰექტარი პლანტაციიდან 4,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიცა... მერე ხუთი, ხუთნახევარი, შვიდი. 1959 წელს კი... მოლოდინს გადაჭარბა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მოკრიცა და სახელმწიფოს ჩააბარა რვა ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

მაყვალას მაშინვე მიენიჭა დამკვრელი მეჩაიეს საპატიო წოდება. მისი სახელი ელვის სისწრაფით მოედო ქვეყანას... და მოსკლა წერილების, დეპეშების ნიაღვარიც. რომელი ერთი წაიკითხოს, არა-და. გული რომ არ უსვენებს! თითქოს უხილვა ძალა ეზიდება მას ბარათებისაკენ, საიდანაც მოკითხვა-მოლოცვა, კო-

ცნა, ხოტბა მზის სითბოსავით იღვრება. აი, ერთი წერილი აფხაზეთიდან.

„ძვირფასო მაყვალა! ჩვენ ჯერ ერთ-მანეთს აო შევხვედრივართ, მაგრამ მე კარგად ვიცი თქვენი შესანიშნავი შრომის შესახებ. თქვენ ერთ-ერთი პირველი ხართ ჩვენს სახელმისამართის შემთხვევაში შორის და არაა გასაკვირი, რომ ასე გაცნობენ მთელ საბჭოთა კავშირში. თქვენ ხომ უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეთ. ვინაიდან მეც მეჩაიე ვარ და ვცდილობ რაც შეიძლება მეტი ჩაი მივცე სამშობლის, კურადღებით ვაღევნებ თვალ-ყურს, როგორ მუშაობენ მოწინავე მეჩაიები. შარშან 7.100 კილოგრამი ჩაი მოვკრიცე ნახევარი ჰექტარიდან. წელს 400 კილოგრამს მაინც მივუმატებ ამ ციფრს: გრძველ სოციალისტურ შეჯიბრებაში. რას იტყვით ახალე? მომწერეოთ თქვენს შესახებ ყველაფერი.

გული ავძიბა.

აფხაზეთი, ოჩამჩირის რაიონი. ჩლოუს კალმეულ-ენობის მეჩაიე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი“.

...სადღოც ქვევით ნაბირებს ეხეთქება შავი ზღვის ტალღები. ამ ჩვეულში მაყვალს ესმის ჩუმი ჩურჩული: „შევეჯიბროთ“.

ჩაის ხავერდოვან პლანტაციებს თავს გადაუქროლებს ნიავი და ისიც ჩურჩულებს:

„შევეჯიბროთ“.

დგას მაყვალი მთას ღერღობზე ჩაის ბუჩქებს შორის და თვითონაც ჩურჩულებს: „შევეჯიბრები და... გვიმარჯვება“.

იმდინანდა გასცემის ჩაის ბუჩქებს, ეალერსება მათ. თავს დასტრიალებს.

როცა საღამო მოაღწეოს და ბუჩქები ბინდ-ბუნდში გაუჩინარდებიან, მაშინ, მხოლოდ მაშინ ჩქარი ნაბიჯებით გაეშურება მაყვალა შინისავენ. მისი სახლი იქვეა, პლანტაციის ცოტა ზემოთ, მაგრამ ის მაინც ჩქარობს. „ცხოვრებაში ყოველი წამის ეკონომია — ეს არის ნაბიჯი წინ“, — ამბობს იგი.

აი, სახლიც. თევრათი აივანზე დგას და გზას გაპყურებს. მაყვალი ეზოში შემო-

ირბინა. თევრათი ღიმილით ეგებება ქალიშვილს და თან ალერსნარევ საყვედურს ეუბნება:

— მაყვალა, რატომ იგვიანებ? კინალამ საძებრიდ წამოვედი!

გოვნის არაფერი უთქვამს. სახლში ფეხატრულით შევიდა.

ახლა თევრათი დამშვიდებით მიუჯდა მავიდას. საანგარიშო ახლოს მიიჩინა. იგი ხომ ბრიგადირია და ჩვეულებისა-მებრ ამ საღამოსაც უნდა შეაჯამოს ბრიგადის წევრების დღიური ნამუშევარი.

ნელ-ნელა იცხება უწყისის გრაფები. იქ მისი ქალიშვილის სახელიც წერია. მაყვალა თევრათის ასული ჯინჭარაძე — კიონტულობს მამა და გული სიამაყით უძგრის. თითქოს განსაკუთრებით გამოყავს ციფრები, რომლებიც მაყვალს ბარაქიან შრომაზე მეტყველებენ.

\* \* \*

რა მიწეროს უცნობ აფხაზ მეგობარს გულის? ამაზე ფიქრობდა მაყვალი. პირადი არ იცნობს, მაგრამ მის ხეყვარულს გრძნობს, თითქოს მისი სახე ესახება წინ, ესაუბრება... და ქალაღაზე დაღაგდა პირველი სტრიქონები:

„უცნობი მეგობარო, ჩემ საყვარელო გული! შენმა წერილმა ძალიან გამახარა. მე მინდა გესაუბრო როგორც ჩემს საკუთარ და არა როგორც უცნობს. შენ გაინტერესებს ყველაფერი ჩემს შესახებ? არა, ყველაფერს ვერ მოგწერ, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი მოხვევს ასე, მე კი დრო არა მაქვს. მერეც, ყველაფერს ხომ ქაღალდს ვერ დავაბარებ! ზოგს პირადაც გეტყვი, როცა გნახავ. მერიდება ვილაპარაკო ჩემს შესახებ. რა გავაკეთე? რით დავიმსახურე ასეთი დიდი უცრადება? მეც ისე ეშრომობ, როგორც შენ...“

და მაყვალს ფიქრსა და წერაში შუალებები დაადგა თავზე... ძილმოკიდებული ებრძოდა სტრიქონებს, ვიღრე გულის ნადებს არ ამოწურავდა...

მართლა, როგორ მოიპოვა ეს სასახლი შრომითი წარმატებები მაყვალამ?

რვა წლიდან ჩაის პლანტაციაში მუშა-

ობს გამოცდილი შეჩაიების გვერდით და უხვი მოსავლის მიღების საკუთარი გამოცდილება შეიძინა. „თქვენ ეს გაინტერესებთ, პატივცემულ გული?“ და თვითვე უპასუხებს: „რა თქმა უნდა, გაინტერესებთ და ამის შესახებ მოკლედ შემდეგი უნდა გითხროთ...“

გამოცდილ და დაკვირვებულ მეჩაიეს მაყვალას თავისი სათქმელი აქვს.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრების შემდეგ მაყვალას მხოლოდ რამდენიმე „წყნარი“ დღე აქვს. მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

ახალ სეზონს პლანტაციის გადაბარვით იწყებს. გვიან შემოდგომაზე გადაბარვა უკეთესია, რადგან უნებლივ დაზიანებული ფესვი გაზაფხულამდე „მორჩება“. მაყვალა ბარავს არა 18-20 სანტიმეტრის სილიმეზე (როგორც ამას ზოგიერთი მეჩაიე აკეთებს), არამედ 12-15 სანტიმეტრზე. ეს მაყვალას რამდენადმე უმსუბუქებს შრომას და ჩაის ბუჩქებს ფესვებიც ნაკლებად ზიანდება. გადაბარვისას კი ნიადაგში შეაქვს 600-650 კილოგრამი სუბერფოსფატი.

დიდი სიცრტხსილით ეკიდება აზოტოვანი სასუქებით ნიადაგის განოყიდვებას. გარკვეული დოზით და თავის დროზე მიწოდებული სასუქი ამაგრებს ბუჩქს, აჩქარებს ვეგეტაციას, ხელს უწყობს დუყების ზრდას. მაგრამ თუ აზოტის შევიტან დიდი რაოდენობით და ამასთან დაუვიანებით, ეს, პირიქით, ცუდად იმოქმედებს ბუჩქზე, ზოგჯერ გაყვაითლებს და გაახმობს კიდევაც მცენარეს.

გარდა ამისა, ნორჩალური ჰაერაციისა-თვის მაყვალა ნიადაგს სისტემატურად აფხვიერებს, წმენდს, გაყავს სადრენაჟო არხები.

ხდება ასეც: პლანტაციაში განუწყვეტლივ შეაქვთ აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქები, მაგრამ ნიადაგს არ აძლევენ კალიუმის მარილებს. ამის შედეგად ბუჩქები ყვითლდება, კნინდება და ხმება. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა წლის განმავლობაში ორჯერ ჰექტარ ფა-

რთობზე შევიტანთ 200 კილოგრამი კულტურული ლიუმის მარილი.

საუცხოო შედეგს იძლევა ბუჩქთა შპალერული გასხვლა-გაფორმება, რაც უნდა ჩატარდეს მარტის შეორე ნახევარში, პირველ პრილამდე. გასხვლა-გაფორმების დაგვიანება ფოთლის ვეგეტაციას აგვიანებს.

მაყვალა ათვალიერებს წერილს და კვლავ განაგრძოს:

— გასხვლის ჩემი მეთოდი განსხვავდება სხვების მეთოდისაგან: მე ბუჩქებს ვაძლევ არა ოვალურ თუ ნახევრად ოვალურ ფორმას, არამედ რაც შეიძლება ვაბრტყელებ ბუჩქის ზედაპირს, როთაც ფართოვდება გვერდითი ნაზარდების ფართობიც. ასეთ ბუჩქზე ეტევა მეტი ღუში და საკრეფადაც უფრო მოხერხებულია.

მაყვალას თვალშინ უდგას თავისი მხარებგაშლილი ჩაის ბუჩქები, ათვალიერებს მათ და კვლავ წერს:

„როცა ნარგავები მოხუცდება, მათ მიმმედ გსხლავ. ჩაის ბუჩქთა ნასხლავი სიერთოდ პლანტაციაში უნდა დავტოვოთ. ის იცავს ნარგავის ფესვებს და კარგი ორგანული სასუქიცაა.

— შეასრულებ ამ წესებს? მაშინ შენ მოამზადებ უხვი მოსავლის საფუძველს.“

— ურჩევს მაყვალა აფხაზ მეგობარს.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია: მთავრებია მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღმართდა. ამიტომ ის შერჩევით კრეფას მაშინ იწყებს, როცა ბუჩქზე კარგად განვითარებული ყლორტების რაოდენობა ათ-თხუთმეტ პროცენტს მიაღწევს.

ფოთლს ყოველგვარ ამინდში კრეფს, რომ თავიდან აიცილოს მისი გაუხეშება. კრეფის წესებს ზუსტად იცავს. პირველ თვეს თევზა ფოთლოს გარდა ტოვებს ორ ნორმალურ ფოთლოს, მეორე თვეში — ერთ ფოთლოს. დანარჩენ თვეებში სეზონის ბოლომდე დუყებს კრეფს თვეზა ფოთლამდე.

მაყვალა ხშირად ყრუ დუყებისაგან წინაშარ წმენდს პლანტაციას, რომ ფო-

თოლი ერთნაირად შემოვიდეს და უფრო გააღვილდეს კრეფა.

„....აი, თითქმის ყველაფერი, რისი თქმაც ამ ბარათში მოვახერხე, ჩემო გული! თუ მოვიცალე, აუცილებლად გნახავ და პირადად ვისაუბრებთ... ნახვამდის: გქოცნ!

შენი მაყვალა ჭინჭარაძე.

ქობულეთის რაიონი, სოფელი ბობოვეთი.

ბარათი ლამაზად დაკეცა და საიმედო აღგილას შეინახა. „ხვალვე უნდა გავგზავნო“, გაუკლო გულში და საათს დახედა... ღამეს უკვე ჭალარა შერეოდა...

\* \* \*

ბობოვათელი ქალიშვილი მოულოდნელად სტუმრად ეწვია აფხაზ მეგობარს გულის... თითქოს დიდი ხნის უნახავი დები შეხვდნენო, ერთმანეთს მოეხვივნენ. დიდხანს კოცნეს და მერე საუბრით გული იჯერეს... მაყვალამ დაათვალიერა გულის პლანტაცია, გაეცნ მის გამოცდილებას. ბევრი რამ მოუწონა, შენიშვნაც მისცა, თავისი გამოცდილებაც გაუზიარა.

გულიმ სტუმარს დაათვალიერებინა თავისი სოფელი ჩლოუ და ყველაფერი მოუყვა მასზე. მაყვალამ კი ბობოვათის შესახებ უამბო.

ახლა ბობოვათში ოთხასამდე ოჯახი ცხოვრობს. 1959 წელს ეს კოლმეურნეობა აჭარაში პირველი გადავიდა შრომის ფულად ანაზღაურებაზე. ამასთან დაკავშირებით მშრომელებს უფასო სარგებლობაში გადაეცათ რაიონ, შეშა, წისქვილი. აბანო, უფასოა აგრეთვე კინო-კონცერტები და სხვ.

ბობოვათელებს აქვთ მოასფალტური ბული გზები, ლამაზი ხეივანი, კანტორის ორსართულიანი შენობა, სკოლა, სავადმყოფო, ჩაის ფაბრიკა, მაღაზია, საკუთარი რადიოკვენძი...

და კიდევ თავისი ოჯახის შესახებ უამბო მაყვალამ. გვიან ღამემდე საუბრობდნენ მეგობრები, ვიდრე ძილმა არ ძლიათ.

\* \* \*

მაყვალა თითქოს მწვერვალისაერნ მიმავალ კიბეს მიყვება. ყოველწლიურად იმდიდრებს ჩაის უხვი მოსავლის მიღების გამოცდილებას და კიდევაც აღწევს მიზანს. შარშან 9.695 კილოგრამი ჩაის ხარისხევანი მწვანე ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს. შვიდწლედის მესამე წელს, ხაბჭოთა საქართველოს ორმოციწლისთავისა და პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად იგი ჰექტარზე გადანერარიშვით ოცი ტონა ნედლეულსათვის იძრძვის. გვჯერა, რომ ამ დაპირებას მაყვალა პირნათლად შეასრულებს. მისი სიტყვა ხომ არასოდეს სცილდება საქმეს.

ამიტომაც მიიღეს იგი კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამიტომაც ერთსულოვნად გამოუცხადეს მას დიდი ნდობა თანასოფლელებმა და ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

- ამიტომაც სცემენ მას ესოდენ პატივს, ამიტომ უღიმოდა მას თაობირზე ქართველი ხალხის ძვირფასი სტუმარი — ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დიდი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩივი.



## ღარსენ კობალეძე

### სტიქორიზმის მემკრძალები

იმ ღამეს ჯუმბერ ინწყირველი ჩვეულებრივზე ადრე დაწვა, მაგრამ დიდხანს ოვალს რული არ მიკარებია. მამა სასტიკად გაუწყრა და მკაცრადაც დასაჭაურჩობისათვის. კიდევ კარგი, დედამ შეიბრალა, თორემ, ალბათ, უარესიც მოუვიდოდა.

აბა რა ექნა ჯუმბერს? მას ხომ ზღვა უყვარდა? სკოლიდან მოვიდოდა თუ არა, სადილს ფეხზე წაიჭამდა და უმალზლვისპირზე გაიქცეოდა. ზღვა დელავდა? არ ეშინოდა, აბობოქერებულ ტალღებს შეეჭიდებოდა, შორს წავიდოდა და ხმელეთზე დარჩენილ მეგობრებს ხელს უქნევდა. ბანაობით რომ გულს მოიჩერებდა, გემებს მიაშურებდა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მეზღვაურებს.

— რა, ბიჭუნი, გიყვარს ხომალდით ცურვა? — ჰეითხა ერთ დღეს ჩასუქებულმა მეზღვაურმა და ჯუმბერი ვეებერთელა ხომალდის გემბანზე აიყვანა.

— კი, ძია, მიყვარს ხომალდები, მეზღვაურები. რომ გავიზრდები, მეც მეზღვაური ვიქნები და ხომალდით ქვეყანას შემოვივლი. ჰო! ხომ იცი, ძია, ჩვენს ქალაქში საზღვაოსნო სასწავლებელია. სკოლას რომ დავამთავრებ, საზღვაოსნო სასწავლებელში ვისწავლი და მეზღვაური გავხდები.

— კი, მაგრამ ცურვა იცი?

— ცურვა?! ვიცი, ბიძია. ამხანაგები არ მანებებენ, თორემ აქედან ფოთში გავცურავდი.

— ოო, ყოჩაღ, ბიჭიკო, გამბედავი ყოფილხარ! აბა შენ იცი, კარგად ისწავლება ყველა ოცნებას შეისრულებ. შენ ხომ საბჭოთა ქვეყანაში იზრდები!

\* \* \*

გავიდა ხანი. ჯუმბერმა წარჩინებით დამთავრა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი და ნაესაღვურში დაიწყო მუშაობა პატარა გემებზე, თუმცა გული საოკეანო გემებისაკენ მიუწევდა, შორეულ რეისში რომ მიდიოდნენ. ვინ იცის, ჭაბუკმა მეზღვაურმა რამდენჯერ წარმოიდგინა თავი იმ გემის კაპიტნის ბოგიზე, ატლანტის ოკეანეს რომ სერავდა, ბისკაის უბეში გააფთრებულ სტიქიონს რომ ებრძოდა. მალე ეს ოცნებაც შეუსრულდა. ბათუმში შეხვდა აბესალომ ზენაიშვილს, რომელმაც მასზე ადრე დაამთავრა საზღვაოსნო სასწავლებელი. მისი რჩევით, ჯუმბერმა მუშაობა დაიწყო სახელგანთქმულ ვეშაპთსანადირო ფლოტილიაში, რომელსაც „სლავა“ ფლაგმანიბდა. ორი წლის წინათ კი, როცა ანტარქტიდის სარეწ რაიონებში „სლავას“ გვერდით ამოუდგა ახალი დიდი ფლოტილია „სოვეტსკაია უკრაინა“, ჯუმბერ

ინწყირველმა და აბესალომ ზენაიშვილმა „უღალატეს“ „სლავას“ და, როგორც მოწინავეები, ახალ ფლოტილიაში გადავიდნენ სამუშაოდ.

...გასული წლის ივნისში ბათუმის ნავსადგურში ბათუმელებისათვის უცნობმა ორმა გემმა ჩაუშვა ლუზა. ისინი იყვნენ „გროზნი“ და „გნევნი“ — ვეშაპთსანადირო ფლოტილიის „სოვეტსკაია უკრაინა“ გემები. ერთის კაპიტანი ილმოჩნდა ჯუმბერ ინწყირველი, ხოლო მეორისა — აბესალომ ზენაიშვილი. ბათუმელი შტრომელები, ნაცნობები, მეგობრები და შმობლები სიხარულით შეხვდნენ ახალგაზრდა კაპიტენებს, რომლებმაც მოკლედროში სახელოვანი მეზღვაურების სახელი მოიხვეჭეს.

თავისი პირველი რეისი „სოვეტსკაია უკრაინაში“ წარმატებით დამთავრდა. მან ბრწყინვალედ გაიმარჯვა „სლავასთან“ შეჯიბრებაში. „სოვეტსკაია უკრაინის“ მეზღვაურებმა სამშობლოს მისცეს იმდენი პროდუქცია, რამდენიც ვეშაპთა რეწვის მთელ ისტორიაში არ გადაუმუშავებია არც ერთ ფლოტილიას, ამასთან დააგროვეს ასორმოცდაათი მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოვება (ძველი ფულით).

ფლოტილიის მდ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმ გემების ეკიპაჟებმა, რომელთა კაპიტენებია ჯუმბერ ინწყირველი და აბესალომ ზენაიშვილი. ამიტომაც იყო, რომ შორეული ნაოსნობიდან სამშობლოში დაბრუნებისას ოდესის ნავსადგურში ისინი ერთ-ერთი პირველი შევიდნენ. ეს უფლება ხომ მარტო მოწინავეებს ეძლევათ!

ბათუმში ყოფნისას ბევრმა ახლობელმა ინახულა ჯუმბერი. ყველანი სოხოვდნენ გაეცნო მათგვის ეკიპაჟის საქმიანობა, მოეთხრო ვეშაპებზე ნადირობის ეპიზოდები.

ჯუმბერ ინწყირველი ძლიერ ენაძუნებდა, ეუხერხულებოდა ასეთი საუბარი, მაგრამ ვერც მეგობრებს აწყენინა და უამბო ზოგიერთი რამ.

აი ერთი მათგანი.

როგორც უკვე ცნობილია, „სოვეტსკაია უკრაინაში“ გასული წლის მაისში დამთავრდა თავისი პირველი რეისი. ფლოტილის ფლაგმანია ვეებერტელა გემი-ქარხანა — ვეშაპთგადამმუშავებელი ბაზა, რომლის სიგრძე 217 მეტრია, სიმაღლე კი 19 მეტრს აღწევს. ეს ვიგანტი, რომელიც აღჭურვილია ვეშაპის გადამუშავებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობით, საბჭოთა გემთმუნებლებმა ააგეს.

ფლოტილიაში თერამეტი ვეშაპთმჭერი გემია. მათგან ორი — „გროზნი“ და „გნევნი“ მოელი რეისის დროს გამოირჩეოდა საუკეთესო მუშაობით.

...ლურჯად ლივლივებს კვეანის უკიდეგანო სივრცე. ფლოტილის ეკვატორის უახლოვდება. იწყება ტრადიციული საზღვაო დღესასწაული: ახალგაზრდა მეზღვაურებს, რომლებიც პირველად გადიოდნენ ეკვატორს, „მრისხანე ნეპტუნის“ სახელით წყლის აბაზნები მიაღებინეს.

აი ეკვატორი გადალახულია. ფლოტილია წინ მიიწევს, თანდონან უახლოვდება ანტარქტიდას. გემები სრულ მზადყოფნაშია. ერთხელ კიდევ მოწმდება მექანიზმები, იარაღები...

ბოლოს აისბერგებიც გამოჩნდნენ. დაიწყო ვეშაპებზე ნადირობა...

აქ ზედმეტი არ იქნება მოვეონოთ აამდენა ნადირთან აქეს საქმე ვეშაპთმჭერს. საყმარისია ითქვას, რომ ერთ-ერთი მოკლული ლურჯი ვეშაპის სიგრძე ოცდაათ მეტრს აღწევდა, წონა კი 150 ტონას, რაც დაახლოებით ოცდაათი სპილოს წონას უდრის. მის გადასაზიდავად საჭირო იქნებოდა შევიდი სარკინიგზო ვაგონი. გამსაცვლილი სხვა მონაცემებიც: ვეშაპის მარტო გულის წონა 800 კილოგრამამდე აღწევს, ხოლო ენისა — სიმ ტონამდე.

ზღვის სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით, ვეშაპი სუნთქვას ატმოსფეროს ჰაერით, ამასთან არა ლაუზებით, არამედ ფილტვებით. ეს აიძუ-

ლებს მას წყალში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ჰაერის ჩასასუნთქვად ზედაპირზე ძმოვიდეს. სუნთქვისას წარმოშობს წყლისა და ორთქლის შადრევნებს და სწორედ ეს ღუპაცს ვეშაპს.

— მოჩანს შადრევანი! — გაისმის მოთვალთვალე მონაცირს ხმა და კაპიტანი ეკიპაჟს აძლევს სათანადო ბრძანებას. გემი სრული სვლით უახლოვდება ვეშაპს. მებარჯე ზარბაზანთან მიღის. უმიზნებს. გაისმის ზარბა-

ზნის გრიალი. გასროლა ზუსტია. ბაზ-  
ჭი ზღვის გოლიათს სხეულში ჩაესო.  
დაჭრილი ვეშაპი ცდილობს გაიქცეს,  
მთელი ძალით მიიწევს წინ, მაგრამ  
თანდათან კარგავს ლონეს. მოკლულ  
ვეშაპს ჰაერით ავსებენ, რომ წყალ-  
ში არ ჩაიძიროს, და შემდეგ იწყებენ  
ახალი ნადავლის ძებნას. ამაში მათ დიდ  
დახმარებას უწევს სპეციალური ვერტმ-  
ფრენი, რომელიც ანტარქტიდული რე-  
ისის დროს საშას საათზე მეტ ხანს არის  
ჰაერში.

### „ზღლოვავთ, ძვირებასო მაგობრობო...“

ვეშაპზე ნაღირობის პირველივე დღეებიდან „გროზნისა“ და „ვნევნის“ ეკიპაჟები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. ამასთან დაკავშირებით ფლოტილიის ხელმძღვანელობამ „გროზნის“ კაპიტან ინწყირველს, პარტიული ორგანიზაციის მდივან ბუჩქევს, მებარჯე ვოლობებისა და ეკიპაჟის სხვა წევრებს გაუგზავნა მისამება, რომელშიც ნათქვამი იყო: „1959 წლის 12 დეკემბერს „გროზნის“ ეკიპაჟმა მთელ ფლოტილიაში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა კაშალოტების ჭერის გეგმა და პირნათლად გაანალია სოციალისტური ვალდებულება. გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ამ დიდ გამარჯვებას!“

12 მარტს ვეშაპთმჭერთა გაზეთი „კიტობოი უკრაინი“ იუწყებოდა: „გუშინ დიდ გამარჯვებას მიაღწია „გროზნის“ ეკიპაჟმა. მან პირველმა შეასრულა ვეშაპების ჭერის თვიური დავალება. ხომალდის კაპიტანმა ჯუმბერ ინწყირველმა, მებარჯე ანატოლი ვოლობინმა, „გროზნის“ ყველა მეზღვაურმა საქმით დამტკიცეს, თუ როგორ შეუძლიათ მათ სამშობლოს დავალების შესრულება ისეთ უაღრესად რთულ პირობებში, როგორიც მარტში იყო“. განსაკუთრებული აღფრთოვანებით შრომობდნენ მეზღვაურები ვ. ი. ლენინის დაბადების თომბოცდათი წლისთვის მშადების დღეებში.

შ ე ხ ვ დ რ ე ბ ი გ ა მ ე ბ ი გ ა მ ე ბ ი

შშობლიური ნაპირებისაცენ მიმდევლი ფლოტილია გზად შეჩერდა ურუვების დედაქალქ მონტევილეოს ნაესალგურში. საბჭოთა მეზღვაურების სტუმრობამ ადგილობრივი მოსხელეების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მარტო ორი დღის განმავლობაში „სოვეტ-სკაია უკრაინას“ ოთხი თასამდე კაცი ეწვია. მათ დაათვალიერეს ხომალდი, გაეცნენ საბჭოთა ვეშაპთმჭერების ცხოვრებას. ურუვვაელები ღლფრთოვანებით ლაპარაკობდნენ იმ საზღვაო გიგანტის შესახებ, რომელიც საბჭოთა აღამინებმა საკუთარი ხელით ააგეს.

მინტევიდეოში ფლოტილიის ყოფნის ღროს გაიმართა ოფიციალური მიღება ურუვვაის დედაქალქის საქმიანი წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისა, მოეწყო პრეს-კონფერენცია. ფლოტილიის კაპიტან-დირექტორება ა. სოლიანიკმა უურნალისტებს მოუთხრო „სოვეტსკაია უკრაინას“ პირველ ანტარქტიდულ რეისზე და პასუხი გასცა შეკითხვებზე.

როგორც ვთქვით, საბჭოთა მეზღვაურებს მონტევიდეოში მრავალი სტუმარი ჰყავდათ, მაგრამ ბევრმა მაინც ვერ მოახერხა ხომალდის ნახვა...

ამის გამო მათ ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნეს საბჭოთა მეზღვაურებს: „სოვეტსკაია უკრაინის“ პროფორგანიზაციის ამხანაგ მდივანს. ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, ურუგვაელ მეზღვაურებს, გვსურს გამოვხატოთ მეგობრობის ის ნამდვილი გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის კულტურული მშრომელი.

ათასობით მოქალაქეთან ერთად ჩვენ გვინდოდა ფლოტილიაზე მოსვლა, რომ გვენახა გემი „სოვეტსკაია უკრაინა“, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ტექნიკის მიღწევების უდიდესი დადასტურებაა და ამასთან მშვიდობიან შრომას ემსახურება. აგებულია რა მშვიდობისა და ოქვენი ქვეყნის ინტერესებისათვის, ის ემსახურება აგრეთვე ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრულ კავშირს.

სამწუხაროდ, ნავსადგურის ხელისუფლებამ ჩვენ ნება არ მოგვცა, რომ ეს

სურვილი შეგვესრულებინა.

მიუხედავად ამისა, ამ წერილისა და მცირე საჩუქრის საშუალებით გადმოვცემთ ჩვენს ძმურ გრძნობებს და გამოვთქვამთ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები გამრავლებენ თავიანთ წარმატებებს იმ გრანდიოზული გეგმების შესრულებაში, რომლებიც მათ დაისახეს.

გთხოვთ, გადასცეთ, რომ ურუგვაელი ძუშები მთლიანად იწონებენ საბჭოთა კავშირის ბრძოლას მშვიდობისათვის და რომ თავის მხრივ ისინი ყველაფერს გააკეთებენ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, მომავლისა, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობრულ კავშირს ემყარება“.

ფლოტილის პროფესიონალმა კომიტეტმა ურუგვაელ მეზღვაურებს საპასუხო წერილი გაუგზავნა, რომელშიც ღრმა მაღლობა გამოთქვა მეგობრული გრძნობებისათვის.

### პირველი მაისი ათლანტის ოქანი

...პირველი მაისის დილაა. მეზღვაურები გემბანზე ჩამწერივებულან. კაპიტნის თანაშემწის ბ. სიღოროვის პატაკის შემდეგ კაპიტან-დირექტორი ა. სოლიანი ვეშაპმჭერებს ულოცავს დიად დღესასწაულს. პასუხად სამგზის გაისმის მწყობრი „ურა“. მიდამოს ეფინება საბჭოთა კავშირის პიმნის დიდებული ჰანგები და წითელი ღროშა ნელნელა მიიწევს მაღლა.

წაიკითხეს კაპიტან-დირექტორის სადღესასწაულო ბრძანება, რომელშიც აღნიშვნული იყო ფლოტილის წარმატებები პირველ ანტარქტიდულ რეისში. ბევრ მოწინავეს გადაეცა საჩუქრები, ფულადი ჯილდოები, საპატიო სიგვლები.

დღესასწაულის სახეიმონ ნაწილი დამთვრდა. იწყება სხვადასხვა ღონისძიება. ასპარეზობაში ჩაებნენ კალათბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები.

საღამოს გემბანზე მოეწყო ცეკვები. შემდეგ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „სოვეტსკაია უკრაინა“ პირველ რეისში.

მეტად საინტერესოა ამ ფილმის შექმნის ისტორია. იგი გადაიღო კინომოვარულმა მემანქანე ვიქტორ ხვესომ. ეკრანზე გამოჩნდა ფლოტილის ყოველდღიური ცხოვრება, ვეშაპებზე ნაღირობის დღეები, საბჭოთა მეზღვაურების თავდაცებული შრომა. ფლოტილის კოლექტივმა მაღალი შეფასება მისცა ახალგედა კინომოვარულის ამ ნამუშევარს.

და ი გავლილია ათასობით კილომეტრი ლურჯი გზა, უკან დარჩა აისბერგები, თოვლიანი ქარიშხალი, ღელვა... „სოვეტსკაია უკრაინა“ ოდესის ნაესადგურში დაბრუნდა. პირველი ანტარქტიდული რეისი ფლოტილიამ წარმატებით დამთავრდა.

ფლოტილის ხელმძღვანელობამ გა-

ნიხილა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და სასახელო მაჩვენებლები-სათვის „გროზნისა“ და „გნევნის“ ეკა-

პაჟებს კომუნისტური შრომის ეკაჭა უთა სახელი მიანიჭა. აღინიშნა აგრეთვე სხვა გემების ეკიპაჟთა კარგი მუშაობა.

### კ ვ ლ ა ვ ს ტ ი ძ ი თ ა ნ ბ რ ძ ი ა შ ი

ცოტაოდენი დასვენების შემდეგ ვე-შაპთმონადირენი კვლავ გაემგზავრნენ ანტარქტიდაში. კვლავ გავლილია ათა-სობით კილომეტრი ლურჯი გზა. უკან დარჩა სამშობლო, დედა და მამა, ცო-ლი და შეილი, მეგობრები... კვლავ გა- მოჩნდნენ აისბერგები, კვლავ ოოვლ-ქარი, ღელვა... „სოვეტსკაია უკრაინაში“ დაწყო მეორე რეისი. მეზღვაურები მხნედ გრძნობენ თავს, ვაჟკაცურად ებრძვიან სტიქიონს, აბობოქრებულ ტალღებს, ხოცავნ ვეშაპებს.

გამოცდილ მეზღვაურებს არ აშა-ნებთ სიცივე, უზარმაზარი აისბერგები.

ანტარქტიდიდან მიღებული ცნობე-ბიდან ჩანდა, რომ მეორე რეისის პირ-ველსავე დღეებში მეზღვაურები მეტად თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდნენ. ზეინებად დადგეს საფლაგმანო გემზე ვეშაპის ხორცი. განუწყვეტლივ გუგუ-ნებდა გემი-კომბინატი და ამზადებდა პროდუქციას.

\* \* \*

ფოსტალიონმა ხულოს ქუჩის № 23 სახლში ახალ უურნალ-გაზეთებთან ერ-თად წერილიც მიიტანა და ეზოში მო-ფუსფუსე თმაშევერცხლილ მოხუცს გადასცა. მოხუცმა კონვერტზე წარწე-რის ამოკითხვაც ვერ მოასწრო, რომ ფოსტალიონი გაუჩინარდა. მოხუცი შე-კრთა — „ნეტავი ვისგან უნდა იყოს? ჩემი ჯუმბერი ჯერ ოდესაში არ დაბ-რუნებულა...“

კონვერტის გასხნა დაპირა, მაგრამ შექერდა — წერილი ხომ მისი რძლის მარიეტა ინწკირველის სახელზე იყო.

რა ექნა დედას? მოხუცის გულს ეჭვმა გაჰქრა — ვინ იყის. რა მოუვიდა მის შვილს, რომელიც სადღაც, ათასობით კილომეტრზეა და გაავებულ სტიქიონს ებრძვის. ცუდი ხომ არაფერი შემთხვე-ვია?

დაეჭვებული, აფორიაქებული მოხუ-ცი დედა ბარბაცით შედის ოთხში, სადაც რძალი ეგულება, და კონვერტს აწვდის.

მარიეტა გაოცდა, როცა ფერდავარ-გული დედამთილი დაინახა — ნეტავი რა უნდა იყოსო. ხელის კანკალით გა-მოართვა კონვერტი და გახსნა. თეორ ქალალზე ამოიკითხა: „ანტარქტიდის ვეშაპთსანალირო ფლოტილის სამმარ-თველო“ და ისიც ავ ფიქრებს მიეცა: დედას თვალები დაუბნელდა: „ცუდი ხომ არაფერი წერია, ვაი დედაშენს, შვილო“.

მარიეტამ განაგრძო კითხვა. ანტარქ-ტიდის ვეშაპთსანალირო ფლოტილის სამმართველოს უფროსი ვ. გელინი ულოცავდა მარიეტას, რომ სსრ კავში-რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 12 დეკემბრის ბრძანებუ-ლებით მისი მეუღლე ჯუმბერ ინწკირ-ველი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშ-ნის“ ორდენით.

ჭალარა დედამ ამაყად ასწია თავი, პატარა შვილიშვილი ნინო აიტაცა და გულში ჩაიკრა.

— ჩემი შვილი, ჩემი ჯუმბერი! — ბუტბუტებდა გახარებული დედა და სიხარულის ცრემლს მოკრძალებით იწ-მენდდა.



## იასონ ცეკვაძე

### ოცდაპათი ზელი სამშობლოს სადარჯოზე

დასვენების დღეა.

ზღვისპირა პარკში სასეირნოდ გავე-  
დი.

მზის საჩრდილებელქვეშ ძელსკამზე  
ახალგაზრდებთან ერთად სედან ქვეყნის  
წინაშე ვალმოხდილი ადამიანები. საუბა-  
რი გაუჩილებიათ. იქნებ, თავიანთ განვ-  
ლილ გზებს იგონებენ. მივუახლოვდი.  
მივესალმე. მიმიპატიუეს, მიიწ-მოიწეს,  
ჩამოგექიო... უცბათ, ჩვენთა მოირბინა  
პატარა ბიჭუნამ, თითო წინ გაშვირა და  
ხმამაღლა თვლა დაიწყო:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი,  
შვიდი, რვა... — თვლა ეშლება, თავიდან  
იწყებს.

— რას ითვლი, შვილო? — შეეკითხა  
პატარა ბიჭუნას მამა, რომელიც ის-ის  
იყო მოვიდა.

— აი, მას, ძის რომ აქვს და შენ კი  
არა, — უპასუხა და თვლა განაგრძო.

სიცილი წაგდესკდა.

— მოდი, ბიძიკო, — ალერსით თავის-  
თან მიიხმო ბიჭუნა ორდენების სამკერ-  
დე ნიშნებით მკერდდამშეენებულმა  
ძიამ... და მუხლზე დაისვა.

— რა ვქვია, ბიძიკო?

— გია.

— თქვენ ძია?

— ასლანი.

— ეს რაა?

— მთავრობის ჯილდოების სამკერდე  
ნიშნები.

— რისთვის მოგცეს?

— კაბრძოლო დამსახურებისათვის.

— ომში იყავი?

— ვიყავი.

— ბევრი იომე?

— ბევრი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ, პატარებს,  
ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება გქონდათ.

— ვაშა, რა კარგი ძია ყოფილხარ! —  
და ბიჭუნა ყელზე ეხვევა მას. კოცნის,  
ჩვენ კი გვეღიმება.

\* \* \*

დიახ, ასლან ბაჯელიძე ღვაწლმოსილი  
ძიაა. მისი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ღი-  
რსების დაცვისათვის შეუბოვარი მებრ-  
ძოლის, მამაცი საბჭოთა ადამიანის სასა-  
ხელო ფურცლებია...

ხუცუბნელ ჭაბუქს, ღარიბი გლეხის  
შვილს, თვრამეტი წლის ა. ბაჯელიძეს  
აუხდა ღიდი ხნის ოცნება: 1923 წლის  
15 სექტემბერს ამიერკავკასიის სამხედ-  
რო ოლქის სკოლაში ჩარიცხეს. ბეჭითად  
სწავლობდა და იმთავითვე მიიბყრო მას-  
წავლებელ-მწვრთნელთა ყურადღება.

1926 წელს სამხედრო სასწავლებლის  
ახლად კურსლამთავრებული ა. ბაჯელიძე

უკვე ოცეულის მეთაურია ქალაქ ბათუმი, ი. ბ. სტალინის სახელობის პირველი ქართული დივიზიის მეთაურე მსროლელ პოლქში. იგი უნარიანი და გულადი საბჭოთა ოფიცერი დადგა. აღრე მონაწილეობდა სერიოზულ ოპერაციებში, კერძოდ, ჩოლოყაშვილის ნაძირალთა ბანდების განადგურებაში. 1932 წელს კარგი მუშაობისათვის დაწინაურეს ასეულის მეთაურად. ამ მოვალეობასაც ღირსეულად ასრულებდა... და მალე იგი კაპიტანის ჩინით გადაიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მე-9 სამთო მსროლელი დივიზიის 27-ე სამთო მსროლელ პოლკში სამოსწავლო ასეულის მეთაურად. ა. ბაჯელიძე მონაწილეობდა საქართველოდან წარგზავნილ იმ დელეგაციაში, რომელიც 1936 წელს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიიღეს კრემლში საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლისთვავთან დაკავშირებით.

1937 წელს ა. ბაჯელიძე უკვე მოსკოვის ოფიცერთა სამხედრო სასწავლებლის კურსანტია, რომლის დამთავრებისთანავე ინიშნება ამიერბაიკალის სამხედრო, ოლქის 57-ე მსროლელი დივიზიის ბატალიონის მეთაურად.

1939 წელს იაპონელები ვერაგულად დაესხენ თავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას.

57-ე მსროლელ დივიზიის, რომელსაც ცნობილი გენერალი გურევი სარდლობდა, ებრძანა დახმარებოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეომრებს.

— 1939 წლის ივლისი იყო, — იღონებს ა. ბაჯელიძე, — საბრძოლო ოლქურვილობით ვიდექით ბაიკალში და ვუცდიდით განკარგულებას. დიდი ლოდინიც არ დაგვიტრდა.

— ამხანაგო ბაჯელიძე, გამოცხადდით შტაბში! — მესმის დივიზიის მეთაურის ბრძანება საველე ტელეფონის ყურმილში.

სასწრაფოდ ვავეშურე, გრძელი გზა მოკლე დროში დავფარე, სახეზე ოფლი შევიმშრალე და შტაბში შევედი. თურმე იქ სარდლობა მოუთმენლად მელოდა.

მაშინვე სამხედრო რუკასთან მიმიწვიებული გენერალმა ერთ ადგილს წითელი ფანქარი შემოავლო და მომიბრუნდა:

— ამხანაგო კაპიტან! იცნობთ ამ მთას?

— ეს ხომ ნურეობის მთაა, ამხანაგო გენერალო?

— დიახ, კაპიტან! დამაყურეთ... ახლა ამ მთას მონღოლეთის 23-ე ცხენოსანი დივიზიი იცავს. თქვენ გევალებათ: დაღაშებისთანავე ათასეულით გადალახოთ მდინარე ხალხინ-გოლი, შეუმჩნევლად გადახვიდეთ მარჯვენა მხარეს და შეცვალოთ მონღოლეთის ამ დივიზიის ნაწილი... მოიცათ. აი, კიდევ რა მინდა გითხრათ: ამ მთას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იგი კონტროლს უწევს მთელ ბრძოლის ველს. ნურეობის დაკარგვა ბრძოლის წაგებას უდრის. გასაგებია?

— გასაგებია.

— მაშ, არც ერთი ნაბიჯი უკან! სიკვდილი ან გამარჯვება!

— არცა, ამხანაგო გენერალო!

ათასეულში სასწრაფოდ დავბრუნდი და სათანადო განკარგულებები გავეცი... ყველანი ფეხშე დავაყენე. ოცდათხუთმეტი კილომეტრი სასწრაფოდ გადავლახეთ... ღამით მივაღწიეთ მდინარე ხალხინ-გოლს და რვა კილომეტრის მანძილზე ნაპირ-ნაპირ გაეყვენოთ მას. ბოლოს, მივადექით უშირ ბორცვებიან და აქა-იქ ბუჩქებით დაფარულ მთას.

ჩევნი მისვლისთანავე მონღოლთა დივიზია აიშალა. ეს მოწინააღმდეგეს არ გამოპარვია და ძლიერი ცეცხლი გაგვიხსნა. გავვიძნელა ფრონტზე განლაგება.

სიბნელეში დავთვალიერე ბრძოლის საზი. რომელიც შვიდ კილომეტრზე იყო გაჭიმული. მტერი ჩევნან ზოგან კილომეტრზე, ზოგან კი რომოცდათ მეტრზე იდგა. ეს დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. ამიტომ ყოველმხრივ გავაძლიერე საბრძოლო ხაზი.

გამთენისას მოწინააღმდეგებ ბრძოლაში ჩააბა არტილერია. შაშხანები და ტყვიამფრქვევებიც დაგვიშინეს. მთავა-

რი იერიში ლეიტენანტ ბელიკის ოცეულზე მიიტანეს. მერე ხელჩართული ბრძოლებიც გაჩაღდა. ამჟავდა ხიშტები და დუგლუგები. ჩვენმა მეომრებმა ამ შეუპოვარ ბრძოლაში ბევრი სამურაი ააგეს ხიშტზე და ორიც ტყვედ ჩაიგდეს.

სარდლობაშ ტყვეთა დაკითხვით მეტად საინტერესო და საჭირო ცნობები მიიღო, რისთვისაც ოცეულის მეთაურს ბელიკს და პირადად მე მაღლობა გამოგვიცხადეს.

ბრძოლაში გავიდა რამდენიმე დღე. თორმეტი საათია. მოულოდნელად მოწინააღმდეგებ გრიგალისებური ცეცხლი დაგვატეხა. შტაბი მოწინავე ხაზზე გვქონდა და წუთიც უქმად არ დაგვიკარგავს. მაშინვე გაგეცი საჭირო განკარგულება. ქვეგანაყოფები გადავაჭვულე და მტრის შესახვედრად მოვემზადეთ. სამარისებური სიჩუმით მტერი ხიშტზე მოვიტყუეთ და მერე დავცხეთ. ბრძოლის ველი სამურაების გვამებით დაიფარა.

რა თქმა უნდა, ჩვენც გვქონდა დანაკლისი. დაცემულთა შორის იყო ასეულის პოლიტელი, ჩემი საყვარელი ადამიანი სიმუში.

თოთხმეტი დღე-ლამის განმავლობაში შეუცვლელად ვებრძოდით ნურეობის მთაზე იაპონელ სამურაებს და მათ მკაცრად იგემეს ჩვენი ცეცხლის ძალა. მაგრამ მტერი დანაკლისს აუსებდა და აძლიერებდა თავის პოზიციას, ებლაუჭებოდა ყოველ ბორცვს. საჭირო იყო ისეთი დარტყმა, რომელიც მტერს საბოლოოდ წელში გატეხდა. ეს დღეც დადგა.

სარდლობის ბრძანებით, მთელი ძალებით ერთობლივად იერიშზე გადავედით. შეუცვლები ბრძოლების შედეგად გავანადგურეთ მტრის საშიში კერები, რის გამო სარდლობის მაღლობა დავიმსახურეთ.

მტერი თითქოს დადუმდა, მაგრამ სწორედ ეს დუმილი იყო საშიში. მართლაც, ისარგებლეს რა ძლიერ ბნელი ღამით, ჩვენს განლაგებაში რამდენიმე კაცი შემოიჭრა ყვირილით — „რუსები ვართ, არ გვესროლოთ!“ ვიღაც მომვარდა და

საველე პლანშეტს მართმევდა. ხელის ვალე. საშინალად დაიჩხავლა. ალბათ, მაგრად მოვუჭირე ხელი. მივხვდი რაშიც იყო საქმე და მებრძოლებს გადავიძე: ბიჭებო. მტერი შემოგვეპარა, დასცეთ, არ გაუშვათ!

და უძალვე სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა...

პირადად მე ჩემს „ლუქმას“ მაგრად ჩავეჭიდე და გავთოკე. მის ყვირილზე ორი კაცი მოულოდნელად თავს დამესხა და ბეჭებზე მაგარი საგნის დარტყმა ვიგრძენი. თვალებიდან სიმწრის ცრემლი დამცვიდა, მაგრამ არ დავიბენი. ხელჩართულ ბრძოლაში შეუმართავი ხელყუმბარით ჩავები. ერთს თავში მძლავრად დავკრი, ხოლო მეორეს მუცელში ფეხი ჩავეცი. მოკურცხლეს, მაგრამ საით? სიბნელუში ვერაფერს ვარჩევდი, ვნანობდი. რომ გაისაწრეს. იმავე წამს ჩემს ფეხთან მტრის ხელყუმბარა დაეცა. არ შევშინდი, ხელი დავტაც და ისევ სამურაებს გავუგზავნე. მეორე ყუმბარა ცოტა მოშორებით აფეთქდა და ჩემი ტყვე, რომელსაც ხელს არ ვუშვებდი, უცცრივ შეტოვდა. ხელი შევავლე — მკერდი გაგლეჭილი ჭინდა... მე კი გადავტჩი. ივლექი. გავლა გამიჭირდა. ჩემის ყელში ხელი ჩავიყავი, შიგ სისხლი შედედებულიყო. სამი მსუბუქი ჭრილობა აღმომაჩნდა — ორი ხელყუმბარით და ერთი ხიშტით, მაგრამ ბრძოლის ველი არ დამიტოვებია.

დილით ბრძოლა გაშლილი ფრონტით დაიწყო. ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმმტკუორცნელებმა თავზარი დასცეს მტრის ბანაქს. აგუგუნდნენ ჯავშანსატანკო ნაწილები. ბომბდამშენებმა ცა კვაჭლით გადააშავეს. მტერი შეირყა და უკან დაიხია.

შეტევის მესამე დღეს კვლავ დავიჭერი. ამჯრად ნაღმმტკუორცნის ყუმბარის ნაშსხვრევით და ისევ ბარძაყში. სანიტარულ ნაწილში წამიყვანეს. ორი დღის შემდეგ ისევ ბრძოლის ველზე ვარ... კვლავ დავიჭერი და გამგზავნეს ჰოსპი-

ტალში, სადაც სასწრაფოდ ოპერაცია გამიყეთეს.

ხალხინ-გოლის ბრძოლებს ჩვენს წინა-აღმდეგ ხელმძღვანელობდა იაპონელი გენერალ-ლეიტენანტი კაბა-ცუბა, რო-მელმაც ჯარისკაცები ბრძოლის ველზე მიატოვა და გარემოცვიდან თავს ძლივს უშველა თვითმფრინავით.

ასე მამაცურად დავიცავით ნურეობის მთა. პირნათლად შევასრულეთ სარდ-ლობის დავალება.

ხალხინ-გოლის მამაცი საბჭოთა მეომ-რები დააგილდოვეს, მათ შორის მეც დამაჯილდოვეს წითელი დროშისა და „მონღლეთის პოლარული ვარსკვლა-ვის“ ორდენებით.

\* \* \*

ამით როდი ამოიწურება ა. ბაჯელიძის საბრძოლო გზა. 1941 წელს იგი პოლკის მეთაურის მოადგილე იყო სამწყობრო ნაწილში, ხოლო დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან — სხვადასხვა პოლ-კის მეთაური. 1944 წელს იგი უკვე მე-17 არმიის 284-ე მსროლელი დივიზიის მე-

თაურია პოლკოვნიკის ჩინით. ამ დივიზია პირნათლად მისამართი იშვიათი მამაცობა და თავგან-წირვა გამოიჩინა: 17 ღლე-ღამეში გაათა-ვისუფლა მონღლოლეთის, ჩახარის, ჩიფ-ინის, ლინსიანისა და შახაი-გუანის პრო-ვინციების მთელი რიგი დასახლებული უბნები. დივიზიამ ბრძოლებით გაიარა 1.200 კილომეტრი და საბრძოლო დავა-ლება ბრწყინვალედ შეასრულა, რისთვი-საც მთელმა პირადმა შემადგენლობამ მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის მად-ლობა, ხოლო დივიზიას ეწოდა „ხინგან-სკაია“. პოლკოვნიკი ა. ბაჯელიძე დაჯილ-დოვდა წითელი დროშის ორდენით.

ლენინის ოთხი, წითელი დროშის, „სა-მამულო ომის მეორე ხარისხის“, „საპა-ტიო ნიშნისა“ და „მონღლეთის პოლა-რული ვარსკვლავის“ საბრძოლო ორდე-ნები და სამი მედალი — აი რა აინტერე-სებდა და რას ითვლიდა პატარა ბიჭუნა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო და საამაყო შვილის ასლან ბაჯელიძის ვაჟკაცურ მკე-რდზე.



პრო. ნიკო ჭეიშვილი

## მამაცი ქართველი პარტიზანი

სსრ კავშირის დიდმა სამამულო ომმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული და თავდადება თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი. საგულისხმოა, რომ ისინიც კი, ვინც სხვადასხვა მიზეზით ფაშისტ ოკუპანტთა ტყცეობაში მოხვდნენ. ქედს არ იხრიდნენ და მედგრად განაგრძობდნენ ბრძოლას საზიქნარი მტრის წინააღმდეგ. ერთი მათგანია ნოე კუბლაშვილი, მამაცი პატრიოტი, რომელმაც ბევრი გმირული საქმე ჩაიდინა პიტლერელთა არმიის ღრმა ზურგში. კერძოდ მათ შეირ ოკუპირებულ იტალიაში.

აი როგორი მოწმობა-დახასიათება მისცა ნოე კუბლაშვილს მეორე გარიბალდის დივიზიის უფროსმა რ. ჯორჯიომ შეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე:

„ამით გამოწევდ, რომ ნოე კუბლაშვილი, დაბაზებული 1907 წელს რუსეთში, იმყოფებოდა ტურინოს ოქჯის ქალაქ ობრასანოში, საღაც გერმანელებს ბლობად ჰქონდათ სამარი საშურველი. ამ საშუობებში იყო სხვადასხვა ასაფეოქებელი სამხედრო ნივთიერება (ნაღმები,

ხელყუმბარები და სხვ.), სპეციალურად განკუთვნილი გზებისა და ხიდების დასანვრევად. როგორც რუსი პატრიოტი, ის საშინლად იტანგებოდა მტრის რიგებში იძულებითი ყოფნით და უცელაფერს ავეთებდა იმისათვის, რათა მტრის წინააღმდეგ მოწყობი დარტყმები. ამ მიზნით ის იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციისა და ყოველთვის იბრძოდა მამაცურად. არასოდეს არ ცეციონდა სულით.

1943 წლის დეკემბერში მან შემოიკრიბა ბევრი თავისი ამხანაგი, დაუკავშირდა იტალიელ პარტიზანებს. აწვდიდა რა მათ იარაღს და სხვადასხვა სახის სამხედრო საშურველს.

თბერებალში ჯგუფი, რომელსაც ამხანაგი კუბლაშვილი მეტაურობდა, შეურთდა იტალიელ პარტიზანებს და დაუღალავად იბრძოდა ნიმდვილი მებრძოლი ჯგუფის შესაქმნელად. მისი პირადი მაგალითით დიდძალი იტალიელი პარტიზანი შეუერთდა მის რიგებს, რათა გაემაგრებინათ ჩვენი საბრძოლო რიგები.

ამს. კუბლაშვილი დაუღალავად უწევდა პროპაგანდას რუსებს, ჩეხებსა და ა. შ.. რათა მიეზიდა ისინი იტალიელ პარტიზანთა რიგებში. მისი შეოხებით



ასობით კაცი შეუერთდა მათ (პარტიზანებს). სხვებმაც არ დაყყოვნეს მიებაძათ მათი მაგალითისათვის, რომ შექმნილი ყო ბატალიონი. მათ შეძლეს გაენადგურებინათ გერმანელები, რომლებიც გარს შემოერტყნენ. ამხანავი კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა პარტიზანების რამდენიმე ჯგუფს, რომლებიც განწყვეტლივ ეწეოდნენ ბრძოლას მტრის ჭინაალმდებ. მის მრავალრიცხვოვან ბრძოლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავდასხმები აეროდრომისა და ქალაქების — რიველის, ლაქესა და ტურინის სააღებად.

ამას გარდა, მან აიღო ინიციატივა გადაელახა საზღვარი და მოლაპარაკება გაემართა ჩვენს მოკავშირებთან საფრანგეთში და შეძლო თავსი შეუპოვრობისა და ინიციატივის მეოხებით გადაეყვანა 700 პარტიზანი.

მისი თავდადების გამო საერთო საქმისადმი ამხ. კუბლაშვილს ყველა პატივს სცემდა და უყვარდა იტალიის პარტიზანებს...

ვინ არის ეს ნოე კუბლაშვილი და როგორ მოხვდა იგი იტალიის პარტიზანთა დივიზიაში?

ნოე გიორგის-ძე კუბლაშვილი დაიბადა 1907 წ. ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათში, გლეხის ოჯახში. 1925 წ. დაამთავრა რეალური სასწავლებელი. 1927 წელს მუშაობდა ტყვარჩელის შარაგზის მეორე უბნის უფროსად. აქედან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა იგი ოთხი წლით მიავლინა მოსკოვში, მასობრივ მუშაკთა კურსებზე. 1931 წელს დაიშნეს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორის მოადგილედ, 1934 წელს კი გადაიყვანეს რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარედ. 1937 წლიდან იყო სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შემდევ ხაშურის მტხ-ის მუშაკი. წითელი არმიის რიგებში მსახურობდა 1929 წლიდან 1934 წლამდე, ავრეთვე 1941 წლის ივლისიდან 1941 წლის 28 ოქტომბრამდე, ვიღრე

მძიმედ არ დაიჭრა და პიტლერელი ტყვეობაში, არ აღმოჩნდა.

როგორც სამხედრო ტყვე, გერ ის მოხვდა პოლტავის ბანაკში, შემდევ კრემენჩუგისა და ნოი-პამირის საკონცენტრაციო ბანაკებში. 1942 წლის დეკემბერში ნოე კუბლაშვილი სხვა 120 საბჭოთა ტყვეთან ერთად (მათ შორის ოთხმოცი ქართველი იყო) გადაიყვნეს ფაშისტების მიერ იუჟპირებულ ქალაქ ნიკოლაევში. 1943 წ. დახურული ვაგონებით 250 საბჭოთა ტყვე, რომელთაგან 180 ქართველი იყო, გადაიყვანეს ჩრდილოეთი იტალიის ქალაქ ობრასანოში. აյ ნოე კუბლაშვილი ფარულად დაუკავშირდა იტალიელ მტკირთავ ვიტორიოს, რომელიც იარაღის საწყობში მუშაობდა და პარტიზანული რაზმის ფარული წევრი იყო. მისი დახმარებით ნ. კუბლაშვილმა ცხრა ქართველ მებრძოლთან ერთად თავი დააღწია ფაშისტურ ტყვეობას, შეუერთდა გარაბელდის სახელობის მეორე დივიზიის რაზმს, რომელსაც ხელმძღვანელობდა იტალიელი კომუნისტი ალესიო. ეს მოხდა 1944 წ. თებერვალში. ამიერიდან ნოე კუბლაშვილს საშუალება მიეცა კვლავ აქტიური მონაწილეობა მიეღო გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მოში და შორეულ იტალიაში იარაღით დაეცა თავისი საყვარელი სოციალისტური სამშობლო.

1944 წლის აპრილის დამლევს ნოე კუბლაშვილმა მიიღო პარტიზანთა მთავარი კომიტეტის დავალება: დაუყოვნებლივ დაემყარებინა კავშირი ბუსოლინის ახლო მყოფ რუს ტყვეებთან, მოეწყო მათი გაქცევა და შეერთებინა გაქცეულნი პარტიზანულ რაზმთან. ეს დავალება კუბლაშვილმა პირნათლად შეასრულა. მან ქართულად დაწერა ბარათი და მოუწოდა თანამემამულეებს ფარულად შეხვედროდნენ მას. იტალიელი პარტიზანების დახმარებით ეს წერილი 2 მაისს გადაეცა ქართველ ტყვეს — ტუსიაშვილს. წერილმა აღაფტოთოვანა საბჭოთა ტყვეები. შეხედრა მოეწყო კონსპირაციულად. ნოე კუბლაშვილს მტკიცე პირობა



მისცეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთიდე იბრძოლებდნენ ფაშისტების წინააღმდეგ. იმავე ღამეს, პარტიზანთა დახმარებით, ბანაკიდან გაიქცა ორმოცდასამი რუსი და ქართველი ტყვე და შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს. 5 მაისს ნ. კუბლაშვილის ხელმძღვანელობით მოწყვი ტყვეთა ახალი გაქცევა. მარტო ამ დღეს ფაშისტური ტყვეობისაგან განთავისუფლდა ორმოცი ქართველი, ამასთან იპერაციის დროს მოკლულ ოქნა თერთმეტი ფაშისტი. შემდეგ იტალიელმა ვიტორიომ და ქართველმა პარტიზანებმა გრ. ნასარიძემ და ა. ვარდანიძემ მოაწყვეს კიდევ ორმოცდაშვიდი ქართველი ტყვის გაქცევა. ასე, რომ 10 მაისისათვის ქართველ პარტიზანთა რიცხვმა უკვი 190 კაცს მიაღწია.

საბჭოთა ტყვეების მასობრივმა გაქცევამ აღავტოროვანა იტალიელი ახალგაზრდები, რომლებიც ტყვებდნენ გერმანელ დამცყრობთა მიერ კუპირებულ ტერიტორიას და ექცერებოდნენ პარტიზანულ რაზმებში. ამ მოძრაობაში ისე ფართო ხასიათი მიიღო, რომ შეშფოთება გამოიწვია გერმანელთა სარდლობაში, რომელმაც გადაწყვიტა როგორმე დაეპატიმრებინა მოძრაობის ინიციატორი ნოე კუბლაშვილი და მოესპონ იგი. ამ მიზნით გერმანელებმა საჯაროდ გამოაცხადეს, ვინც დააპატიმრებს კუბლაშვილს და აღმოაჩენს ქართველი პარტიზანების აღგილსამყოფელს. მათ დიდ საჩუქარს მიეცემთ.

მალე იტალიის პარტიზანული მოძრაობის კომიტეტმა ნ. კუბლაშვილის ქართველ პარტიზანთა რაზმს აცნობა, თქვენს გასანადგურებლად გერმანელ ფაშისტთა დიდი რაზმი მოდის და მზად შეხვდითო. მამაცი მეთაური არ შეუშინდა მტრის ჭარბ ძალებს და საგულდაგულოდ მოეჩხადა ვდოთ დარტყმის მოსავერი ბრძლად.

დადგა ბრძოლის დღეც მტრის პირველი დარტყმა მიიღო პარტიზანთა განაყოფმა, რომელიც სანტ-ანინოს მისადგომებთან იდგა და რომელსაც ს. ჩხვირკია მე-

თაურობდა. ბრძოლის დაწყებისთვის უშმბარის ნამსხვერევით ორივე ფეხში დაიჭრა ს. ჩხვირკია. მტრი 50 მეტრზე მიუახლოვდა პარტიზანთა განლაგებას. მაშინ იგრიალეს პარტიზანთა ქვემეხებმა და ნაღმშატყორცნებმა. მამაც პარტიზანთა მრისხანე დარტყმებს ფაშისტებმა ვერ გაუძლეს და დიდი დანაკლისით უკან დაიხიეს. მტრიმა სცადა ზურგიდან და ფრინტიდან ერთდროული დარტყმით მოესპონ ეს პარტიზანული რაზმი, მაგრამ ამავდა. რაზმმა მწყობრად დაიხია უკან და შეუერთდა სხვა პარტიზანულ რაზმებს. მეორე დღეს პარტიზანებმა მტრი დიდი დანაკლისით უკუაგდეს. მაგრამ ამ ბრძოლაში ექვსი ქართველი მეომარი დაეცა მამაცთა სიკვდილით.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სისხლის მდგრელი ბრძოლა. რომლის მსვლელობაში საბჭოთა პარტიზანებმა იშვიათი გმირობა და გამძლეობა გამოიჩინეს. მძიმე განსაცდელის უამს, როცა დაზვერვამ ცნობა მოიტანა. ფაშისტებმა ზურგიდან შემოვარესო, პარტიზანებმა ერთხმად განაცხადეს: „სიკვდილი ან გამარჯვება, ჩვენ ფაშისტებს ზურგს არ ვუჩვენებთ“. სულით არ დაცემულა და თავის რაზმებს მამაცური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მძიმედ დაჭრილი ს. ჩხვირკია. რომელიც ცაცხლის ხაზიდან ზურგზე მოკიდებლივ გამოიტანა არტილერისტმა გაგისხეობა. მე არ ვიკვნესებ, უთხრა ჩხვირკიამ თანამებრძოლებს. მშევიდობით, ამხანაგებო, თავი დააღწიეთ განსაცდელს, შეუერთდით სხვა პარტიზანთა რიგებს.

ცალკეული საბრძოლო ოპერაციების შესრულებას ფაშისტების წინააღმდეგ ნოე კუბლაშვილი ავალებდა ბრძოლებში ნაცად პარტიზანებს: გ. ტუსიაშვილს, ვ. ურუშაძეს, გ. მათაძევილს, გ. ნასარიძეს, გ. ბექაურს, დ. ჭანტურიძეს, ა. ვარდოსანიძეს, ს. ჭანტურიას და სხვებს. მავრამ ისეთ პასუხსავებ ოპერაციებს. როგორიც იყო რკინიგზის დანაღმვა, ფაშისტური ჭარბის ნაწილებზე თავდასხმა და სხვა,

ნოე კუბლაშვილი უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა.

ნოე კუბლაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტურინის აეროდრომზე თავდასხმაში, რომელსაც პარტიზანული დივიზიის მეთაური იტალიელი რ. ალესიო ხელმძღვანელობდა. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველ პარტიზანთა რაზმი, ისე პარტიზანული დივიზიის სხვა ნაწილები. სწრაფი და ძლიერი დარტყმით პარტიზანებმა შეძლეს განერალუდინათ აეროდრომის დამცველი სამხედრო ნაწილები, გაანადგურეს თვითმფრინავები და წაიღეს უამრავი საომარი საჭურველი. ბრძოლის ავანგარდში იყო იტალიელ ვიტორიოს განყოფი და მისი სახელგანთქმული მებრძოლი გრ. მათიაშვილი.

დიდად მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სამხედრო ოპერაცია, რომელიც 1944 წლის ივნისში მოეწყო. პარტიზანებმა გადაწყვიტეს მოეხსნათ რიველის სავიაციო ქარხნის მცველი რაზმი და ეფეთქებინათ ქარხანა. მიუხედავად ფაშისტთა ძლიერი წინააღმდეგობისა, პარტიზანებმა დასახული ამოცანა საუცხოოდ შეასრულეს და პარტიზანული კომიტეტის მადლობა დაიმსახურეს.

1944 წლის ოქტომბერში ფაშისტებმა ალყა შემთარტყეს პარტიზანების დივი-

ზიას და დიდ განსაცდელში ჩააგდეს იგი და მანებელი მომენტში ნოე კუბლაშვილმა მიიღო ბრძანება საფრანგეთისა-კენ გაეკაფა გზა, რათა ფაშისტების გარემოცვისაგან გაეცვანა პარტიზანები და მოლაპარაკება გაემართა მოკავშირებ-თან. ნაცადმა მებრძოლმა წარმატებით შეასრულა ეს რთული და ძალზე სახიფა-თო დავალება — გაარღვია ფაშისტების გარემოცვა და გაათავისუფლა შვიდასამ-დე პარტიზანი. გააფორმებულ ბრძოლებ-ში თავიანთი მამაცობითა და გამძლეო-ბით განსაკუთრებით გაითქვეს სახელი პარტიზანთა ქვეგანაყოფის მეთაურმა როლანდინომ, ძამანაშვილმა, ბექაურმა და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ ბრძოლებში გა-მოჩენილი გმირობისა და სამხედრო ოს-ტატობისათვის ნოე კუბლაშვილი დანიშ-ნეს პარტიზანული დივიზიის უფროსის მოადგილედ სამწყობრო ნაწილში.

ნოე კუბლაშვილისა და სხვა ქართვე-ლი პარტიზანების გმირული ბრძოლა ფაშისტ დამპყრიობთა წინააღმდეგ შორეულ იტალიაში მკაფიოდ მოწმობს საბ-ჭოთა ადამიანების მხურვალე სიყვა-რულს თავიანთი სოციალისტური სამშო-ბლობაში და ცხადყოფს კომუნიზმის ცხოველმყოფელი იდეების უძლეველო-ბას.



## კაციანი პერიოდი

### რა იყო და რა მოის

ხალხი, ამ საზეიმო დღეებში, როცა ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთვას, არ შეიძლება გაკარით მაინც არ აღვნიშნოთ, თუ რა ტანგვა განვდლ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დღეს დიდი ლენინის დიადი დროში ქვეშ აყვავებულმა და ბარნარად ქცეულმა საქართველოს ერთ-ერთმა უძველესმა კუთხემ — აქარამ. სამხრეთ საქართველოს ბერი ჩვენი დიდი ეროვნული საკოთხი იყო და ამიტომ მისი ისტორია ყოველმა ქართველმა აკვანშიც უნდა იყოდეს. იღიას სიტყვებით რომ ვოქათ, „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქერნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა“...

ქართველი ხალხი, იღია ჰავავაძის მეთაურობით, არასოდეს არ ივიწყებდა თავის დაჩაგრულ ძმებს და მუდამ თავგამოიდებით ექმნავა-ბოდა დედა-სამშობლოს ძუძუსაგან უკუღმრთო ბედის წყალობით უსაშაროლოდ მოწვევილ აქარას.

1878 წელს ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლით და რუსთა მხედრობის დახმარებით, საუკუნეთა განმავლობაში თურქეთის ფეხევეშ გათვალისწინა კვლავ შეუერთდა დედა-სამშობლო საქართველოს შაგრამ ამის შემდეგაც არ ღირსებია მას მოსვენებული ცხოვრება. 1914 წლიდან 1921 წლამდე სამხრეთ საქართველოში — აქარის ჩათვლით, სამჯერ განიცად თურქეთის შემოსევა და დარბევა. თურქეთმა ზემოთ აღნიშნულ წლებში ისევ მიიტაცა ჩვენი მიწა-წყლის დიდი ნაწილი: ფოცხვი, არტანუჯი, ლივანა, ბორჩხა, მურღული, შავშეთ-იმერჩევი, ზედა მარადილი და სხვ.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, როცა რუსეთი თავისი რეელი სამხედრო ძალებით ბრძოლას აწარმოებდა გერმანიის ფრონტზე, თურქეთმა ისარგებლა შექმნილი მდგრმარებით და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებს.

ზრდისა და განვითარების სახელმისამართი გზა განვლო აქარის ბოლშევიკურმა პრესამ. ჯერ კი- დევ რევოლუციამდელ პერიოდში ჩათუ- მის კომიტეტის ფურცლები, რომელიც განაგ- რობდნენ „ისკარია“ და „პრომლის“ ტრან- სფეროში, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისყველებით ზრდიდა ბათუმის პროლეტარიტეს, აქარის გლე- ხობას და გალაშიცვერი რევოლუციური ბრძო- ლებისათვის რაზმავდა მათ.

აქარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვე- ბის პირველი მახარებელი ბათუმის რევოლუცია- და XI წითელი არმიის პოლიტგანცულების გაშეორი „იშვესტია“ იყო, რომელმაც გამოსცვა- და წყვი 1921 წლის 18 მარტს, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამარჯვის პირველ დღესვე. მეორე დღეს — 19 მარტს გამოვიდა ქართული გაშეორის „უწყებები“ პირველი ნომერიც.

საწრხხაროდ, „იშვესტიის“ და „უწყებების“ მთლიანი კომბინექტი არ შემოუნახოთ, განსა- კუთრებით პირველი წლებისა. არის მხოლოდ ერთეული ნომერი, მაგრამ მათი ანალიზიც საკმარის ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ გა- ზეოვნების მიმართულებასა და შინაარსზე. ბუნე- ბრივია, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღე- ბას უთმობდნენ რევოლუციის ღონისძიებათა პრო- პაგანდას, მშრომელებს განუმარტავდნენ საბ- ჭოთა ხელისუფლების რაობასა და ამოცანებს, წითელი არმიის განმათავისუფლებელ როლს, აშუცებდნენ მოსახლეობის განწყობილებას და ა. შ. „უწყებების“ მეორე ნომერი, მაგალითად, მოვალეობრივის იმაზე, თუ რა უღილესი აღფრ- თოვანებით შეხდნენ ბათუმელი მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების დამარჯვებას და განმა- თავისუფლებელი წითელი არმიის ნაწილების შემოსულას ქალაქში. აგ რას ვეითხულობთ ამის შესახებ სტატიაში „წითელი არმია“ და შესახებ სტატიაში „წითელი არმია“ და სხვა.

XI არმიის პოლიტიკური განყოფილების მი-

ბათუმში: „ქალაქის შუაგული ქუჩები სავსეა ხალხით, მოელიან განმათავისუფლებელი წითე- ლი არმიის მოწინავე რაზმების შემოსულას. ა კიდევ გამოჩნდა წითელი დროშა, რომლის ქვეშ თავი მოუყრია მშრომელთა ხალხთა აკან- გარდს, აკანგარდს საერთაშორისო რევოლუცი- ისა. წითელი მეომრები, მჭიდრი ნაბიჯით მიე- შურებინ ბათუმის ციხე-სიმაგრის შტაბისაკენ, სადაც მათ ხედები შეერადებულ ხალხა მთა- ვარსარდალი და წევრები რევოლუცია. მხურვალე სიტყვით მათ ეგებება რევოლუციის წევრი, რომე- ლიც აღნიშნავს მნიშვნელობას წითელი არმიის საქართველოს შემოსულისა და მოუწოდებს მათ საქართველოს პროლეტარიტან ერთად დაიცვან ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა“.

„იშვესტიის“ პირველ და „უწყებების“ მეო- რე ნომერში მოთავსებულია რევოლუციის მიერ დამტკიცებული საველე-პოლიტიკური განყო- ფილების ინსტრუქცია კომუნისტების მუშაობის შესახებ საქართველოში. ამ ინსტრუქციას სა- ფურვალ უდევს ვ. ი. ლენინის მითითება კო- მუნისტების ტაქტიკის შესახებ საქართველოში, რომელიც პირდაპირი მავთულით გაღმოეცა სა- ქართველოს რევოლუცია.

მეტად საინტერესოა და გულთბილი „იშვეს- ტიის“ პირველ ნომერში გამოკვენებული სტა- ტიები „რევოლუციის გამარჯვება“, „გაუმარჯოს საბჭოთა ბათუმს“, „რატომ მოვიდა საქართვე- ლოში წითელი არმია“ და სხვა.

XI არმიის პოლიტიკური განყოფილების მი- მართვაში აქარის მშრომელებისადმი, რომელიც „უწყებების“ მეორე ნომერში დაბეჭდა, ვეით- ხულობთ:

„მოხდა უდიდესი საქმე. საქართველოს ყო- ფილი ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც გა- ვიწროებდა თქვენ — დამხმაბილია ქართველ აჯანყებულთა და წითელი ფარის საშუალებით.



საბჭოთა დროშა ფრილებს თბილისში, ქუთაი-  
სში და ბათუმის ოქმში....

აჭარას, საქართველოში საბჭოთა ძალაუფლე-  
ბის ასებობის დროს, საშვალება ეტლევა თავი-  
სუფლად ისწავლოს, სწეროს თავის ენაზე, იქმ-  
ნის თავისი შშრომელთა მთავრობა....

ყველა აჭარელი-ქართველი უნდა ხედავდეს  
ახლა დანარჩენ საქართველოს ყველა მუშაში,  
გლობში და შშრომელში თავის ძმას და ამხანაგს  
ბრძოლაში. ახლა, აჭარის შშრომელებო, თქვენ-  
ზედა საქმე საკუთარი საბჭოთა წყობილების,  
რევომების მოწყობისა, ბრძოლა თავისი სისხ-  
ლისმშელ ბეგეთის, რომლებიც მოესყიდენ  
რუსეთის თვითმშემნიშვნელობას, მერწევიებს,  
ანტანტას — ჩვენს საერთო მტრებს....

საბჭოთა მთავრობა სრულ თვითსუფლებას  
აძლევს კველას ირწმუნოს როგორც სურს, არ  
ერევა სხვადასხვა ეროვნებათ ზნეშვეულებებ-  
ში, საშვალებას აძლევს თვითონ მთაწყონ თა-  
ვისი შრომის წესრიგი და წითელი არმის შექ-  
მნა.

ამხანაგებო აჭარლებო! დაეხმარეთ ახალგაზ-  
რდა საბჭოთა მთავრობას! გაძლიერეთ მუშაო-  
ბა! არ წამოეგოთ ბეგებისა და სხვადასხვა კონ-  
ტრევოლუციონერების პროვოკაციაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას საქართვე-  
ლოში და აჭარაში. გაუმარჯოს განმათავისუფ-  
ლებელ წითელ არმის.

ამავე ნომერში მოთავსებულია ბათუმისა და  
ბათუმის ოლქის სამხედრო-რევოლუციური კო-  
მიტეტის მმართვა „ქ. ბათუმის და ბათუმის  
ოლქის მუსულმან მცხოვრებლებისადმი“, სტა-  
ტია „რა არის საბჭოთა ძალაუფლება“ და სხვა  
საინტერესო წერილები.

იმ დროს, როდესაც გამოვიდა „საბჭოთა აჭა-  
რისა“ და „ბატუმის არაორის“ პირველი ნომ-  
რები „უწყებებისა“ და „იზვესტიის“ სახელწო-  
დებით, აჭარა დიდ სიძნელებს განიცდიდა. სა-  
ბჭორ იყო იმპერატორისტური სახელმწიფოებისა  
და მეწარმეური მთავრობის ბატონობის შედე-  
ვალ მოწამლული ატმოსფეროს გაწმენდა, ახალ-  
გაზრდა საბჭოთა ქვეყნისადმი მტრულად გა-  
წყობილი ელემენტების ზრახვათა ბოლომდე  
მხელება, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტუ-  
რი პარტიის პოლიტიკისა და უახლოესი ამოცა-  
ნების მასების შეგნებამდე დაუყანა და მათი და-  
სახმეა ამ ამოცანათა განსახორციელებლად. სა-  
ბჭოთა პრესამ აჭარში თავიდანვე სწორედ ამ  
მიმართულებით წარმართა მუშაობა და ხელი  
შეუწყო პარტიულ ორგანიზაციებს შშრომელთა  
კლასობრივი შეგნების ამაღლებისა და ახალი  
ამოცანების განსახორციელებლად მათი დრაზ-  
მების საქმეში.

„უწყებები“ და „იზვესტია“ პირველად ორ  
გვერდზე გამოიიდა, პატარა ფორმატით, იყო  
უფასო და უმთავრესად ქუჩებში აკრავდნე.

პირველის ტირაჟი 1921 წელს ხუთასი-ექვემდებარებული  
ხოლო მეორესი — ოთხასი ცალით განისაზღვ-  
რებოდა. ორივე გაზეთის პირველი ორი ნომე-  
რი გამოვიდა სატედაციო კოლეგიის ხელმოწვე-  
რით. მესამე ნომრიდან „უწყებებს“ ხელს აწერს  
პასუხისმგებელი რედაქტორი ს. ჩიხლაძე, ხო-  
ლო „იზვესტიას“ რედაქტორინაბდა ნ. პავტინს-  
კი. 1921 წლის აგვისტოში „უწყებების“ რედა-  
ქტორად დანიშნა თ. ულენტი.

ჩვენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკური პოლი-  
ტიკის შემოღების შემდეგ აჭარის გაზეთები სა-  
მეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ, ხარჯების საკუ-  
თარი საშუალებებით დაფარების მიზნით გაერ-  
თანდა „უწყებებისა“ და „იზვესტიის“ გამომ-  
ცემლობანი. ღაწესრიგა გაზეთის გასაყიდი ფასი..  
ამან ერთგვარად შეიტყირა მათი ტირაჟი.

გაზეთები მწვავედ განიცდიდნენ ლატერა-  
ტურული ძალების ნაკლებობას. მართალია, მა-  
შინ ბათუმში მოღვაწეობდნენ ჩთელ საქართვე-  
ლოში ცნობილი პროფესიონალური უურნალი-  
სტები (ს. ქავთარაძე, მ. ტორჩოველიძე, თ. ულე-  
ნტი, ს. ჩიხლაძე, ნ. პავტინსკი და სხვ.). მაგრამ  
მათი უმავლესობა იმდენად იყო დატვირთუ-  
ლი ყოველდღიური პარტიული მუშაობით, რომ  
არ შეეძოთ რეგულარულად ეთანამშერომლათ  
გაზეთებში. თუ გავიხსენებთ იმასაც. რომ გაზე-  
თებს არ ჰყავდათ არც მუშა და არც გლობი კო-  
რესპონდენტები, ადვილი წარმოსალგენია, თუ  
რა ენერგია უნდა გამოეჩინა რედაქტიის ორიო-  
დე თანამშრომელს, რათა უზრუნველყოფი ყო-  
ველდღიური გაზეთების გამოშვება. მაგრამ პა-  
რტიული ორგანიზების დამარტინით მდგომარე-  
ობა მალე გამოსწორდა. გადაწყვეტილი ფორმატი, ტირაჟი, გაუმჯობესდა კაბრების შე-  
მადგენლობა, გაზიარდა პრესის მუშაკთა ხელ-  
ფასი და ა. შ.

1922 წელს პარტიული კომიტეტისა და ცა-  
კის დაგენილებით „უწყებებს“ დაერქვა-  
პროლეტარული ბრძოლა, ხოლო „იზვესტიი-  
ს“ — „ტრულოვო ბატუმი“. სახელწოდების  
შეცვლასთან ერთად შეიცვალა მათი შინაარსიც-  
თუ „უწყებები“ მეტწილად პოლიტიკური აგი-  
ტაციით კმაყოფილდებოდა და უმთავრესად ბეჭ-  
დავად ლოზუნებს, მოწოდებებს. საგიტაცო-  
პროპაგანდისტულ წერილებს, საგარეო და სა-  
შინა ხსიათის ინფორმაციებს, ხოლო „იზვეს-  
ტია“ მშრალი ოფიციონის შთბეჭდილებას ტო-  
ვებდა და სუსტად აშუქებდა აღვილობრივ ცნო-  
ვრებას, ამიტობით მათ თითქმის მთლიანად იც-  
ვალეს სახე. ამაღლდა გაზეთების იდეური დო-  
ნე, მათ გარშემო შემოქრება იწყეს მუშა და  
გლეხმა კორესპონდენტებმა. გაცხოველდა „მუ-  
შათა ცხოვრების“ განყოფილების მუშაობა. ქა-  
რთული გაზეთი განსაკუთრებით ფართოდ შეი-  
წრა სოფელში და იქ მკითხველთა საკანო კონ-  
ტინგენტი გაიჩინა. რუსული გაზეთიც უკეთ-

სად აშუქებდა როგორც პროფესირულ, პარტიულ და მუშათა ცხოვრებას, ისე სოფლის ცხოვრებასაც.

გვიდა ხანი და გაზეთს კვლავ შეუცალეს სახელი. „პროლეტარული ბრძოლის“ ნაცვლად გვისცლა იწყო „ბრძოლამ“, ხოლო „ტრუდოვის ბატუმის“ ნაცვლად — „ტრუდოვი ადეარისტანგამა“. თანდათან გაზარდა მუშსოფლეორთა რიცხვი. პირველი კორესპონდენციები მოვიდა ქობულეთიდან, ჩაქვიდან და აჭარისწყლიდან. კორესპონდენციები, ავტორები საცემით უსასყიდლო, ღიღი სიყვარულით და მონიშვილით თანამშრომლობდნენ გაზეთებში. შემთხული წერილების უზრავლესობა გაძედულად აყენებდა აქტუალურ საჭიროების საკითხებს, მოურიდებლად ამხილებდა ბიუროერატიზმს, სპეცულაციას, გამფლანგველებს, დისციპლინის დამრღვევებს და სხვა მანკიერებას.

1924 წელს „ბრძოლას“ „ფუხარა“ დაარქვეს. ეს სახელწოდების მხოლოდ ფორმალური შეცვლა როდი იყო. ღრმ მოითხოვდა გაზეთი ფართოდ შეკრილიყ სოფლად, სინათლეზე გამოეტანა სოფლის ცხოვრების დადგებით და უარყოფით მხარეები, მისი ხმა მიწვდომლად აჭარის შორეულ სოფლებასაც. განათლება და შეცნება შეეტრანს იქ და დახმარებოდა პარტიულ ორგანიზაციებს აქტიურად ჩაგათ სოფლის მშრომელნ საზოგადოებრივ საქმიანობაში, საბჭოთა აღმშენებლობით მუშაობაში. გაზეთმა „ფუხარა“ სანიმუშოდ გაართვა თვი ამ საპატიო და პასუხსავებ ამოცანას.

სწრაფად გაიზარდა გაზეთების ტირაჟი. 1924 წლისათვეს „ფუხარა“ უკვე გამოითხოვდა 3.000 ცალი ტირაჟით, ნაცვლად 500-600 ცალისა 1921 წელს, ხოლო „ტრუდოვი აღდარისტანი“ — 2.400 ცალის რაოდენობით, ნაცვლად 400 ცალისა. ამავე ლროს მათ შეიძინებ მუშა და გლეხ კორესპონდენცია საკმარის კადრები — „ფუხარას“ ჰყავდა 73 მუშკორი და 28 გლეხკორი, ხოლო „ტრუდოვი აღდარისტანის“ — 63 მუშკორი, ნაცვლად ორისა 1922 წელს.

აღსანიშნავია აგრძელებული როგორც განათლების ტირაჟი. და „ტრუდოვი აღდარისტანი“ ვრცელდებოდა არა მარტო აჭარაში, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქება და რაიონებშიც. „ფუხარას“ თავისი განვითარებები პერიდა ქუთაისა და ფოთში, ხოლო შემდეგ ოზურგეთში, ჩოხატაურასა და ქობულეთში; საკორესპონდენტო პუნქტები კი ხულოში, ქედაში, აჭარისწყალზე და მაცნეცეთში. რედაქციის თავისი კორესპონდენციები ჰყავდა მოსკოვში, ბაქოსა და თბილისში.

„ფუხარა“ და „ტრუდოვი აღდარისტანი“ საქმიანად ეხმარებოდნენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რეგულარულად აშუქებდნენ

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს. ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით რედაქციებმა კავშირი დაამყარეს საგამომძიებლო ორგანოებთან, რომელიც სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ მუშგლებკორთა სინალებს.

1924 წლის 11 დეკემბერს გამოვიდა გაზეთ „ფუხარას“ მეათასე ნომერი. ამ მოვლენის აღსანიშნავად მოწყობი იუბილე. საინტერესოა ალინიშნის, რომ საიუბილეო ზეის ესტრებოდა ცნობილი რუსი პოეტი სერგეი ესენინი: აჭარის ასრ ცენტრალური აღმასკომის მისამებაში „ფუხარას“ რედაქციისადმი ღირსეულად არს შეფასებული გაზეთის როლი აქარის მშრომელთა პოლიტიკური გათვითცნობერებისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანების პირნათლად განაღდებისათვის მათი დარაზმების საქმეში.

„1000 ნომერი „ფუხარა“ აჭარისტანის სინამდვილეში, — ვკითხულობთ ამ მისამებაში, — ეს ფუხერული რევოლუციის ათასი გამარჯვებაა, მაგრამ რამდენადც დიდია „ფუხარას“ მიღწევები წარსულში, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია მისი მომავალი მუშათა აჭარისტანის კულტურულ-ეკონომიკურ აღმშენებლობისა და აჭარისტანის ფუხარა ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. ჩვენმა გაზეთმა ნომდვილი ფუხერული ენიო უნდა გააცნოს ჩვენს გლეხობას თურა ხელება საბჭოთა კავშირში, რას აკეთებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელსუფლება მუშებისა და ფუხარა ხალხისათვეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს იმ საკითხებს, ჩვენი მუშაობის იმ მხარეს. რომელიც უშუალოდ ეხება გლეხობას და მის ინტერესებს.

„ფუხარას“ უახლოესი მიზანი უნდა იქნეს სოფელთან დახმარება, მჭიდროდ დაკავშირება.

ცენტრ-აღმასკომი უსურვებს „ფუხარას“ რედაქციას განაგრძოს მუშაობა გაძლიერებული ენერგიით იმ დღიდ მიზნების მისაღწევად, რომელიც საბჭოთა პრესის წინაშე დგას რევოლუციონურ აღმშენებლობის ხანაში“.

იუბილესთან დაკავშირებით, აჭარის ასრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გაზეთი „ფუხარა“ დაგილდოვდა შრომის წითელი ღრმიშის ორდენით, ხოლო გაზეთის ხეთ თანამშრომელს მიენიჭა „წითელი უზრნალისტის“ სახელწოდება; საიუბილეო ნიშნებით დაგილდოვდა ცხრა მუშა და გლეხი კორესპონდენტი.

„აჭარისტანის ავტ. სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, — ვკითხულობთ ამ დადგენილებაში, — გაზე „ფუხარას“ ათას ნომრის გამოშვების აღსანიშნავად იღებს რა მხედველობაში გაზეთის მუშაკთა და-

მსახურებას აქარისტანის წითელი საბჭოთა პრესი განმტკიცების საქმეში აღდენს:

1. ოლინშეულ იქნას რესუბლიკის წითელ დაუაზე „წითელი ურნალისტის“ სახელწოდების მინჭებით და სათანადო ნიშანის მიცემით შეკრდნე სატარებლად წარწეროთ „შრომის და-მსახურებისათვის“, შემდეგი ამხანაგები:

ა. პავავა, დ. დუმბაძე, თ. სიხარულიძე, გ. ნუცუბაძე და ჩ. ხიზრევანიძე.

2. მიეცეს საიუბილეო ნიშნები შემდეგ ამხანაგებს: — ზოძე — ვლეხყორი, ს. ხიმშიაშვილი — გლეხყორი, საჩიშვილი — ივივე, პ. ლორია — მუშყორი, მ. გველაძე — პარტყორი, გოგუაძე — მუშყორი, ა. კინაძე — მუშყორი, ფ. ელენტი — პარტყორი და რამიშვილი — კაბუკორი“.

საბჭოთა პრესამ დიდი როლი შეისრულა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, მისი მიზნებისა და ამოცანების პროგაგნზის, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. გადაუყარებებლად შეიძლება ითქვას. რომ საბჭოთა პრესის ამ მნიშვნელოვან წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს „საბჭოთა აქარამ“ და „ბატუმსკი რაბოჩიმ“.

საბალხო შეურნების ალგონის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის, სახალხო მეცნიერების სოციალისტური რეკონსტრუქციის დამსახურების უა სსრ კაშირში სოციალიზმის ვამტკიცების. სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში აქარის გაზეთები ყოველთვის მხარში ეფუნქც პარტიულ. საბჭოთა ორგანიზაციებს და ექმარებოდნენ მათ მასების კუმუნისტური აღზრდას. მშრომელთა ცენტრების მატერიალური და კულტურული ღონის ამაღლების საქმეში. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

1929 წლის ქართული გაზეთი გამოდის „საბჭოთა აქარისტანის“, ხოლო 1936 წლის 6 ოქტომბერიდან „საბჭოთა აქარის“ სახელწოდებით. 1930 წლის 15 მაისიდან „ტრუდოვო ადამიანისტანი“ გამოდის „ბატუმსკი რაბოჩის“ სახელწოდებით. როგორც ხუთდღიური ორგანო, 1932 წლის 24 ოქტომბერიდან კი სამ ღღეში ერთხელ, 2 აპრილიდან — ყოველ მეორე დღეს, ხოლო მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირდებოთ 1933 წლის 14 იანვრიდან ივი გადაკეთდა და ყოველდღიურ ირგანოდ.

აქარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, „საბჭოთა აქარის“ და „ბატუმსკი რაბოჩის“ გარდა, გამოდიოდა სსვა ურნალ-გაზეთებიც, რომელგშიც მონაწილეობდნენ ცნობილი შეკრლები და საზოგადო მოღაწენი. მათგან აღსანიშნავია „პოზიტის დღე“, „კანდელი“, ყოველკირებული სალიტერატურო-სამეცნიე-

რო და სინუორმაციო გაზეთი „ასპიროზის განვითარებული რომელიც იბეჭდებოდა გ. ლეონიძის, ი. ხოხელისა და სსვა მწერალთა და საზოგადო მოღარეობისა და საზოგადო შეკრების და წერილები; ყოველკვირებული სალიტერატურო გაზეთი „მშევერავალ“, რომელშიც თანამშრომლობდნენ ეკ. გაბაშვილი, ს. გერსამია და სსვები; „ისპირის“, „აქარისტანის სოფლის შეურნებობა“, „პონტისი“, „აქარისტანი“, „ახალგაზირდა ლეინელი“. „ბრძოლა ციტრუსებისათვის“, „ბრძოლა სუბტრინპიკებისათვის“, „აქცესის დამკვრელი“, „ჩაქვის ჩაი“, „ოჩამურელი ენტუზიასტი“, „ბათუმის წყლისანი“, „ლიტერატურული აქარისტანი“, ალმანახი „ტალა“, „აგრეთვე რაიონული გაზეთები; „ქობულეოველი კოლმეტრის გზა“, „ბოლშევიკური კოლმეტრნებისათვის“ (შემდგომში „კოლმეტრნის ხმა“), „კოლმეტრიური შრომა“ და „დროშა“.

1958 წლის იანვრიდან ვამოდის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უურნალი „ლიტერატურული აქარა“.

უკველდღურულ უწოდესლებოდა ძირებულ პრესის შემობაც. 1921 წელს ქ. ბათუმში ვამოვარიდა მხოლოდ ორი კედლის გაზეობი, ამედიაში კი მთი რასტერ აქარაში რამდენიმე საეტალს აღმატება. ბერებამ უკვე გამოდის ყოველდღიური და ყოველკვირებული კეოლის გაზეთები.

უკიდ სამშელო ორის პერიოდში გაზეთები „საბჭოთა აქარა“ და „ბატუმსკი რაბოჩი“ პირნალურ ასრულებლნენ დაკისრებულ ამოცანებს. ფართოო აშუქებდნენ მის მიმღინარებას. ხელს უწყობდნენ პარტიულ ირგანზაციებს მშრომელის განვითარებისათვის მასების დარაზე გვემეში.

მოვლ საბჭოთა პრესასთან ერთად უაღრესად პასტესაგები ამოცანები დადგა აქარის გაზეთების წინაშე ორისშემცირებულ პერიოდში, როცა კომუნისტურმა პარტიიმ გააჩილა ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, ხოლო შემდგომ მისი მძღვარი აღმავლობისათვის, ჩვენს კვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის.

1956 წლის 4 ნოემბერს გამოვიდა გაზეთ „საბჭოთა აქარის“ მეათიათასე ნომერი. ამათან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აქარის“ რედაქციისა და სტამბალათოგრაფიის 14 მუშაკი დაწილდობული იქნა აქარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

კიდევ უფრო გაზიარდა საბჭოთა პრესის როლი თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ჩვენი ქვეყანა შევიდე კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. იგი მოწოდებულია მუშაკობის ხალხისათვის, მისი ბეღდინერებისა და კეოლიდღებისათვის. საბჭოთა პრესის მთავარი თემებია: კომუნისტური მშენებლობა

და შემომელთა კომიტეტის მიერ აღზრდა, საბჭო-  
თა აღმიანების შემოქმედებითი შრომა და მა-  
ლაი ზეობრივი იღეა დღე. მისი მუშაობას  
უმნიშვნელოვანესი მეთოდია კრიტიკა და  
თვითკრიტიკა, ხოლო შთაგონების წყარო—კო-  
მიტიცხის მშენებელთა შრომითი გმირობა და  
მორალური სისციტაცია:

ამხანაგმა ნ. ს. სრუშჩინგმა საბჭოთა კურნა-  
ლისტების მიღებაზე კრემლში 1959 წლის 14  
ნოემბერს შემდეგი სიტყვებით მიმართა მთ:

„ძირითასო ამხანაგო უურნალისტები! მშენ-  
ლებს ჩვენ ვუწივებოთ პარტიის თანამშემწებებს,  
ნუ ეწყინებათ მშერლებს, თუ მე ვიტყვი, რომ  
თქვენ, უურნალისტები, ხართ ჩვენი პარტიის არა  
მარტო ერთგული თანამშემწებები, არამედ პირ-  
დაპირი ხელშევითნი — აქტიური შებრძოლება  
მისი დიადი საქმისათვის. რატომ ხელშევითნი? იმიტომ, რომ თქვენ პარტიაც განუკრებად  
ხართ პარტიისთვის. როგორც კი დაგვშირდება  
რაიმე გადაწყვეტილების განმარტება და განხო-  
რციელება. თქვენ მოგმართავთ, და თქვენ, რო-  
გორც კვლებზე სამეცნ ამძრავი ღვევი, ა-  
ღებთ პარტიის გადაწყვეტილებას და უეგავთ  
იგი ჩვენი ხალხის შეაგულში“.

ასეთი მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა ნ. ს.  
სრუშჩინგმა უურნალისტებს, საბჭოთა კრესას —  
ჩვენი პარტიის კუელაზე შორსმორლელ იღ-  
ულ იარაღს.

საბჭოთა პრესის ძალა მუდამ იყო და არის  
მკიდრო კაშშირი მასებთან, მშრომელებთან.  
„საბჭოთა აკარა“ და „ბატუმსკი რაბოჩი“ მუ-  
დამ ჩერუნავდნენ და კელავაც ზრუნავდნ მშრო-  
მელთა ფართოდ მიზანებისათვის თავიანთ მუშა-  
ობაში. მათ ის უაქტიც მოწმობს, რომ ყოველ-  
წლიურად მიტულობს მუშსოფლებორთა რიცხვი.  
1960 წელს „საბჭოთა აკარის“ რედაქციამ მიი-  
ღო 4.240 წერილი, აქედან გამოაქვეყნა 3.358.  
ე. ი. 513 წერილით მეტი, ვიდრე წინა წელს  
„ბატუმსკი რაბოჩის“ რედაქციამ გასულ წელს

შივლი 2.276 წერილი, გაცილებით მეტი, ვიცი გა-  
მინა წელს. თუ ამ გაზეთებს, როგორც ზემოთ  
აღვნიშნეთ, პირეელ ხანებში სრულებით ან თი-  
თების სრულებით არ ჰყავდათ მუშსოფლებორე-  
ბი. ამჟამად მათი რიცხვი 1.500 აღმატება.

მიმღინარე წლის 25 მარტს აღვნიშნა გაზეთე-  
ბის „საბჭოთა აკარისა“ და „ბატუმსკი რაბო-  
ჩის“ ორმოც წლისათვის. ამ თარიღთან დაკავ-  
შირებით ორეევ გაზეთი დაჯილდობულ იქნა  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-  
უმის საპატიო სიგელით. ხოლო რედაქციებისა  
და სტაბა-ლითოგრაფიის 45 მუშაკი — აკარის  
ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო  
სიგელებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის,  
პარტიის აკარის საოლქო კომიტეტის, აკარის  
ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აკა-  
რის ასსრ მინისტრთა საბჭოს მისამებებში „სა-  
ბჭოთა აკარისა“ და „ბატუმსკი რაბოჩის“ რე-  
დაქციებისადმი გამოთქმულია ჩემენა, რომ აკა-  
რის საოლქო გაზეთები კელავაც იქნებიან ჩვენი  
პარტიის ერთგული თანამშემწებები, კვლავაც წა-  
რჩატებით შეასრულებენ კოლექტიური აგიტა-  
ტორის, კოლექტური პროცესისტისა და კო-  
ლექტური ორგანიზაციების საპატიო როლს,  
დარაზმავენ აკარის მშრომელებს სკკ ცენტრა-  
ლური კომიტეტის იანერის პლენუმის გადაწყ-  
ვეტილებათა შესრულებისათვის. შეოღწლების  
დაზი გეგმების განხორციელებისათვის, სკკ  
XXII ყრილობის ლიტსეულად შეხვედრისათვის.

ეპვი არ არის, რომ აკარის საოლქო გაზეთე-  
ბი ლიტსეულად დაცავენ თავიანთ შესანიშნავ  
ტრადიციებს. ფართოდ გამოიყენებენ საბრძო-  
ლო პარტიული პუბლიცისტების უნკრს, გადა-  
ქცევიან ნამდვილ სახალხო ტრიბუნებიდ და  
ენერგიულად დახმარებიან პარტიულ ორგანი-  
ზაციებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში  
მშრომელთა დარაზმებისა და აქტიური მონაწილ-  
ებობისათვის. მათი კომუნისტური აღზრდისა-  
თვის.



## პარენ ცეკვისაჩია

### ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის პრემია

ისტორიული განვითარების თავისებურებათა გამო აჭარის მშენებლთა ფართო მასების ბრძოლას სოციალური თავისუფლებისა და პროგრესისათვის თავიდანერთ შეერწყა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. განსაკუთრებით გაძლიერდა იგი 1917-1920 წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გააფიქტებული ბრძოლის პერიოდში. ორგორც ცნობილია, ქართველმა მენშევიკებმა საქართველო მოწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და გამოაცადეს დამოუკიდებლობა. მაგრამ მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობა მასების მოტუება იყო. ფაქტიურად იგი დამოუკიდებელ ქვეყანას კი არა, ეპროპელ იმპერიალისტთა კოლონიას წარმოადგენდა. განსაკუთრებით მძიმე მდგრადი მოწყვიტებული აღმოჩნდა ამ მხრივ აჭარა, საღაც მენშევიკ ხელისუფალთა ხელშეწყობით თავისუფლად დათარებულდნენ გერ გერმანელი და თურქი, ხოლო შემდეგ ინგლისელი, ფრანგი და სხვა იყენანტები. ამ გარემოებამ განაპირობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი მძღვრი აღმართდა, რომელმაც მოიცავა მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფუნა და მიზიალა ცველა პროგრესული მოღვაწე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მზანი იყო აჭარიდნ თურქი და სხვა იყენანტების განდევნა და აჭარის კალავ შეერთება დედა-სამშობლო საქართველოსთან. მაშასადმი, თავისთავად იგი არ გულისხმობდა რაიმე სოციალურ მოხვევების განვითარების განდევნა საქართველოს.

ტერიტორიიდან ასუსტებდა მენშევიკურ დეტატურას და ადგილებდა ბრძოლის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკური ორგანიზაცია დადგებითად ეკიდებოდა 1918 წლის მაისში შექმნილ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საქმიანობას, რომელსაც მეთაურობდნენ აჭარის პროგრესული მოღვაწეები მემედ და ჰაიდარ აბაშიძები, სულეიმან დასამიძე, რეჯებ ნისარაძე, ქემალ ნოღაიდელი. ხასან თხილაშვილი და სხვები აღსანიშნავია. რომ აჭარის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზოგი მათგანი, ორგორც, მაგალითად, ს. ლისამიძე, კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა და წლების მანძილზე იყოფებოდა ხელმძღვანელ პოსტები.

შეიძლება დავასახელოთ არაერთი ფაქტი იმისა, თუ ცალკეულ შემთხვევებში როგორ ემთხვეოდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ღონისძიებანი ბოლშევიკური ორგანიზაციისას და როგორ უწყობდა იგი ხელს მოსახლეობის არა მარტო ეროვნულ, არამედ სოციალურ განმათავისუფლებასაც. როცა თურქებმა აჭარაში შექმნეს მარიონეტული შეგლისი, რომელიც მხოლოდ თურქოფალ ელემენტებს აერთინებდა, და თურქი იყუპანტების ინტერესებს ემსახურებოდა, ბოლშევიკებთან ერთად მის წინააღმდეგ აქტიურად გაიღია შექრეს აგრეთვე „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წერტილში. რამაც დღიდა შეუწყო ხელი ამ შავი მეტალის მხელებასა და გაკოტრებას. „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ენერგიული მხარდაჭერით ასევე ჩაიცუშა იყვანენტების ცდა აჭარის ახალგაზრდობისაგან შექმნათ გარის ახალი



ნაწილები ხალხის წინააღმდეგ საპროლეველად. შოსახლებამ ცველგან ბიუკოტი გამოუცხადა თურქი დამპყრობლების ამ ანტიხალხურ ღონისძიებას.

1918 წლის დეკემბრიდან თურქი ოკუპანტები, როგორც ცნობილია, ანტანტის სახელმწიფოთა იმპერიალისტებმა შეცვალეს, მაგრამ ამით თითქმის არაფერი შეცვლილა. აჭარა კვლავ მოწყვეტილი აღმოჩნდა საქართველოსაგან. მთელი ძალაუფლება ბათუმის ოლქში ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ხელში გადავიდა, ცველა მინიშვნელოვანი თანამდებობა იყუბანტებმა დაკავევს და მალე ბათუმი გადაციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლატფარმად. მათი მეშვეობით ბათუმი და ბათუმის მთელი ოლქი რუსეთიდან გამოქცეული თუ კონტრევოლუციის მიზერ გამოგზანილი დენიკინელებითა და სხვა ბნელი ძალებით გაიცსო. სულ მყალე დროში დენიკინელები აქ ისე მომძლავრდნენ, რომ ბათუმის დაბყრობა და მისი რუსეთის იმ ტერიტორიასთან შეერთებაც კი სცადეს. რომელიც დენიკინის გარებს ეკავათ. როგორც ბათუმში, ისე მთელ ოლქში დენიკინელთა შტაბი და მისი განყოფილებები ფართო ძირგმითხსრელ მუშაობას ეწეოდნენ. 1919 წლის ზაფხულში ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის დახმარებით ბათუმის ქალაქისთავად დაინიშნ დენიკინელ გოლიცინი. შეიქმნა აგრეთვე დენიკინელთა შევრაზმული გაზეთი „ნაშ კრაი“.

ანტანტის სახელმწიფოთა საკუპაციო რეჟიმსა და დენიკინელთა თავმცემულ პარაშუს აჭარის შვერიმელებმა თავიდანვე შეუბოვარი ბრძოლა გამოუცხადეს. 1919 წლის იანვრიდან ბათუმსა და მის ოლქში კვლავ აზერითდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

კონტრევოლუციური ძალების, მათ შორის უცხოელ აკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებულად წარსართვისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აჭარის ბოლშევეკურმა არგანიზაციაში შექმნა სპეციალური მებრძოლი რაზმი, რომელსაც კომიტისტები ს. გუბელი, მ. ბელენიკი, კ. ბერძენიშვილი, გ. ჩანგიშვილი და სხვები სელმძღვანელობდნენ. ასეთივე მებრძოლი რაზმი ჩამოაყალიბა „სამუსლიმან საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმაც“. ეს რაზმი 500-მდე კაცს ითვლიდა და შიშის ზარს სცემდა კუპანტებს, დენიკინებსა და სხვა რეაქციულ ძალებს.

ბათუმის ბოლშევეკური კომიტეტისა და „სამუსლიმან საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ რაზმებმა 1919 წლის ივნისში ბათუმში მოედეს დენიკინის მთავრი წარმომად-

გენერლი გენერალი ნათევი, პოლკოვნიკი ფილიპ ცავა და სცენტო.

ასე ვითარებაში, 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში გაიხსნა ბათუმის ოლქის ქართველ წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც არჩია მეჭლისი მექედ აბაშიძის თავმჯდომარეობით. ყრილობამ მეჭლის დავალა მხოლოდ ერთი ამოცანა — ბრძოლა დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის. ამ ამოცანას მეჭლისი მთელი თავისი არსებობის მანძილზე, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, პირნათლად ასრულებდა.

სამქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებითაც, კოლონიკისა და მეტროპოლიტებში რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდამ, აგრეთვე იკუპირებული მოსახლეობის წინააღმდეგობის და სხვა მიზნებმა ანტანტის სახელმწიფოები იძულებული გახადეს დაეტოვებინთ ბათუმი. მაგრამ მათ არ სურდათ ხელიდან გამოცლოდთ ეს დიდი მნიშვნელოვანი ნაგადგური და მისი შენარჩუნების მიზნით 1920 წლის 24 თებერვალს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ ბათუმი პორტ-ფრანკოდ გამოატადა.

ანტანტის ასეთ ერაგულ გადაწყვეტილებას ბათუმის ოლქის მშრომელები აღშეთვებით შეხვდნენ. 1920 წლის მარტში ბათუმსა და მის ოლქში იმართებოდა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები და კრებები. ბოლოს, ეს მოძრაობა ინტერვენტების წინააღმდეგ ფართო ბრძოლაში გადაიზარდა.

1921 წლის დამდეგს მენშევიური დიტრიტურა კარსტროფამდე მივიდა. თებერვალში უკვე მთელ საქართველოს მოედო მშრომელთა შეიარაღებული აჯანყება. პოლიტიკურად გაკაოტრებულმა მენშევიურმა მთავრობამ ახალი გაუგონარი ღალატი ჩაიდინა: მან ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით 11 მარტს ბათუმში თურქეთის ჭარის ნაწილები შემოუშვა.

ამით ისარგებლეს თურქმა დამპყრობლებმა და აჭარის მეჭლის მოსთხოვეს გამოტანა დადგენილება თურქეთთან აჭარის შეერთების შესახებ, მაგრამ მეჭლისის პროგრესულმა ნაწილმა მექედ აბაშიძის ხელმძღვანელობით უარყო ეს უტიფარი ულტიმატუმი. მაშინ კი, როცა თურქმა აკუპანტებმა ბათუმის ოლქის ძალად დაპყრობა სცადეს, 17 მარტს შექმნილი რევოლუციისა და აჭარის სხვა მოწინავე აღმიანების მეთაურობით მთელი მშრომელი მოსახლეობის წინ აღუდგა დამპყრობლებს და განდევნებს ისინ აჭარიდან. აჭარა კვლავ შეუერთდა დედა-საქართველოს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც დამთავრდა.



## შაგრა კობაღაძე გუგური გაბისონია

### „მეგობრობისა და ძმობის წარმომადგენლად“

როცა გავიგეთ, აქტის ასსრ სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი საგასტროლოდ მიიღების უცხოეთში, არაბეთის გართიანებულ ჩესპებლიყაშით, ოვროულმა ჩვენგანმა დიდ სიხარულთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც იგრძნო. ეს ბუნებრივიცაა. მეგობრულ ეგვიპტესა და სინკრიზი ჩვენ პირველად უნდა წარმოგვედგინა ქართული საბჭოთა ხელოვნება, ცხადგევყო, თუ როგორ ამაღლდა ჩვენი ხალხის კულტურა და ხელოვნება, აა წარმატებებს მიაღწიეს მათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური მზრუნველობით. ამიტომ მთელი ანსამბლი განსაკუთრებული სიყვარულითა და მონძომებით შეუდგა საგასტროლო მზადებას. თითქმის მთლიანად გადავახალისეთ პროგრამა. იგი შევავსეთ ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით, აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორების საგუნდო სიმღერებით.

დადგა გამგზავრების დღეც. მოსკოვში ორი დღის შესეკრძის შემდეგ, 1960 წლის 12 ნოემბერს საქართველო „ტუ-104-ბ“ გაფრინდით არაბეთის გაერთიანებულ ჩესპებლიყაში და რამდენიმე საათის შემდეგ დავეშვით კაიროს აეროლინოში. მასპინძლები ძლიერ გულთბილად შეგვხდნენ, მოგვართვეს თაგულები. აეროლინმდან ქალაქისაკენ მომავალ გზაზე არაბები ხალისით გვესალმებოდნენ, გვთავაზობდნენ ყვავილებს, რითაც გამოხატავდნენ თავიანთ სიყვარულსა და მაღლობის გრძნობას არაბი ხალხის გულწრფელი მეგობრის — დიდი საბჭოთა კავშირისადმი.

მეორე დღეს კაიროს ოპერის თეატრში ჩვენი ანსამბლის კოლექტივი მიიღო არაბეთის გართიანებული ჩესპებლიყის ეგვიპტის რაიონის კულ-

ტურისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრის მოადგილებ ბ-ნმა აბდელ მენაჟმ ასავომ. მილებას ესწრებოდნენ თეატრების ღეპარტიერენტის უფროს დოქტორი რაი, კომპოზიტორი აზიზ აუშუანი, გამოჩენილი კინომსახიობი ამინა რეზეა, მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის მოღვწევები, პრესის წარმომალგენლები და არაბეთის გაერთიანებულ ჩესპებლიყაში საბჭოთა კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი მუშავები.

პირველი კონცერტი გავმართეთ 17 ნოემბერს კაიროს თეატრის „ერმენებუა“ დაბაზში. ამ დღეს კონცერტს ესწრებოდნენ არაბეთის გაერთიანებული ჩესპებლიყის ეგვიპტის რაიონის კულტურისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრის მოადგილე აბდელ მენაჟმ ასავო, თეატრების დეპარტამენტის უფროსი ლოქტორი რაი, კულტურის მოღვწევები. პრესისა და საქმიანი წრეების წარმომალგენლები. საბჭოთა კავშირის ელჩი არაბეთის გაერთიანებულ ჩესპებლიყაში ვ. ეროვევევი, საელჩოს თანამშრომლები და სხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომალგენლები.

ფარდა ახალდა. გაისა მექუხარე ტაში. ეს ჩვენ მოგვესალმა არაბი მაყურებელი. პირველ ნომრად ქართულ და არაბულ ენებზე შევასრულეთ მისასალმებელი სიმღერა, რომლის ერთი ტაქი არაბულად გვითარებინა კომპოზიტორმა აზიზ აუშუანმა. სიმღერას წარმატება ხდდა. ამან, ცხადია, გაგვათმამა და მთელმა კონცერტმა ჩინებულად ჩიარა, ხშირად გვამეორებინებდნენ ცალკეულ ნომრებს. განსაკუთრებით მოეწონათ სიმღერები „მწყემსური“, „სისა ტურა“, „ჩემი ლამაზი ქვეყანა“, „სიყვარული არ იქნება ძალადა“, „აგრეთვე ცა ცავები „საქორწილო“, „სავანური“, „განდაგანა“, „ფარიკაბა“, „ხორუმი“, „შეგიბრება“.

კონცერტის დასასრულს დარბაზი ფეხზე აღგომით და შექარე ივეტით მიესალმა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ მოღვაწეს გ. ჩხივიშვილს, ქორეოგრაფს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ე. ხაბაძეს, ახალგაზრდა დირიჟორს ავარის ასსრ დამსახურებულ არტისტს მ. კილაძეს და კონცერტმაისტერ რ. ელიავას, რომელთაც უდავოდ დიდი ღვაწლი და ამაგრ მიუძღვით ანსამბლის დასტატებაში.

კიროში ყოფნის დროს ჩეკემა ანსამბლმა გამართა რამდენიმე შემოქმედებითი შეხვედრა. ერთი ასეთი შეხვედრა მოწყო 18 ნოემბერს ოცენის თეატრში. აქ ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნება წარმოადგინა ანსამბლმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ახალგაზრდა მოცეკვე და კორეოგრაფი მაკმედ რედა. ცეკვებიდან სხვაგზე მეტად მოგვეწონა „შელის ფერია“, „არუსტან ჩელაფი“ და სხვ. უბადლო სტატობით განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა გამოჩენილმა ეგვიპტელმა მოცეკვე ქამა ფარიდა ფაშები.

19 ნოემბერს ჩეკენ ანსამბლის საგასტროლო მუშაობრბის ხელმძღვანელმა, აკადის ასსრ კულტურის მინისტრმა ვ. ახვლედიანმა გამართა პრეს-კონცერტისა, რომელსაც დასწრენენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქის პრესის წარმომადგენლები, მეორე დღეს კი არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის კულტურისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრის მთავრებილების მიმღები მიიღო აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ვ. ახვლედიანი, ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი მ. ჩხივიშვილი, ქორეოგრაფი ე. ხაბაძე და წამყვანი მსახიობები.

დაბაზულ საკონცერტო შუშაობასთან ერთად ხელიად ვაწყობლით ექსპურსიებს, ვათვალიერებით ქალაქს, მუზეუმებს, ისტორიულ ადგილებს, ზოოპარკებს, გაედინოთ ქალაქებარეთაც.

კირო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი გაშენებულია მთის ორ მასივს შორის. ცველაზე დიდი მთა გარშემორტყმულია ქვის გალვენი, რომელშიც დგას სარწმუნობრივი ქებლი „მეჩეთი“ ცადაზიდული კოშკი.

კიროშივე ვინახულეთ მსოფლიოს ერთ-ერთი უცხალაზე მდიდარი ეგვაპტის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი. აქ უძველესი ხელოვნების შევრი უნიკალური ნიმუშია. თავისითავად ცხადია, ვიყავით სახელგანთქმული ეგვაპტური პირამიდების რაიონში ჯა დიდი ინტერესით დავათვალიდეთ წარსულის ეს საოცარი ნაგებობანი.

27 ნოემბერს ანსამბლი მიწვია კიროს ტელეგადაცემამ, ხოლო 2 დეკემბერს კიროს თეატრში „ეზეკია“ გაემართეთ უკანასკნელი, მეტვიდ-

მეტე კონცერტი. თეატრი, როგორც ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი. ჩვიდმეტი კონცერტი! ჩვიდმეტი ანშლანგი!

კონცერტის საფინალო ცეკვის „შეგიბრება“ შესრულებისას, როცა მსახიობებმა ცერემითა და მუხლებით შემოუარეს სცენას, მაყურებლები ტაშით აცყვნენ საცეკვაო ტაქტს, აღარ უნდოდათ ცეკვის დამთავრება და არც ტაშის შეწყვეტას ამირებდნენ. მათ ხმა არასოდეს არ უნახავონ ქართული ტემპერამეტრიანი, რომელიც თეატრი ცეკვები და აღტაცება უსაზღვრო იყო.

კონცერტის დამთავრების შემდეგ დიდანს არ დაცხირალა მეტარე ტაში. სცენზე ამოვილენ კულტურისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრის მთავრილება აბდელ მენაქე ასავი, საბჭოთა კავშირის ელჩი ვ. ეროფევი და სხვები, რომელებმაც გულითადი მაღლობა გადაუხადეს ანსამბლის კოლექტივს და უსურვეს შემღვრმი წარმატებანი.

კიროს ოცდათზე მეტმა სხვადასხვა უურნალგაზეთმა მაღალი შეფასება მისცა ჩეკენი ანსამბლის გამოსვლებს. აი, მაგალითად, რას წერდა არაბული გაზეთი „ალ-ჰარამი“.

„ანსამბლის პროგრამუში მელოდიური სიმღერები და ტემპერამეტრული ცეკვებია. ისინი საქართველოს ზენა და ჩეცულებებს ასახავენ. სიმღერათა უმრავლესობა სიყარულსა და სამშობლოს სიღმამაზეა. თავადადგენული ცეკვები მოძრაობის სიღლიერითა და დიდი ტემპერამეტრით გამოიჩინა. ისინი ცხოვრებაზე, ახალგაზრდობაზე, იმედებზე, სიხარულსა და ძალაზე მეტყველებენ.“

ვაჟები ძრიერ მოქნილად და თავგამოდებით ცეკვავნ. ქალები კი თავიანთი ქალური და მოკიდცებული მოძრაობით ვაჟებს ადარბაილებენ.

მეორე გაზეთი „პროგრეს ეგიპტიონ“, რომელიც ცრანგულ ენაზე გამოიდის, აღნიშვნავდა:

„ქართული ანსამბლის კონცერტები მშენებებას მოკლებული არ არის. აღგილობრივი ბალადები და ტემპერამეტრული ცეკვები ხალხთან ა ანსამბლის მჭიდრო კავშირს მოწმობენ.“

ვოკალური ანსამბლი ძალიან დისციპლინირებული და შემჭიდროებულია. ცეკვებში ხალხის სული და გული იგრძნობა. ცეკვების უმრავლესი ელემენტი ქორეოგრაფიის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ნობრი გოგონების მმოქცევა მსუბუქი და წყნარია. იმათი ფეხები იატაკს ძლივებით ეხება, ვაჟები კი მამაკაციბის, კეთილშობილებისა და უბრალოების შეხამება-შეხმატებილებას წარმოადგენს. ჩინგურისა და ღოლის წები ტყეებისა და მთების სიღლმონებაზე, ბარისა და მინდორ-ველების სინახეზე მღერიან.“

წარმატება მიღენად დიდი იყო, რომ ანსამბლი მიწვია ქალაქისა და ნაესალგურის პორტ-საიდის გუბერნატორმა.



ვორტ-საიდი კნობილია ჩოგორც საკურორტო ზელის მისი ხმელთაშუა ზღვის სანაპირო არის სტატუსის საზაფხულო აგრძავა. აქ მოღიან მხოფლოს თითქმის ცველა ქვეწადან. მოღიან გემებით, ავტომბილებით, თვით-შეცრინვებით.

3-4 დეკემბერს კინოთეატრის „ელ-დორადო“ დარბაზში გავმართეთ ორი კონცერტი. თეატრში ტევა არ იყო. ძალან მოეწონათ ჩვენი ორივე კონცერტი. მეორე დღეს გუბერნატორმა მუნიციპალიტეტში მიგვიწვია და ქალაქის საზოგადოებრიობის სახელო მაღლობა გადავიზად ვანცლილი სამოვნებისათვის.

მუნიციპალიტეტის შენობის წინ, მოედნზე, აღმართული 1956 წელს პორტ-საიდის ბრძოლებში დაცემულ ეროვნულ გმირთა სამახსოვრო ობელისკი. აქვე დაკავალიერეთ სუცის არხი და ვისერნეთ კარჭავით.

5 დეკემბერს ევვიტიდან გაფრინდით სირიის დედაქალაქ დამასკოში. დამასკოლებს ჩვენი ანსამბლის კონცერტი ტელევიზიით ენახათ და დიდი ინტერესით გველოდნენ.

აეროდრომზე შეგვხვდნენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის კულტურისა და ეროვნული ორენტაციის მინისტრი ბ-ნი არის საბოთი, კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელები, ხელოვნების მოღვწენა, სსრ კაშშირის სირიის გენერალური საკონსულოს თანამშრომელები.

მოვეწვევთ სასტუმროში „გრანდ ოტელი“. სალამის სირიის რაიონის კულტურისა და ეროვნული ორენტაციის მინისტრმა საბოთი ანსამბლის პატივსაცემად ქალაქის ერთ-ერთი სასტუმროს საბანკერო დაბაზში გამართა ვაშშამი, რომლის დროსაც განაცხადა: „ანსამბლის ჩამოსელა არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში დიდობით შენობრივი საბჭოთა კავშირისა და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა შემდეგის საქმეში“.

მეორე დღეს, 6 დეკემბერს, დამასკოს უდიდეს კინოთეატრში „ალ-ჰამრა“ გავმართეთ პირველი კონცერტი, რომელსაც დიდმალი დამასკოლები დაესწრო.

კონცერტის დაწყების წინ ჩვენ მოვესალმა ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი ნაჯად ჰასანი. „ხელოვნება, რომელიც ასახეს ხალხის სულს, — თქვა მან, — ემსახურება ხალხთა დაახლოებას და მათი მეგობრობის განვტყიცებას. დღეს ჩვენ სიხარულით მიევსალმებით დამასკოში ქართულ სახელმწიფო ანსამბლს, რომელიც ჩამოვიდა ჩეენთან მეგობრობისა და ძმობის წარმომადგენლად“.

კონცერტი მალან მოეწონათ. დიდხანს არ წყდებოდა მქუსარე ტაში და მოწონების შეძინობები. მსახიობებს ცოცხალი ცვავილების

მშვერიერი თაგულები მიართვეს კულტურული მუსიკის სირიის კაზინოში, სირიის კაზინოში ხელოვნებათა საზოგადოებამ. კულტურის მოღვაწეებმა და საბჭოთა საელჩის თანამშრომელებმა.

თავისუფალ დროს ვეცნიბოდით ქალაქის ლირს შესანიშნაობებს. სხვათშორის, დამასკოსა და ეგვიპტეში ბევრი ქალი შავ ტანსაცმელს ატარებს. ამით დავინტერესდით და გავიგოთ, რომ შავ ტანსაცმელს იცვამენ მხოლოდ და მხოლოდ გათხოვილი ქალები, გაუთხოვარნი კი ფერადს.

9 დეკემბერს მოწყო ჩვენი ანსამბლის შემქმედებით შეხვედრა დამასკოს ახალშექმნილ სახალხო ანსამბლთან. აღმოს სამხატვრო ხელმძღვანელის კომისიის მიერ აბდელ რამან ხათბი. ამ ანსამბლმა, რომელიც ოთხმოცი კაცისაგან შედგება, შეასრულა სიმღერები „აპალემ ბიკომ აპლემ“, „არდი“ და სხვა, ხოლო ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა. რომლის ხელმძღვანელია ასიმ მირზა, ცეკვები „ნაურა“, „სირიული ხალხური ცეკვა“ და სხვ. მათ ჩვენც უზრუნველყო მშობლიური საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნება. ორი ანსამბლის შემოქმედებითმა შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა.

იმავე დღეს ჩვენი ანსამბლის მოცევავე ვაჟთა ჯგუფმა შეისწავლა არაბული ცეკვა „ნაურა“ და იგი შეასრულა დასკვნით კონცერტშე აღგილობრივი ანსამბლის ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად. ჩვენმა ამ სიურქიზმა დადად აღაფრთვანა დამასკოელი მაყურებელი. თოქოს ქარიშხალი შემოიჭრა, ისე აგუშუნდა მთელი დაბაზი. ატყდა მქუსარე ტაში, განუშვებით ლიროვნები გაისმოდა მოწონების შეახილები.

მეოთხე დასკვნითი კონცერტის შემდეგ ჩვენი მსახიობები მიიწვევის საშეფლ კონცერტშე, რომელიც გაიმართა დამასკოს ინენირთა ასოციაციის ყრილობის მონაწილეოთავის.

დამასკოს თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა ანსამბლის საგასტროლო კონცერტების მიმღინარეობას და ხაზი გაუსვა მათ ბრწყინვალურა წარმატებას.

„ოთხი დღეა დამასკო ქართულ საბჭოთა ანსამბლთან ერთად ცხოვრიბს, — წერდა სირიის გაზეთი „საუდ ალ-არაბი“, — დამასკოს მცხოვრები საბჭოთა საქართველოს არისთ განიმსჭვალნენ, მთელი ვაჟისა და ბარის გოგონას სიყვარულის ნექტარი იგრძნეს, საქართველოს რესპუბლიკის ხალხური სიმღერების და ცეკვის სილამაზესა და თავისებურებას გაეცნენ. ცველა ცეკვა მძლეოსნობას ან შეკიბრებას ასახავს“.

მეორე გაზეთში „ალ-ვახდე“ გაიღვა პოტურმა სტრიქონებმა: „შენ გმენია ბარისა და მინდორ-ველების ნაკადულები როგორ ბუტბურებენ?.. ასეთია სიმღერები, რომელსაც ქართული ხალხური ანსამბლი მოერის. პროგრამაში დიდი წარმატებით სარგებლობს ხალხური

ცაკვებიც. ეს ცაკვები მინდოორ-ველისა და მთებისაა. ისინი მეგობრულ ფორმში ასახვენ მძღვანობასა და შეგიძებებას. ხალხური ტან-საცმელი მრავალფეროვან კოლორიტს ქმნის, რაც მეგობრობასა და სიმშევნეერეზე, ხალხის მხატვრული შემოქმედების უმაღლეს განვითარებაზე ღალადებს.

ქართლმა ანსამბლმა მართლაც ლამაზი სურათი წარმოუდგინა იმათ, ვინც იგი ინახულა.

კეთილი იყოს ოქენენი მობრძნება, ძვირფასო სტუმრები! თქვენ ნამდვილად შეძელით გეჩვენებინათ შშვილდისაკენ ქართველთა ღლობვის ნამდვილი სურათი, ადამიანების ის უშმევნერესი და ლამაზი გრძნობები მოგეწოდებინათ ჩვენთვის. რომელებითაც საქართველოს შეილები თავიანთ სულსა და გულს გმოსახვენ და სიმღერებში მღებიან!

10 დეკემბერს, საღამოს, უკვე ქალაქ ალეპოში ვიყავით. მეორე დღესვე გავმართოთ პირველი კონცერტი. ბილუთები წინასწარ გაყიდათ. იმის გამო, რომ მაყურებელთა დარბაზი მცირეიყო, ზღვა ხალხი დარჩა უბილეთოდ. ბევრი მაყურებელი ქუჩაში იდგა და ჩვენს გამოსვლებს რაღოოლრანსლაციით ისტენდა. ალეპოულებს სულ ოთხი კონცერტი უშევენეთ. დარბაზი მუდავ ხალხით იყო გაჭერილი.

14 დეკემბერს ალეპოს კულტურულმა ცენტრმა და გუბერნატორმა ჩვენს ანსამბლს გმოსახველარი საღამო მოუწყევს. მოკლე სიტყვა წარმოთვა კულტურის ცენტრის დირექტორმა ბაშირ კადანმა. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა მსახიობებს შშვენიერი საქანცერტო გამოსვლებისთვის.

ერთი დღის შესვენების შემდეგ, საღამოს, თვითმფრინავით „კომეტა“ გეზი ივიღეთ სულანის რესაუბლივის დედაქალაქ ხართუმისაკენ და გათენებისას უკვე ერთორმებე დავეშვით. მანქანებით შევდივართ ქალაქში. აქ სატრანს-სპორტო მოძრაობა მარცხნა მხარეზეა. მანქანის ფანჯარაში იჭრება ნილოსის წყნარი შრიალი და სამხრეთული მზის მწველი სხივები. ერთსართულიანი სახლები სულ მწვანეში ჩაუსვამთ.

სულანის დედაქალაქი დაყოფილია სამ ნაწილად: თვით ხართუმი, ომდურმანი და ხართუბაპრი.

ჩვენ გუბოვრობდიდ მოდურმანში, ნილოსის ნირა სასტუმროში, იმ დიდი ნაკადის წინ, სადაც ერთმანეთს უერთდება თეთრი და ღურჯინილოსი. იქვე, სასტუმროს გვერდით, იყო ომ-

დურმანის ეროვნული საესტრადო თეატრი.

და ის დეკემბერს ამ ღია საესტრადო თეატრის მაყურებლებიც ხანგრძლივი ტშით უსაზღვრო სისახულს გამოხატავენ ჩვენი კონცერტის გამო. ჩასვლისთანავე შევისწავლეთ სუდანური ხალხური სიმღერა „ალ მამბო სუდანი“ და ცეკვა „კამბალა“, რომელებიც წარმოვადგინეთ მეორე კონცერტზე. 25 დეკემბერს, გასტროლების უკანასკნელ დღეს, გავმართოთ დასკვნითი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრძელებულივება ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა სულეიმან ლაუდის ხელმძღვანელობით და განვქმულმა ხალხურმა მომღერლებმა, მათ შორის საიდ ხალიფმა.

ჩვენს კონცერტებს ვრცელი რეცენზით გამოეხმაურნენ სუდანის უურნალ-გაზეთები.

ის რას წერდა სუდანის ერთ-ერთი გაზეთი „ალ-აიგიმი“:

„გუშინ საღამოს ეროვნული თეატრის სცენაზე ნაჩვენები იყო საბჭოთა კავშირის საქართველოს ხალხური ანსამბლის ბრწყინვალე კონცერტი.

ანსამბლის კონცერტს მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ. მოუხედავად იმისა, რომ ენა გაუგებარი იყო, მომღერალთა ხმები სამურად ეალერსებოდნენ დამსწრეთა სმენას. ცეკვები კი არაზეულებრივი სილამაზითა და გამომეტყველებით განიჩრჩდნენ“.

ასეთივე მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს გამოსვლებს სუდანის სხვა გაზეთებში.

27 დეკემბერს გამოვეთხოვთ უცხოელ მეგობრებს და საპარო გიგანტით „ტუ-104-ბ“ ტირანზე გავლით კურსი ავიღეთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისაკენ. უამინდობის გამო შევჩერდით და ერთი დღე ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გავატარეთ. ალბანეთის კულტურისა და განათლების სამინისტროს თხოვნით, დედაქალაქის საესტრადო თეატრში მოეწყო კონცერტი ადგილობრივი ესტრადის მსახიობებთან ერთად. ეს კონცერტი გადაექცა ალბანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის ნამდვილ ზეიმად.

ამით დამთავრდა ჩვენი ანსამბლის გასტროლები საზღვარგარეთ.

ჩვენ მზად ვართ ყოველთვის, როცა საჭირო იქნება, კვლავაც ვუჩვენოთ ქართული საბჭოთა ხელოვნების მიღწევები საზღვარგარეთელ მეგობრებს და ამით ხელი შევუწყოთ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თაბაზი,  
შეკვეთის № 4263, ემ 00603, ქალალის ზომა 70X108, ტირაჟი 2000.

\*\*\*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типография Главполиграфизата  
Министерства культуры Грузинской ССР  
Батуми, ул. Р. Люксембург, 22

6.34/198



3060 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ